

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საერთაშორისო რეცენზირებადი გულტილიგვერი

## სამეცნიერო ჟურნალი

„*Scripta manent*“

საქართველო

№1 (33)

2017

ქურნალი დაფუძნებულია  
ლია დიპლომატის ასოციაციის მიერ



*GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY*

*ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ*

*Multilingual Reviewing International Scientific Magazine*

*Международный рецензионный мультилингвальный научный журнал*

*„Scripta manent“*

*GEORGIA*

*ГРУЗИЯ*

*№1 (33)*

*2017*

*OPEN DIPLOMATIC ASSOCIATION*

*АССОЦИАЦИЯ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ*

ISSN 1987-7390

UDK (უაკ) 81+82

S-41

## სარგებლობის პრინციპები:

მათ ჩემი მიზანი

მთავარი რედაქტორი

რუსულან თაბუკაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ის ჩემი მიზანი

პასუხისმგებელი მდივანი

## რედაქტორის წესრიგი:

ვიოლა ჭურიცელაძე, ჰანს რუდიგერ ფლუკი, კულააშ გეიგიტოვა, სილვია ბოტევა.

ტანია გრისპამირი, ელოვან გაბურია, მარია მიხაილოვა, ტატიანა მეგრელიშვილი.

ალგა გრაციანი, ალესანდრა სააღაშორა, გიორგი უშვარაძე.

რუსულან გორგიონიძე.

## მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, ქოსტაგას 77, კორპუსი VI, სართული VIII

ტელ. : 236 51 76

E-mail. : r.tabukashvili@gmail.com

## ტექნიკური უზრუნველყოფა: ქარინა ხარაზიშვილი

E-mail. : k-kharazishvili@mail.ru

scripta.manentmagazine@gmail.com

**Editorial Board:**

Maia Chkheidze, Viola Purtseladze, Rusudan Tabukashvili, Ia Chikvinidze, Hans Rudiger Fluck,  
Kulpash Beibitova, Tania Grieshammer, Ketevan Gabunia, Maria Mikhailova,  
Silvia Boteva, Tatiana Megrelishvili, Alba Graziano, Alessandra Spadafora, Georgi Kuparadze, Rusudan Gotsiridze.

Adress: Kostava str. 77, 0175, Tbilisi, Georgia  
Tel. : (995 32) 236 51 76  
E-mail: r.tabukashvili@gmail.com

**Electronic version:** [www.odageorgia.ge](http://www.odageorgia.ge)

**Редакционная коллегия:**

Майя Чхеидзе, Виола Пурцеладзе, Русудан Табукашвили, Ия Чиквинидзе, Ганс Рудигер Флук,  
Кульпаш Бейбитова, Таня Грисхаммер, Кетеван Габуния, Мария Михайлова,  
Сильвия Ботева, Татьяна Мегрелишвили, Альба Грациано, Александра Спадафора, Георгий Купарадзе,  
Русудан Гоциридзе.

Адрес: Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия  
Тел. : (995 32) 236 51 76  
E-mail: r.tabukashvili@gmail.com

**Электронная версия:** [www.odageorgia.ge](http://www.odageorgia.ge)

## რედაქციისაბან

„Scripta manent“ საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგვური სამეცნიერო ჟურნალია, რომელიც აქვეყნებს პუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვეობაზე დაფუძნებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ნაშრომებს. ამას გარდა, იგი ადგილს უთმობს რეცენზიებს, თარგმანებსა და სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით ნაშრომს.

პროფესიონალთა ნაშრომების გამოქვეყნების გარდა ჟურნალი მიზნად ისახავს პუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პოპულარიზაციას მომავალ თაობებში. ჟურნალის რედკოლეგია განსაკუთრებული ინტერესითა და ყურადღებით ეკიდება დოქტორანტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომებს.

ჟურნალი რეცენზირებადია, უარყოფითი რეცენზიით ნაშრომი აგრორს არ უბრუნდება. ჟურნალის სამუშაო ენებია: ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური და იტალიური.

სარედაქციო კოლეგიის წევრები მოდვაწეობენ საქართველოს (თბილისი), გერმანიის (ბონუმი, ბერლინი), რუსეთის (მოსკოვი), ყაზახეთის (ასტანა), ბულგარეთის (სოფია) და იტალიის (ტურინგი) უნივერსიტეტებში.

# სარჩევი

## ფილოლოგია

<b>ცისანა ანთაძე</b>	
პოლიტიკური ტექსტების თარგმნის ზოგიერთი თავისებურება .....	10
<b>ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია</b>	
ომონიმია ფრანგულ ანეკდოტ-კალამბურებში .....	17
<b>თამარ გაგოშიძე, ქეთევან გაბუნია</b>	
სარეკლამო დისტურსის ვერბალური, არავერბალური და პარავერბალური ასპექტები .....	22
<b>მირანდა გობიანი</b>	
გერმანელი და ქართველი ახალგაზრდების სასაუბრო თემების შედარებითი ანალიზი .....	26
<b>რუსულან გოცირიძე</b>	
ენის და კულტურის სწავლისა და სწავლების მეთოდები.....	34
<b>ნანა გუნცაძე, ნინო რევაზიშვილი</b>	
ბაგშვი-პროტაგონისტი, როგორც დიურასისეული ნარატიული რექტიკის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი .....	38
<b>მარინა ზორანიანი</b>	
კონცეპტუალური შერევა როგორც მენტალური ოპერაცია, რომელსაც მივყავართ ახალი მნიშვნელობის შექმნამდე .....	44
<b>მარინე კობეშავიძე, ციური ახვლედიანი</b>	
ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირებითი ანალიზი ესპანურ, ფრანგულ და ქართულ ენებში.....	49
<b>მარინე კობეშავიძე, ნინო ჭრიკიშვილი</b>	
ფრაზეოლოგიური ერთეულების როლი და ადგილი ესპანურ ენაში.....	55
<b>ნანა ჩხეიძე</b>	
ეფექტური ვერბალური კომუნიკაცია აქტიურ სწავლებაში.....	60
<b>ნანა ჩხეიძე</b>	
დიალოგი აქტიურ სწავლებაში.....	66
<b>მაია ჩხეიძე, რუსულან ქუთათელაძე</b>	
რთულ სისტემათა კონსტრუირების პრობლემა.....	70
<b>თამარ ლარიბაშვილი</b>	
კომპიუტერული ტერმინოლოგიის ფორმირების ძირითადი ხერხები .....	74

## პროზა

<b>ნატო თხილავა</b>	
ლავრენტი. მოთხრობა .....	83

## Contents

### Philology

#### Tsisana Antadze

Some Peculiarities of Translation of Political Texts .....	10
--	----

#### Tsiuri Akhvlediani, Ketevan Gabunia

Homonymy in French Anecdote-puns .....	17
--	----

#### Tamar Gagoshidze, Ketevan Gabunia

Verbal, Nonverbal and Paraverbal Aspects in Advertisement Discourse .....	22
---	----

#### Miranda Gobiani

Comparative Analysis of the Conversational Themes of Georgian and German Youth .....	26
--	----

#### Rusudan Gotsiridze

Methods of Teaching and Learning Language and Culture .....	34
---	----

#### Nana Guntsadze, Nino Revazishvili

Child Protagonist as a Main Element in the Narrative Techniques of Duras .....	38
--	----

#### Marina Zoranyan

Conceptual Blending as a Basic Mental Operation Leading to the Creation of a New Meaning.....	44
---	----

#### Marine Kobeshavidze, Tsiuri Akhvlediani

Comparative Analysis of Phraseologisms in Spanish, French and Georgian Languages.....	49
---	----

#### Marine Kobeshavidze, Nino Chrikishvili

Role and Places of the Phraseological Units in the Spanish Language .....	55
---	----

#### Nana Chkheidze

Effective Verbal Communication in Active Learning .....	60
---	----

#### Nana Chkheidze

Dialogue in Active Learning .....	66
-----------------------------------	----

#### Maia Chkheidze, Rusudan Kutateladze

The Problem of Constructing Complex System .....	70
--	----

#### Tamar Garibashvili

The Main Methods of Forming the Computer Terminology .....	74
--	----

### Philology

#### Nato Tkhilava

Lavrenti. Story .....	83
-----------------------	----

## **Содержание**

### **Филология**

#### **Цисана Антадзе**

Некоторые особенности перевода политических текстов.....10

#### **Циури Ахвledиани, Кетеван Габуния**

Омонимия во французских анекдотах-каламбурах.....17

#### **Тамар Гагошидзе, Кетеван Габуния**

Вербальные, невербальные и парaverбальные аспекты рекламного дискурса .....22

#### **Миранда Гобиани**

Сравнительный анализ разговорных тем немецкой и грузинской молодежи ..... 26

#### **Русудан Гоциридзе**

Методы преподавания и обучения языку и культуре ..... 34

#### **Нана Гунцадзе, Нино Ревазишвили**

Ребенок-протагонист как главный элемент в нарративной технике Дюраса ..... 38

#### **Марина Зораниян**

Концептуальное смешение как основная умственная операция,  
ведущая к созданию нового значения ..... 44

#### **Маринэ Кобешавидзе, Циури Ахвledиани**

Сопоставительный анализ фразеологизмов в испанском, французском и грузинском языках ..... 49

#### **Маринэ Кобешавидзе, Нино Чрикишвили**

Роль и место фразеологических единиц в испанском языке ..... 55

#### **Нана Чхеидзе**

Эффективная вербальная коммуникация в активном обучении.....60

#### **Нана Чхеидзе**

Диалог в активном обучении ..... 66

#### **Майя Чхеидзе, Русудан Кутателадзе**

Проблема конструирования сложных систем ..... 70

#### **Тамар Гарибашвили**

Основные способы формирования компьютерной терминологии..... 74

### **Проза**

#### **Нато Тхилава**

Лаврентий. Рассказ. ..... 83

ՑՈՒՑԹԱՑՈՒՅՑ

Philology

Филология

# პოლიტიკური ტექსტების თარგმნის ზოგიერთი თავისებურება

ციხანა ანთაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი  
კოსტავას №77, 0175, თბილისი,

საქართველო

ტელ: 599 511 801

E-mail: ts.antadze@gmail.com

## რეზიუმე

სტატიაში განხილულია პოლიტიკური ტექსტების თარგმნის ზოგიერთი თავისებურება თარგმანის თეორიის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით. განსაზღვრულია პოლიტიკური ტექსტების ჟანრობრივი მახასიათებლები და ასეთი ტიპის ტექსტების თარგმნის მნიშვნელობა თანამედროვე სამყაროში. განხილულია პოლიტიკური ტექსტების თარგმნის ზოგიერთი ლექსიკური და სტილისტური თავისებურება და მეთოდი. სტატიაში, ასევე, ყურადღებაა გამახვილებული ფრაზეოლოგიზმებისა და პოლიტიკური ნეოლოგიზმების თარგმნის სპეციფიკაზე.

## საკვანძო სიტყვები:

პოლიტიკური, ტექსტი, თარგმანი, თავისებურება, ლექსიკური, სტილისტური, მეთოდი, ფრაზეოლოგიზმები, ნეოლოგიზმები.

## შესავალი

პოლიტიკა საზოგადოების ჩამოყალიბებასთან ერთად გაჩნდა და მის კვალდაკვალ ვითარდებოდა. სწორედ ამიტომ პოლიტიკა ამა თუ იმ ფორმით ყოველთვის იყო, არის და იქნება წარმოდგენილი საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. თანამედროვე ეპოქაში პოლიტიკას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რადგან მისი საშუალებით ხორციელდება სახელმწიფოს მიერ

საზოგადოების მართვა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები. დღეს პოლიტიკის შესწავლა და მისი როლის განსაზღვრა საზოგადოების განვითარებაში მრავალი საზოგადოებრივი მეცნიერების: ეკონომიკური თეორიის, სამართლის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის ინტერესის საგანსწარმოადგენს. დიდია პოლიტიკით ლინგვისტებისა და მთარგმნელების დაინტერესებაც, რადგან თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნებს შორის დიპლომატიური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოლაპარაკებების პროცესში მთარგმნელების როლი განუხრელად იზრდება. ასევე, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენენ ყოველწლიურად გამოცემული თარგმნილი პოლიტიკური ტექსტები, რომლებიც სამიზნე აუდიტორიაზე არიან გათვალისწინები და ხშირ შემთხვევაში პოლიტიკურ ამინდს ქმნიან საერთაშორისო ასპარეზზე. პოლიტიკური ტექსტები იდეოლოგიური პროპაგანდისა და ბრძოლის საშუალებასაც წარმოადგენენ, ხოლო ამგვარი ტექსტების თარგმანები იმავე ფუნქციას ასრულებენ. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ დღეს პოლიტიკით ლინგვისტებისა და მთარგმნელების დაინტერესება სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. რაც შეეხება თარგმანის თეორიას, ის, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ თარგმანის არსი ენათშორისი და კულტურათაშორისი კომუნიკაციის პირობებში.

## ძირითადი ნაწილი

თარგმანის პროცესში, მიუხედავად ჟანრული სახეობისა, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თარგმანის ადეკვატურობას, რაც აუცილებლად გულისხმობს ე.წ. „უცხო“ კულტურის ცოდნას. „უცხო“ კულტურის

ცოდნაში მოიაზრება ამა თუ იმ ეთნოსის ისტორიული, სოციალური, ფსიქოლოგიური ასპექტების, ტრადიციების, დირექტულებების, შეხედულებების, ინსტიტუტების, ქცევის, ყოფის, ცხოვრების პირობების ცოდნა. ადამიანების ქცევა და სულიერი ცხოვრება აისახება მათ ცნობიერებაში, რომლებიც რეალზედებიან ენობრივ კატეგორიებსა და ფორმებში. ამიტომ ყოველი ენა ქმნის ე.წ. „მსოფლიოს ენობრივ სურათს“, რაც გარკვეულ სირთულეებს ქმნის თარგმნის პროცესში. ენის სტრუქტურას შეუძლია განსაზღვროს ინფორმაციის გადმოცემის ფორმა, ხოლო თავის მხრივ გამოხატვის ფორმა ერთმნიშვნელოვნად არ განსაზღვრავს შინაარსს და მხოლოდ „საწყის ბაზას“ წარმოადგენს მთლიანი აზრის გასაგებად. ერთი და იმავე აზრის ჩამოყალიბება შესაძლებელია სხვადასხვა ენობრივი სტრუქტურის საშუალებით, ხოლო ერთი და იგივე ენობრივი სტრუქტურა შეიძლება ემსახურებოდეს „წყარო“ ენის შეტყობინების გააზრებასა და ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, ყოველი საზოგადოებისათვის დამახასიათებელია მრავალი ტერიტორიული, სოციალური, პროფესიული, ასაკობრივი თუ სხვა განსხვავებანი, რომლებიც აისახებიან ენობრივ საშუალებათა თავისებურებებში და რომელთაც იყენებენ ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფები. უფრო მეტიც, ადამიანები ხშირად სხვადასხვანაირად იყენებენ ენას განსხვავებულ სოციალურ სიტუაციებში, რასაც არა მხოლოდ სოციალური ფაქტორები, არამედ ადამიანის ინდივიდუალური თვისებები განაპირობებენ. ამგვარად, თარგმანის ადეკვატურობას განსაზღვრავს არა მხოლოდ „უცხო“ კულტურის ცოდნა, არამედ ორიგინალის აგზორისა და მთარგმნელის ინდივიდუალური თვისებები ანუ სუბიექტური ფაქტორები. „თარგმანი არის პროცესი, რომელიც ცდილობს დაამკვიდროს ეკვივალენტები ორ სხვადასხვა ენაზე წარმოდგენილ ტექსტს შორის. ეს ეკვივალენტები ყო

ველთვის დამოკიდებულია ამ ორი ტექსტის ბუნებაზე, მიზანზე, ორ კულტურას შორის ურთიერთობაზე“. – აღნიშნავს ლედერერი [1:3]. ამგვარად, თარგმანი შეიძლება მოვიაზროთ როგორც პროცესი და პროდუქტი.

თარგმანის პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის აუცილებელია შემდეგი: 1) ისტორიულ-კულტურული ფონის ანუ ქვეყნის და მისი საზოგადოების განვითარების თავისებურებების ცოდნა;

2) ზოგადი ერუდიცია;

3) ამა თუ იმ ქვეყნის სოციალურ-კულტურული ფონის, ტრადიციების, ყოფაცხოვრების, ეროვნული დღესასწაულების შესახებ ცნობების ფლობა;

4) სემიოტიკური ფონის ანუ ეროვნული სიმბოლიკისა და ტოპოგრაფიული დასახელებების შესახებ ინფორმაციის ქონა.

ენათშორისი კომუნიკაციის პროცესში ასევე მნიშვნელოვანია ტექსტის ჟანრობრივი თავისებურებების გათვალისწინება. რადგან არსებობენ სხვადასხვა ჟანრები, არსებობენ სპეციფიკური მახასიათებლებიც, რომლებიც განასხვავებენ ერთ კონკრეტულ ჟანრს სხვა ჟანრებისაგან. როგორ განვასხვავოთ პოლიტიკური ტექსტი სხვა ჟანრის ტექსტებისაგან? ტექსტის კლასიფიცირება, როგორც პოლიტიკურისა, ყველაზე უკეთ შეიძლება განისაზღვროს ფუნქციური და თემატური კრიტერიუმებით. ტექსტი პოლიტიკურია, თუ ის არის პოლიტიკის შედეგი ან მისი შემადგენელი ნაწილი. პოლიტიკურ ტექსტებში მოიაზრება პოლიტიკური მოსსენებები, მრავალმხრივი ხელშეკრულებები, სარედაქციო სტატიები, კომენტარები გაზეთებში, პოლიტიკოსების გამოსვლის ტექსტები პრესკონფერენციებზე, პოლიტიკური მემუარები და სხვა [5:119].

უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური ტექსტების თარგმანი სპეციფიკურ სირთულეებს გულისხმობს. კერძოდ, ამგვარი ტექსტების თარგმანი მთარგმნელისაგან მოითხოვს პოლიტიკური ტერმინოლოგიის ცოდნას. დი-

პლომატიური ტერმინოლოგია ასახავს არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ქვეყნის შიდა პრობლემებს, არამედ მუდმივად კონტაქტშია სხვა ენებთან. ენათშორისი კავშირების პირობებში კი ხდება სიტყვათა აქტიური ურთიერთგავლენა, სემანტიკური პროცესების დაახლოვება, რაც სხვადასხვა ენაში ახალი ტერმინების გაჩენასა და დამკვიდრებას უწყობს ხელს. მთარგმნელისათვის ამ ახალი ტერმინების ცოდნა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, აუცილებელია გარკვეული ცოდნა პოლიტოლოგიაში, რადგან უმნიშვნელო უზუსტობასაც კი პოლიტიკური ტექსტის ან ოფიციალური პოლიტიკური დოკუმენტის თარგმნისას შეიძლება სავალალო შედეგი მოყვეს. ვ. ნ. კრუპნოვი აღნიშნავს: „მცდელობამ, ამა თუ იმ მიზეზის გამო დაშორდე პრაქტიკაში დამკვიდრებული ტერმინოლოგის თარგმანს მოცემული ტიპის დოკუმენტებში, შეიძლება გაუმართლებლად გააძლიეროს სუბიექტური ინტერპრეტაცია, შექმნას სახელმწიფოს პოზიციის შეცვლის ილუზია, გამოიწვიოს დისონანსი დოკუმენტში არსებულ ფორმულირებაში ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით“ [9:76].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლიტიკური ტექსტების თარგმანი გარკვეულ სირთულეებს გულისხმობს. ერთ-ერთი სირთულე უკავშირდება ე.წ. არაეკვივალენტური ლექსიკის „წყარო“ ენიდან „სათარგმნ“ ენაში გადატანას. არსებობს არაეკვივალენტური ლექსიკის „წყარო“ ენიდან „სათარგმნ“ ენაზე გადატანის შემდეგი მეთოდები:

1) ტრანსლიტერაცია და ტრანსკრიფცია, რაც გულისხმობს ინგლისური სიტყვის ბეჭრითი შემადგენლობის „სათარგმნ“ ენაზე, ჩვენ შემთხვევაში ქართულ ენაზე, გადატანას. მაგ:

„Washington Post“ – „ვოშინგტონ პოსტი“  
„Gardian“ – „გარდიუნი“

2) კალკირება, რაც სიტყვის ან გამოთქმის „სათარგმნ“ ენაზე გადატანას გულისხმობს

„წყარო“ ენის მორფოლოგიური სტრუქტურის შენარჩუნებით. კალკირებისას კომპონენტები ცალკე ითარგმნება და ერთდება უცხო სიტყვის ან სიტყვათშეთანხმების მსგავსად.

მაგ.: „Shadow cabinet“ – „ჩრდილოვანი კაბინეტი“

„Shadow economics“ – „ჩრდილოვანი ეკონომიკა“

3) აღწერილობითი თარგმანი, რაც გულისხმობს სიტყვის ან სიტყვათშეთანხმების განმარტებას „სათარგმნ ენაზე“. ეს მეთოდი გამოიყენება მაშინ, როცა:

ა) „სათარგმნ“ ენაში არ მოიპოვება რეალიის აღმნიშვნელი სიტყვა.

მაგ.: „Politically, she is a real maverick“.

წინადაღებაში გამოყენებული სიტყვა „maverick“ ქართულად ნიშნავს ადამიანს, რომელსაც განსხვავებული პოზიცია, შეხედულება აქვს [17].

მოცემული წინადაღება ქართულად შემდეგნაირად ითარგმნება: „მისი პოლიტიკური ხედვა სრულიად განსხვავებულია“.

ბ) როცა საქმე გვაქვს ინგლისური ენის თავისებურებებით გამოწვეულ სიტყვათშეთანხმებასთან.

მაგ.: „negotiated settlement“ – „მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული შეთანხმება“.

საინტერესოა ასევე ფრაზეოლოგიზმებისა და თავისუფალი სიტყვათშეთანხმებების თარგმნის თავისებურებანი. თავისუფალი სიტყვათშეთანხმებების მნიშვნელობას განსაზღვრავს მათში შემავალი კომპონენტების მნიშვნელობა, ხოლო ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობა არ განისაზღვრება მათში შემავალი კომპონენტების მნიშვნელობით. მთარგმნელის პირველი რიგის ამოცანაა განსაზღვროს კონკრეტულ სიტუაციაში მოცემული სიტყვათშეთანხმება თავისუფალია თუ ფრაზეოლოგიური, რათა მოხერხდეს მოცემული ფრაზეოლოგიური გამოთქმის სწორად თარგმანი.

მაგ.: „This politician doesn't believe in letting the grass grow under his feet“.

მოცემული წინადადება ქართულად შემდგნაირად ითარგმნება: „ეს პოლიტიკოსი მხარს არ უჭერს უმოქმედობას“.

როგორც ვხედავთ, „to let the grass grow under one's feet“ ნიშნავს არ უჭერდე მხარს უმოქმედობას, პასიურობას [17] და არა „უქებს ქვეშ ბალახის ზრდას“, რაც, ბუნებრივია, არასწორი თარგმანია. ან:

„They knew they were going to lose, so they threw in the towel“.

„მათ იცოდნენ რომ წააგებდნენ და დანებდნენ,,

„to throw in the towel“ ნიშნავს „დანებებას“ [16] და არა „პირსახოცის სროლას, გადაგდებას“.

სხვადასხვა ენის ლექსიკურ არსენალში არსებულ სიტყვათა სემანტიკური მნიშვნელობები ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს. რაც უფრო დიდია ამ თუ იმ ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობათა სპექტრი, მით უფრო დიდია ალბათობა შეგვექმნას გარევეული პრობლემები ენათშორისი კომუნიკაციის დროს. პრობლემებს ქმნიან ასევე ყოველ ენაში არსებული ტრადიციულად დამკვიდრებული სიტყვათშეთანხმებები, რომლებიც არ ემთხვევა სხვა ენაში დამკვიდრებულ სიტყვათშეთანხმებებს. სწორედ ამიტომ, თარგმნის პროცესში ვიყენებთ მრავალნაირ ტრანსფორმაციასა და მეთოდს. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანის გამოყენების თავისებურება ენათშორისი კომუნიკაციის პროცესში:

1) კონკრეტიზაციის მეთოდი გულისხმობს ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის ზუსტი შესაბეჭისის ან ლექსიკური ერთეულის ორენოვან ლექსიკონში მოცემულ მრავალ მნიშვნელობათაგან უფრო ზუსტის მოძიებას. აღნიშებული მეთოდი, ძირითადად, გამოიყენება მაშინ, როცა:

ა) „სათარგმნ“ ენაში არ არსებობს „წყარო“ ენაში მოცემული სიტყვის შესაბეჭისი;

ბ) მოცემულ სიტყვას მრავალი მნიშვნელობა აქვს;

გ) ენებს შორის არსებობს სტილისტური

განსხვავებები.

კონკრეტიზაციის მეთოდი გამოიყენება ზმნის მნიშვნელობის დასაზუსტებლად. მაგ. ისეთი ზმნებისა, როგორებიცაა: to be, to take, to have, to get, to say, to come. მაგ.: „At the last Parliamentary elections in Georgia victory went to the Georgian Dream Party“. „ბოლო საპარლამენტო არჩევნებში საქართველოში გამარჯვება ქართულმა ოცნებამ მოიპოვა“.

2) გენერალიზაციის მეთოდის გამოყენების დროს „დედანში“ მოცემულ სიტყვას, რომელსაც აქვს კონკრეტული სემანტიკური მნიშვნელობა, ვანაცვლებო უფრო ზოგადი მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულით „სათარგმნ“ ენაზე. აღნიშნული მეთოდი, რიგ შემთხვევაში, გამართლებულია, რადგან ყოველი ენა სამყაროს თავისებურად ასახავს. სწორედ ამ თავისებურების გამო ინგლისურში სიტყვებს მნიშვნელობათა უფრო ფართო სპექტრი აქვთ, ვიდრე, მაგალითად, ქართულში. აღნიშნული ცვლილებები ასევე განპირობებულია ენებს შორის არსებული სტილისტური განსხვავებებით.

მაგ.: „ეს გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საპრეზიდენტო არჩევნებს ამერიკის შეერთებულ შტატებში“.

მოცემული წინადადება ინგლისურად შეიძლება ითარგმნოს შემდეგნაირად:

„This newspaper gives a prominent space to the US presidential elections“.

თუმცა, უფრო ზუსტი და სტილისტურად გამართული თარგმანი შეიძლება მივიღოთ, თუ გამოვიყენებოთ ე.წ. „გენერალიზაციის“ მეთოდს: „This newspaper makes a feature of the US presidential elections“. ე. ი. „gives a prominent space“ ჩავანაცვლეთ უფრო ზოგადი მნიშვნელობის მქონე „makes a feature“-ით. „feature“ მოცემულ სიტყვაციაში ნიშნავს განსაკუთრებულ, მთავარ სტატიას გაზეთში [16].

3) ანტონიმური თარგმანი, ისევე როგორც სხვა მეთოდები, ემსახურება მაქსიმალურად ადეკვატური თარგმანის მიღწევას. აღნიშ-

ნული მეთოდი გულისხმობს დედანში მოცე-  
მული რაიმე ცნების საპირისპირო ცნებით  
ჩანაცვლებას თარგმანის დროს.

მაგ.: „ჯარის გამოყენება მოხდება მხო-  
ლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემ-  
თხვევაში“.

მოცემული წინადადება ინგლისურად  
შეიძლება ვთარგმნოთ შემდეგნაირად:

„The troops will be used only in case of emergency“. მაგრამ იგივე შეიძლება ვთარგმნოთ შემდეგნაირად: „The troops will not be used except for emergency“.

თარგმანის მეორე ვარიანტში, განსხვავე-  
ბით პირველისაგან, არის უარყოფა. პირველ  
ვარიანტში გამოყენებული „only“ შეიცვალა  
„except for“ –ით, რაც „not“ უარყოფითი  
ნაწილაკის გამოყენებით არის განპირობე-  
ბული.

„ანტონომია“ მოცემულ შემთხვევაში პი-  
რობითია და გამოწვეულია ენებს შორის  
გამოხატვის საშუალებათა განსხვავებით.

4) აზრობრივი გავრცობის მეთოდი არ  
ითვალისწინებს „დედანში“ მოცემული სი-  
ტყვების პირდაპირი შესატყვისების მოძიე-  
ბას „სათარგმნ“ ენაში. აღნიშნული მეთოდი  
გულისხმობს „სათარგმნ“ ენაზე მთარგმნე-  
ლის მიერ აზრის იმგვარ გავრცობა-განვი-  
თარებას, „დედანში“ მოცემულ ლექსიკურ  
ერთეულებთან კონტექსტუალურად, ლოგი-  
კურად და სტილისტურად დაკავშირებული  
სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებების გა-  
მოყენებით, რომ მოხერხდეს ორიგინალში  
გადმოცემული არსის აღეპვატურად გადმო-  
ცემა „სათარგმნ“ ენაზე. ასეთ შემთხვევაში  
თარგმანში ნათელია, თუ რა იგულისხმება  
დედანში.

მაგ.: „Japan and major European countries have joined the United States in falling into economic recession“.

„იაპონია და ევროპის წამყვანი ქვეყნები  
ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსად  
განიცდიან ეკონომიკურ რეცესიას“. არასწო-  
რი იქნებოდა გვეთარგმნა შემდეგნაირად:

„იაპონია და ევროპის წამყვანი ქვეყნები  
შეუერთდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებს  
ეკონომიკურ რეცესიაში“.

ამგვარად, თარგმანის პირველი ვარიანტი  
სტილისტურად გამართული და კონტექსტუ-  
ალურად ადეკვატურია.

5) კომპენსაციის მეთოდის გამოყენებისას  
დედანში მოცემული ზოგიერთი ელემენტი  
საერთოდ არ გადადის თარგმანში ან იცვ-  
ლება ხშირად ისეთი ელემენტით, რომელიც  
ორიგინალში საერთოდ არ იყო მოცემული.  
უნდა აღინიშნოს, რომ გამოტოვებული თუ  
ჩანაცვლებული ელემენტები არ ასრულე-  
ბენ საკვანძო ფუნქციას და მთლიანო-  
ბაში მათი გამოტოვება ან სხვა ელემენ-  
ტით ჩანაცვლება საერთოდ არ იგრძნობა  
თარგმანში. ა. ფიოდოროვი აღნიშნავს:  
„თუ როგორ უნდა განისაზღვროს დედნის  
ამა თუ იმ ელემენტის როლი, მისი ზუს-  
ტად გადმოცემის აუცილებლობა ან გამო-  
ტოვების შესაძლებლობა, მიზანშეწონილო-  
ბა თუ შეცვლა მდგომარეობს ფორმისა  
და შინაარსის ერთიანობაში“ [12:146-147].  
ე. ი. ამა თუ იმ ელემენტის გამოტოვება თუ  
ჩანაცვლება იმ შემთხვევაშია რეკომენდირე-  
ბული, თუ არ ირდვევა დედნის ფორმისა და  
შინაარსის ერთობლიობა.

მაგ.: „In the armed conflict in Syria women and children are the first hostage“.

სიტყვა „hostage“ ლექსიკონის მიხედვით  
ნიშნავს „მძევალს“, [16] მაგრამ თუ მოცე-  
მულ კონტექსტში „hostage“-ს ვთარგმნით  
როგორც „მსხვერპლი“, მაშინ წინადადების  
ქართული თარგმანი იქნება შემდეგი:

„სირიაში შეიარადებული კონფლიქტის  
მსხვერპლი ქალები და ბავშვები არიან“.

მოცემული წინადადება შეიძლება ვთარგმ-  
ნოთ შემდეგი ფორმულირებითაც: „სირიაში  
შეიარადებულ კონფლიქტს ბავშვები და ქა-  
ლები ეწირებიან“.

ორივე შემთხვევაში მიღწეულია ფორმისა  
და შინაარსის ერთობლიობა.

პოლიტიკური ტექსტების თარგმნისას ჯე-

როვანი ყურადღება უნდა მივაქციოთ პოლიტიკურ ნეოლოგიზმებს. ნეოლოგიზმები სიტყვები და სიტყვათშეთანხმებებია, რომლებიც შეიქმნა რაიმე ახლის, აქამდე უცნობი მოვლენის ან საგნის აღსანიშნავად. ნეოლოგიზმების წარმოშობა განპირობებულია იმ ცვლილებებით, რომლებიც ხდება საზოგადოების ყოფაში, კულტურასა და მეცნიერებაში. უნდა გავარჩიოთ ნეოლოგიზმების ორი კატეგორია:

ა) „ძეგლი“ ლექსიკური ერთეულების ახალი მნიშვნელობები. მაგ.: სიტყვა „demagogue“, „დემაგოგი“ ძველ საბერძნეთსა და რომში ხალხის ლიდერს ნიშნავდა და არ ჰქონდა უარყოფითი შეფერილობა. დღეს, „დემაგოგი“ აღნიშნავს პოლიტიკოსს, რომელიც ცდილობს ხალხის გრძნობებსა და ცრუ შეხედულებებზე თამაშითა და ფაქტების დამახინჯებით მათი მხარდაჭერის მოპოვებას [14].

ბ) ახალი სიტყვები და სიტყვათშეთანხმებები.

ასეთი ტიპის პოლიტიკური ნეოლოგიზმია, მაგალითად, „ბრექსიტი“, „Brexit“. აღნიშნული ნეოლოგიზმი შემოკლებული ფორმაა „British exit“-ის, რაც დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლას გულისხმობს. (2016 წლის 23 ივნისს ჩატარებული რეფერენდუმზე ბრიტანეთის მოქალაქეებმა ხმა მისცეს ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლას) [19; 20].

უნდა აღინიშნოს, რომ ენათშორისი კომუნიკიის პირობებში ნეოლოგიზმები გარკვეულ სირთულეებს ქმნიან, რადგან მათ გამოყენების არასტანდარტული ხასიათი ანუ ოკაზიური თვისება გააჩნიათ, რაც ნეოლოგიზმების განმასხვავებელი მახასიათებელია. სწორედ ამიტომ, კონტექსტუალურად აღეკვატური თარგმანის მისაღწევად მნიშვნელოვანია მთარგმნელმა იცოდეს, თუ რა იგულისხმება ამა თუ იმ სიტყვასა და სიტყვათშეთანხმებაში.

## დასკვნა

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ პოლიტიკური ტექსტების თარგმნის ზოგიერთი ჟანრობრივი თავისებურება. განვსაზღვრეთ პოლიტიკური ტექსტის რაობა და მნიშვნელობა თანამედროვე სამყაროში. ყურადღება გავაძახვილეთ იმ სირთულეებზე, რომლებიც თან ახლავს პოლიტიკური ტექსტების თარგმანს. განვიხილეთ ასეთი ტექსტების თარგმნის მეთოდები და ენობრივი ტრანსფორმაციები, ფრაზეოლოგიზმებისა და პოლიტიკური ნეოლოგიზმების თარგმნის თავისებურებანი.

## ლიტერატურა

1. Lederer M. (2003): The Interpretive Model. Manchester: st. Jerome
2. Sárosi-Márdirosz K.: „Problems Related to the Translation of Political Texts“. <http://www.google.ge/salusnostra-2000@yahoo.com>
3. Cialdini R. B. (2001): Influence: Science and Practice. Boston: Allyn & Bacon
4. Chilton P. and Schäffner Ch. (2002): „Politics as Text and Talk: Analytical approaches to political discourse“. John Benjamins Publishing Company
5. Schäffner Ch. (1997): Strategies of Translating Political Texts. <http://scholar.google.com>
6. Nida E. A. (1964): „Towards a Science of Translation, Leiden.
7. Jackobson R. (1966): On Linguistic Aspects of Translaion. New York: Oxford University Press.
8. Catford J. C. (1965): A Linguistic Theory of Translation: an Essay on Applied Linguistics. London: Oxford University Press
9. Крупнов В. Н. (1980): В Творческой Лаборатории Переводчика. М.

10. Крупнов В. Н. (1979): Курс Перевода. Английский Язык. Международные Отношения.
11. Гарбузова Т. О.: Особенности Перевода Общественно-Политических Текстов. <https://www.google.ge.elib.bsu.by/bitstream>
12. Фёдоров А. В. (1968): Основы Общей Теории Перевода. М., Высшая Школа
13. Янова Т. (2001): Трансформация при Переводе на материали общественно-политических текстов. Мурманск
14. <https://www.google.ge.en.oxforddictionary.com>
15. <https://www.en.m.wikipedia.org>
16. <https://www.google.ge.dictionary.cambridge.org>
17. <https://www.google.ge.thefreedictionary.com>
18. <https://www.bbabbungo.wordpress.com>
19. <https://www.collinsdictionary.com>
20. <https://www.express.co.uk>
21. <https://www.ru.euronews.com>

## Some Peculiarities of Translation of Political Texts

*Tsisana Antadze*  
*Georgian Technical University*  
*Department of Liberal Sciences*  
*77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia*  
*Tel: 599 551 801*  
*E-mail:ts.antadze@gmail.com*

### Abstract

The article deals with some peculiarities of translation of political texts taking into account the basic principles of theoretical translation. Characteristics of the political genre texts are defined in the article. The importance of translation of such texts in the modern world is pointed out. Some lexical and stylistic peculiarities and methods of translating po-

litical texts are considered. Also, specifications of translation of phraseologisms and political neologisms are emphasized.

### Key words:

Political, text, translation, peculiarities, lexical, stylistic, method, phraseologisms, neologisms

## Некоторые особенности перевода политических текстов

*Антадзе Цисана Ревазовна*  
*Грузинский технический университет*  
*Департамент либеральных наук*  
*Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия*  
*Тел: 599 551 301*  
*E-mail: ts. antadze@gmail.com*

### Резюме

В статье рассматриваются некоторые особенности перевода политических текстов, учитывая основные принципы теории перевода. Определено жанровое свойство политических текстов и значение перевода таких текстов в современном мире. В статье рассматриваются некоторые лексические и стилистические особенности и методы перевода политических текстов. Также, особенное внимание уделяется спецификациям перевода фразеологизмов и политических неологизмов.

### Ключевые слова:

Политический, текст, перевод, особенности, лексический, стилистический, метод, фразеологизмы, неологизмы.

## ომონიმია ფრანგულ ანეკდოტ-კალამბურებში

ციური ახვლედიანი  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიგარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,  
საქართველო

ტელ. 599 508 607

E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

ქთევან გაბუნია  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიგარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,  
საქართველო

ტელ.: 599 201 099

E-mail: keti\_gabunia@yahoo.com

### რეზიუმე

ანეკდოტი კომიკური ჟანრის ყველაზე მეტად გავრცელებული სახეობაა, კომიკური ეფექტის გამომწვევი ენობრივი საშუალებების გამოვლენისა და ანალიზის მიზნით, მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს ლინგვისტებისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის კომიკური ეფექტის გამომწვევი ენობრივი ერთეულების გამოვლენისა და მათი ანალიზის საშუალებას გვაძლევს,

ანეკდოტისადმი ლინგვისტური ინტერესი გამოწვეულია მასში არსებული “ენობრივი სუმრობა-თამაშით”, რომელშიც, გარდა კომიკური ეფექტისა, ადამიანებსა და ცხოვრებისეულ სიტუაციებზე ხუმრობისა, გახვდება ასევე ხუმრობა თვით ენაზე – მასში არსებულ რაღაც “უზეულოზე”. ენობრივი თამაშის ნაწილს წარმოადგენს სიტყვათა თამაში, ანუ კალამბური, რომელიც იქმნება თვით ენაში არსებული, სხვადასხვა ენობრივი საშუალებების დახმარებით (მრავალმნიშვნელოვნობა, ომონიმია, ფრაზეოლოგია) ან მეტყველების დროს წარმოქმნილი თანაედურადობის შედეგად. ფრანგულ ანეკდოტ-კალამბურებში, კომიკური ეფექტის შესაქმნელად, ომონიმთაგან ყველაზე მნიშვ-

ნელოვან როლს ასრულებენ ომოფონები, რადგან ფონეტიკურ საფუძველზე წარმოშობილი, ომონიმის ეს ტიპი ყველაზე ფართოდაა წარმოდგენილი ენაში.

### საკვანძო სიტყვები:

ომონიმია, ანეკდოტ-კალამბური, კომიკური ეფექტი, ომოფონები.

### შესავალი

ანეკდოტი კომიკური ჟანრის ყველაზე მეტად გავრცელებული სახეობაა და იგი ორი ფორმით არსებობს: ზეპირი და წერითი მისი ზეპირი ფორმით გამოყენებისას კომიკური ეფექტის შექმნაში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს აზრობრივი პაუზები, თხრობის ტემპი, ინტონაციური გამოყოფა და პერსონაჟთა საწარმოთქმო მახასიათებლები. ანეკდოტის წერითი ფორმისათვის კი დამახასიათებელია სასაუბრო ლექსიკის გამოყენება, ჩართული სიტყვების დიდი რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს გაბმულ თხრობას, ზმნათა დრო - კილოების მარტივი ფორმების შერჩევას და რთული გრამატიკული კონსტრუქციების ნაკლებობას.

### ძირითადი ნაწილი

ენობრივ თამაშში შეინიშნება სამეტყვალო ურთიერთობის ნორმების გაცნობიერებული დარღვევისაკენ მისწრაფება. წარმოადგენს რა ყველა ენისათვის უნივერსალურ ფენომენს, ენობრივი თამაში გამოიყენება თანამოსაუბრის გართობის მიზნით, გამონათქვამისთვის კომიკური ეფექტის მიცემის გზით. ენობრივი თამაშის ნაწილს წარმოადგენს სიტყვათა თამაში, ანუ კალამბური, რომელიც იქმნება თვით ენაში არსებული, სხვადასხვა ენობრივი საშუალებების დახმარებით (მრავალმნიშვნელოვნობა, ომონიმია, ფრაზეოლოგია) ან მეტყველების დროს წარმოქმნილი თანაედურადობის შედეგად. ფრანგულ ანეკდოტ-კალამბურებში, კომიკური ეფექტის შესაქმნელად, ომონიმთაგან ყველაზე მნიშვ-

ფრაზეოლოგია) ან მეტყველების დროს წარმოქმნილი თანაუღერადობის შედეგად. კალამბურის შექმნაში ომონიმები ხშირად ასრულებენ მთავარ როლს. ომონიმის დროს ხდება სიტყვათა ბეგრითი მსგავსება, თუმც აზრობრივი კავშირი მათ შორის არ არსებობს; ამიტომაც ომონიმთა შეჯახება ყოველთვის მოულოდნელია, რის წყალობითაც ჩნდება სიტყვათა თამაშის სტილისტიკური შესაძლებლობა. პ. გირო წერს, რომ სიტყვათა თამაში, რომელიც ეფუძნება ომონიმიას, არის რთული მოვლენა, რადგან ომონიმებს შორის არ არსებობს სემანტიკური კავშირი; და მთხოვბელის ოსტატობა მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ შექმნას ეს კავშირი, რომელიც რაც უფრო მოულოდნელია, მთ უფრო კომიკური იქნება [Guirraud P. Les jeux de mots: გვ. 12].

ომონიმთა გამოყენება ხაზს უსვამს თანაუღერად სიტყვათა მნიშვნელობას, ფონეტიკური მსგავსება მეორე პლანზე გადაიწევს და პირველ პლანზე წარმოჩნდება ლექსიკური ორაზროვნება, რომელიც კომიკურ ეფექტს სქენს ანეკდოტს.

ფრანგულ ანეკდოტ-კალამბურებში ენობრივი თამაში ხშირადაა აგებული ომონიმის მოვლენაზე. ეს დაკავშირებულია თვით ენის ფონეტიკური და გრამატიკული წერის თავისებურებებთან, რადგან ომონიმების წარმოქმნას ხელს უწყობდა ენის ფონეტიკური ევოლუცია, რომლის შედეგადაც მკუთრად იკვეცებოდა სიტყვების ბეგრითი შემადგენლობა; ასევე ხელშემწყობი იყო სხვა ენებიდან ნასესხობები, სიტყვაწარმოებითი პროცესები, რაც იწვევდა სიტყვათა ჟდერადობის დამთხვევას და მრავალმნიშვნელოვან სიტყვათა მნიშვნელობების სემანტიკურ დაცილებას. რადგან ეს მოვლენა დამახასიათებელია ფრანგული ენისათვის, ომონიმებზე დაფუძნებული სიტყვათა თამაში კი ანეკდოტ-კალამბურების საფუძველია, გადავწყვიტეთ გავარკვიოთ – ომონიმთა რომელი ტიპები იწვევს ფრანგულ ანეკდოტებში სიტყვათა თამაშს.

**Un acteur d'opéra-comique, qui n'avait à paraître que dans le dialogue, disait:**

- **C'est singulier, je suis là entre deux airs.**
- **Tu t'enrhumeras, lui dit-on.**

ამ ანეკდოტში ხდება ომონიმთა სრული დამთხვევა, ანუ ეს ისეთი სიტყვებია, რომელთა წერითი გამოსახულება და გრამატიკული კატეგორიებიც იდენტურია, მნიშვნელობა კი – განსხვავებული. აზრის გაურკვევლობა ქმნის კომიკურ ეფექტს. მსახიობი ამბობს, რომ ის სცენაზე გავა და ჩაერთვება დიალოგში ორ არიას შორის, მისი თანამოსაუბრე კი სიტყვა **air**-ს აღიქვამს «ორპირი ქარის» მნიშვნელობით (სიტყვა **air** ნიშნავს «არიას» და «ორპირ ქარს») და შიშს გამოთქვამს, რომ მსახიობი არ გაცივდეს.

**Deux mites se rencontrent dans un pull, l'une dit:**

- **Où vas-tu en vacances cette année?**
- **Au bord de la manche.**

ამ ანეკდოტში კომიზმის გამომწვევია ომონიმები **la manche** ‘ჯიბე’ და **La Manche** ‘ლა მანში’ (საფრანგეთსა და ინგლისს შორის მდებარე სრუტე), რომელსაც ერთვის გამოთქმა **au bord de**, რომელიც ინტერპრეტირდება ასევე ორნაირად: ‘კიდეზე’ და ‘სანაპიროზე’.

ფრანგულ ანეკდოტებში, კალამბურული თამაშის შექმნის გავრცელებული ხერხია იდიომების განზრას ტრანსფორმაცია:

**Une poule rencontre une autre poule:**

- **Tu viens, lui dit-elle, on va prendre un ver?**

კალამბურის ამ მაგალითში კომიკურ ეფექტს იწვევს იდიომა **prendre un verre** ‘ერთი ჭიქის (სასმელის) გადაკვრა’ და სიტყვა **un ver** ‘ჭია, ჭიაყელა’.

ომოფონები ისეთი სიტყვებია, რომელთა ბეგრითი ფორმა ემთხვევა ერთმანეთს. ფრანგული ენის წარმოთქმის სპეციფიკა უხვად იძლევა ომოფონთა კალამბურად გამოყენების საშუალებას.

**Le roi est mort! Un nouveau roi est appellé à régner!**

**– Araignée? Quel drôle de nom! Pourquoi pas libellule ou papillon?**

ამ ნიმუშში ადგილი აქვს ომოფონ **araignée** ('ობობა') კომიკურ გადააზრებას ზმნა **appeler** – ხთან ('წოდება, დაძახება') ერთად, რადგან ბგერითი დამთხვევა ზმნურ ფორმასთან **appelé à régner** 'მეფედ მოიწვიეს, სამეფოს სამართავად მოიწვიეს'.

**– Pourquoi les maisons en Angleterre ne sont-elles pas solides?**

**– Parce qu’elles sont en glaise.**

სიტყვათა ჯგუფი **en glaise** 'თიხისაა' ასოცირდება ზედსართავ **anglaise** – თან, რაც წარმოადგენს ამ ანეკდოტის ორაზროვნების საფუძვლს.

**La maîtresse interroge Victor:**

**– Récite-moi le verbe «dire» au présent.**

**L’élève ne trouve pas et pour l'aider la maîtresse lui dit:**

**– Je dis...**

**Et Victor répond :**

**– Vendredi, Samedi, Dimanche.**

აქ სიტყვათა თამაშს ქმნის პრედიკატული ჯგუფი **je dis** 'ვამბობ' და სიტყვა **jeudi** 'ხუთშაბათი', რაც ასევე ქმნის ანეკდოტის კომიკურ ეფექტს.

**Un milliardaire change de Ferrari tous les jours. Un SDF change de porche tous les jour.**

კომიკურია ოპოზიცია **Ferrari – porche** 'ძვირფასი მარკის მსუბუქი ავტომობილი' და 'სადარბაზო'; ამ უკანასკნელის წარმოთქმა ისევე ჟღერს, როგორც ასევე ძირფასი ავტომობილის – **Porsche** – სი.

ფრანგულ ანეკდოტთა თემატიკა ხშირად უკავშირდება ცნობილ ბრენდთა სახელწოდებებს ან ცნობილ ადამიანთა სახელებს.

**Pour les parents de Nicolas Sarkozy, la première dame de France est une poupée qui fait «non, non, non, non, non», car la bru nie.**

ამ ანეკდოტში კალამბური უკავშირდება ფრანგებისათვის ცნობილ სახელს – კარლა ბრუნი. აქაც აკუსტიკური ფორმებით სიტყვათა თამაში ქმნის კომიკურ ეფექტს.

შემდეგ ანეკდოტში, კალამბურულ თამაშს ქმნის ფრანგული კომპანიის **"Lacoste"** სახელწოდება. კომიზმს იწვევს ზმნა **accoster-s** ('შევიწროება') უდერადობის დამთხვევა, როდესაც საქმე ეხება ნიანგს, იმის გათვალისწინებით, რომ ნიანგი წარმოადგენს ამ ცნობილი კომპანიის ემბლემას.

**Quand un crocodile voit une femelle, il l'accoste.**

ეს სინტაქსური ომონიმიის მაგალითია, რომელიც იქმნება ელიზის გზით, პირის უმახვილო ნაცვალსახელისა და ზმნის შეერთების შედეგად.

ფრანგული ენის სინტაქსური ფონეტიკის თავისებურება (élision, liaison, enchaînement) ქმნის სინტაქსურ ომონიმთა გაჩენის შესაძლებლობას, რომლებიც შედგებიან სიტყვაშეერთებებისაგან.

**Un marquis avait fait planter six ifs dans son jardin. C'est là qu'il conduisait les jeunes filles qui lui plaisaient en leur disant:**

**– Voici l'endroit décisif!**

ამ ანეკდოტში კომიზმი შექმნილია ერთ კონტექსტში იდენტური ფონეტიკური ჟღერადობით, ბგერათა გადაბმის (liaison) გზით, რიცხვითი და არსებითი სახელებისა **six ifs** ('ექვსი უთხოვრის ხე') და ზედსართავი სახელის **decisive** ('გადამწყვეტი').

**A l'état-civil, un père vient déclarer la naissance de son fils.**

**Le père: Prénom Charles.**

**L’employé: Pas d’autre prénom?**

**Le père: Juste un.**

**L’employé écrit sur le registre: "Charles-Justin"**

ამ მაგალითში ომონიმიას ქმნის სიტყვა შეერთება **juste un** ('მხოლოდ ერთი') და საკუთარი სახელი **Justin**. გადაჯაჭვის (enchaînement) შედეგად და თანამედროვე სასაუბრო ფრანგული ენის ტენდენციის გათვალისწინებით, რაშიც იგულისხმება ასოშეერთება **un – ois** წარმოთქმა ასოშეერთება **in – ois** მსგავსად, სიტყვაშეერთებაში **juste un** შეიცვალა

სიტყვათა ზღვარი და ამ გამოთქმაში შეიძინა საკუთარი სახელის **Justin** –ის ჟღერადობა, რაც დაედო საფუძვლად კომიკურ გაუგებობრიბას.

ფრანგულ ანეკდოტებში ნაკლებად გამოყენება ომოფორმები – სიტყვები, რომლებსაც აქვთ ერთნაირი ჟღერადობა მხოლოდ ცალკეულ ფორმებში.

#### **Un aigle rencontre un homard:**

– **Salut, vieux, dit l'aigle. Je te serre la pince!**

– **Salut! répond le homard. Moi, je te pince la serre!**

აქ შეინიშნება ზმნების **serrer** (“შემჭიდროება”) და **pincer** (“ჩქმება”) ზმნური ფორმების მხოლობითი რიცხვის პირგელ პირში ჯვარედინი ბგერითი იგივეობა (დამთხვევა) არსებით სახელებთან **serre (f)** (‘კლანჭი’) და **pince (f)** (‘პინცეტი’), რაც ანეკდოტს სძენს განსაზღვრულ კომიზმს.

– **Pourquoi un chat s'enfuit-il quand on le photographie?**

– **Parce qu'on lui dit «Souris!»**

აქ კალამბურს ქმნის სიტყვა **souris**-ს მნიშვნელობები: ზმა sourire-ს ბრძანებითი კილო (‘გაიღიმე’) და არსებითი სახელი (‘თაგვი’).

ფრანგულ ანეკდოტებში კომიკური ეფექტი იქმნება სიტყვამაწარმოებული ომონიმების საშუალებითაც

1. – **Quel est de tous les animaux le plus respectable?**

– **C'est le mouton!**

– **Pourquoi?**

– **Parce qu'il est lainé.**

2. – **Victor, comment appelle-t-on les petits d'une oie?**

– **Les noisettes!**

წარმოდგენილ მაგალითებში ცალკეული

მორფემების დამთხვევა ქმნის წანამძღვრებს კალამბურების შესაქმნელად. პირველ შემთხვევაში, სიტყვების **laine** (‘მატყლი’) და **aîné** (‘უფროსი’) თამაშისას, ძირეული მორფემის **lain** საშუალებით იქმნება ნეოლოგიზმი **lainé** (‘მატყლიანი’), რომელიც ითავსებს მნიშვნელობებს (‘მატყლიანი’) და (‘უფროსი’). მეორე ანეკდოტში, თამაშდება სიტყვა **noisette**, რომელშიც შეინიშნება ომოფონია, აგებული კნინობითი სუფიქსით **-ette**. კალამბურს ქმნის სიტყვების **une oie -s** (‘ბატი’) (გადაჯაჭვის შედეგად) და **noix -e** (‘კაკალი’) ბგერითი ფორმები და მნიშვნელობები.

#### **დასკვნა**

ფრანგულ ანეკდოტ-კალამბურებში, კომიკური ეფექტის მისაღწევად გამოიყენება ომონიმთა უკელა ტიპი, გარდა ომოგრაფებისა, რომელთაც არ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა სიტყვათა თამაშის შექმნაში ფრანგული ენისათვის დამახასიათებელი ფიქსირებული მახვილის გამო. აღსანიშნავია, რომ ფრანგულ ანეკდოტ-კალამბურებში, კომიკური ეფექტის შესაქმნელად, ყველა ომონიმთაგან ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ომოფონები, რადგან ფონეტიკურ საფუძველზე წარმოშობილი ომონიმის ეს ტიპი ყველაზე ფართოდაა წარმოდგენილი ენაში.

#### **ლიტერატურა**

1. Guirraud P. (1976): Les jeux de mots. Vendôme: PUF

2. <http://blague.pagesperso-orange.fr>

## **Омонимия во французских анекдотах-каламбурах**

*Ахвледиани Циури Александровна  
Тбилисский государственный университет  
Факультет гуманитарных наук  
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия  
Тел.: 599 508 607  
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com*

*Габуния Кетеван Учаевна  
Тбилисский государственный университет  
Факультет гуманитарных наук  
Пр.И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия  
Тел.: 599 201 099  
E-mail: keti\_gabunia@yahoo.com*

### **Резюме**

Являясь самым распространенным комическим жанром, анекдот представляет значительный интерес для лингвистов в плане выявления и анализа языковых средств, использующихся в создании комического эффекта. В центре лингвистического интереса к анекдоту лежит языковая игра, «языковая шутка», в которой, кроме создания комического эффекта, подшучивания над людьми, жизненными ситуациями, есть также подшучивание над самим языком, над чем-то «необычным» в нем. Частью языковой игры является игра слов, или каламбур, который создается с помощью разных языковых средств, заложенных в самом языке (многозначность, омонимия, фразеология) или возникающих вследствие индивидуальной игры созвучия. Во французских анекдотах-каламбурах для достижения комического эффекта используются все типы омонимов, но из всех омонимов омофоны играют наиболее важную роль, так как этот тип омонимии, возникший на фонетической основе, шире других представлен в языке.

### **Ключевые слова:**

Омонимия, анекдот-каламбур, комический эффект, омофоны.

## **Homonymy in French Anecdote-puns**

*Tsiuri Akhvlediani  
Tbilisi State University  
Humanitarian science faculty  
36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia  
Tel.:599 508 607  
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com*

*Ketevan Gabunia  
Tbilisi State University  
Humanitarian science faculty  
36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia  
Tel.:599 201 099  
E-mail: keti\_gabunia@yahoo.com*

### **Abstract**

Anecdote, as the most spread type of a comical genre deserves great interest of linguists from the view-point of revealing and analysing the language means that serve to create comical effect.

Linguistic interest to an anecdote is aroused by the play of a language joke in which besides comical effect and jokes about a man and life situations, there are also jokes about language and its unusual manifestations. Part of a language play is a word play, i.e. a pun, created by the help of different language means (polysemy, homonymy, phraseology) or as a result of an assonance created in speech. Homophones play the most important role in French anecdote-puns, as this type of homonymy, created on the phonetic basis is widely represented in the language.

### **Keywords:**

homonymy, anecdote-pun, comical effect, homophone.

## სარეკლამო დისკურსის ვერბალური, არავერბალური და პარავერბალური ასპექტები

თამარ გაგოშიძე

გრიგოლ რობაქიძის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, თბილისი,  
საქართველო

ტელ. 571 270 011

E-mail: tamar\_geo@yahoo.fr

ქეთევან გაბურია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,  
საქართველო

ტელ.: 599 201 099

E-mail: keti\_gabunia@yahoo.com

### რეზიუმე

ჩვენს ეპოქაში სარეკლამო დისკურსი გა-  
მოირჩევა მზარდი ინტერესით საზოგადო-  
ების მხრიდან და ის საინფორმაციო საშუ-  
ალებებისა და მსოფლიოს სამეცნიერო წრეე-  
ბის ინტერესების სფეროს წარმოადგენს.  
სარეკლამო დისკურსი, როგორც ლინგვის-  
ტიკის საკლევი ფენომენი, წარმოადგენს  
როლ და ერთმანეთთან ჰქიდობდ დაკა-  
ვშირებულ ნიშანთა სისტემას, რომელიც  
მიზნად ისახავს ადამიანთა გარკვეულ ჯგუ-  
ფზე ზემოქმედებას. იგი ადრესატზე ორიენ-  
ტირებული ლინგვისტური და სემიოტიკური  
ნიშნების ერთობლიობაა, რომლის კვლევა  
ფსიქოლინგვისტურ ჭრილში აქტუალური  
ხდება.

### საკვანძო სიტყვები:

დისკურსი, რეკლამა, ფსიქოლინგვისტიკა,  
ვერბალური და არავერბალური ასპექტები,  
ტექსტი.

### შესავალი

XX საუკუნის ბოლო წლებში საკომუნიკა-  
ციონ საშუალებებმა და თანამედროვე განსხე-  
ვავებულმა ტექნოლოგიებმა აქციეს რეკლამა  
ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად.  
რეკლამაში გამოყენებული დისკურსული  
ხერხების დახმარებით ავტორი ცდილობს  
გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს ადრეს-  
ტზე და შესძინოს მის აღქმა-ცნობიერებას  
გარკვეული მიმართულება.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც,  
რომ თანამედროვე საზოგადოება მკვეთრად  
ხასიათდება პოლიტიკური და საინფორმა-  
ციონ კომუნიკაციის საჭიროების გამძაფრე-  
ბით, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია დე-  
მოკრატიული წყობის იდეოლოგიის დამ-  
კვიდრებით სახელმწიფოთა სოციალურ და  
პოლიტიკურ წრეებში. დღესდღეობით არსე-  
ბული მრავალი პრობლემის განხილვა მიმ-  
დინარებს საჯაროდ, უფრო მეტიც, მათი  
საბოლოო გადაწყვეტა პირდაპირპროპორ-  
ციულად უკავშირდება მსმენელის, ჩვენ შემ-  
თვევაში კი დისკურსის ადრესატის, ანუ  
ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქის ინტერ-  
არეტირებას და თვალსაზრისს.

აქტუალურად დისკურსს და განსაკუთრე-  
ბით, სარეკლამო დისკურსს აღნიშნული  
ასპექტით განიხილავენ როგორც საინფო-  
რმაციო საშუალებები, ისე მსოფლიოს სა-  
მეცნიერო წრეები, თუმცა პოლიტიკური  
თუ სარეკლამო დისკურსის ფენომენთა და  
ასპექტთა შესწავლაში თავს იჩენს პრობლე-  
მები, რომელთა განხილვა, მათი კოგნიტური  
ხასიათის გამო, წარმოადგენს შედარებით  
ახალი მეცნიერების – ფსიქოლინგვისტიკის  
განხილვის საგანს. ზემოთქმულიდან გამომ-  
დინარე, თანამედროვე მეცნიერება ჯერ ვერ  
აყალიბებს დისკურსის და, კერძოდ, პოლი-  
ტიკური დისკურსის დეტალური მახასიათე-  
ბლების ამომწურავ და დეტალურ სქემას.

სარეკლამო ტექნილოგიების ისტორიაში განიცადა ფართო ევოლუცია – მასობრივი ფუნქციიდან იგი გადაიზარდა მოქმედებისა და ზეგავლენის მოხდენის საშუალებად. დღევანდელი ინდუსტრიის ეს ძლიერი ბირთვი მიმართულია წარმოდგენილი ინფორმაციისთვის ადრესატთა კონკრეტული მიმდები ჯგუფის მიებისება. რეკლამის შექმნისა და მოწოდების მრავალპროფილურმა ხასიათმა გამოიწვია მზარდი ინტერესი სამეცნიერო წრეებში. დღეს მისი შესწავლა ხორციელდება ტექნილოგიების სპეციალისტების, სოციოლოგების, ლინგვისტებისა და მრავალი სხვა სფეროს მკლევართა მიერ.

### **ძირითადი ნაწილი**

სალექსიკონო განმარტების თანახმად, რეკლამა (ლათ. *reclamo* – „წამოვიყენებ“) ნებისმიერი მეთოდით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც მრავალი ფორმითა და ხერხით ვლინდება. იგი მიმართულია საზოგადოების ფართო მასებზე, რეკლამირების ობიექტის მიმართ მათი ყურადღების მიპყრობის ან ინტერესის გაღვივების მიზნით.

ალტერნატიული განსაზღვრებით რეკლამა ფასიანი ცალმხრივი კომუნიკაციაა, რომელშიც განსაზღვრულია სპონსორი, ხოლო ინფორმაცია მართვადი ხასიათისაა. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და რომში იწერებოდა სარეკლამო განცხადებები, ცნობილია ბეჭდური სარეკლამო განცხადება ინგლისში, რომელიც 1473 წლით თარიღდება, ხოლო 1611 წელს ლონდონში შეიქმნა მსოფლიოში პირველი სარეკლამო ბიურო.

დღესდღეობით რეკლამა განიხილება, როგორც მარკეტინგის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. რეკლამა სამეურნეო სისტემაში არის საინფორმაციო პროპაგანდისტული დონისძიებების ერთობლიობა, რომელიც

მიზნად ისახავს მოსახლეობის მოთხოვნილებების გათვალისწინებას. სარეკლამო ინფორმაცია აიხსნება, როგორც პოტენციური მყიდველების შეტყობინება საქონლის დანიშნულებისა და თვისებების შესახებ; იგი გაწვდის ინფორმაციას გაყიდვის ადგილებსა და პირობებზე, აგრეთვე შემოთავაზებულ მომსახურებაზე. რეკლამა ახორციელებს მასში ასახული ობიექტის ფართო პროპაგანდას. ტრადიციული განმარტების თანახმად, რეკლამის მირითადი პრინციპებია გეგმაზომიერება და ინფორმაციულობა.


შინაარსობრივი განსხვავების მიუხედავად, ყველა სახეობა იყენებს „საქონლის პოპულარიზაციის“ მსგავს ტექნილოგიებს, რომელთა შორის დისკურსი იკავებს მნიშვნელოვან ადგილს. რუსი პოეტის, ფილოლოგის ა. კუბრიკისა და მის თანამოაზრეთა თანახმად, „დისკურსი არის ტექსტის ბევრად ფართო ცნება, იგი ერთდროულად მოიცავს პროცესსაც და შედეგსაც, ხოლო შედეგი გახდავთ თავად ტექსტი“. აღნიშნული განმარტების გარდა თანამედროვე ლინგვისტურ მეცნიერებებში ფართოდ მოიძებნება დისკურსის ისეთი განმარტებები, რომლებიც არ გულისხმობენ აღნიშნული ფენომენის მხოლოდ ვერბალურ ხასიათს, არამედ დისკურსული ხელოვნება მოიცავს ადრესატის ცნობიერზე ზემოქმედების მრავალ არავერბალურ ხერხსა და ტექნიკას.

ჩვენი აზრით, ტექსტი აღნიშნული მანიპულაციები ვლინდება ე.წ. „ბწარებს შორის“ ჩაქსოვილ იდეებში, ხოლო რეკლამა თავად ტექსტი ჩადებული მინიშნებების გარდა ადრესატზე ახდენს ზეგავლენას სხვადასხვა სპექტაკულარული ხერხებით, როგორიცაა ფერი, ბგერა, ჟესტი და სემოტიკის სფეროს მრავალი სხვა ელემენტი. თუმცა, უნდა შევთანხმდეთ, რომ ყველა არავერბალური ასპექტი შესაძლებელია დავიყვანოთ ვერბალურ გამოხატულებამდე. სწორედ აღნიშნული თვისების გამო სარეკლამო დისკურსი გახდა თანმედროვე ლინგვისტიკის და უფრო კონკრეტულად,

ფსიქოლინგვისტიკის პლევის ერთ-ერთი ძირითადი საგანი.


ზემოთქმულიდან გამომდინარე, სარეკლამო ტექსტი უნდა განვიხილოთ, როგორც განსაკუთრებული სახეობა, რომელიც, პირველ რიგში, შეიცავს ვერბალურ, არავერბალურ და პარავერბალურ უწყებებს. გამოკვლევების თანახმად რეკლამაში აღნიშნული უწყებები შემდეგნაირად ვლინდება:

გერბალური მხარე აუცილებელია სარეკ-



კლამო დისკურსისთვის, თუნდაც სულ მცირედი ნიშნულის ფორმით. ტექსტის სათაურის მსგავსად იგი ადრესატისთვის ასრულებს მთავარ საინფორმაციო როლს. არავერბლური ხერხები დაიყვანება, პირველ რიგში, კოგნიტურ, ხოლო შემდგომ ვერბალურ გამოხატულებებზე. რეკლამის ადრესატის აღქმაში მიმდინარე პროცესები შეგვიძლია გამოიხატოს შემდეგი სქემით:

სარეკლამო დისკურსის განსაკუთრებულ



მახასიათებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ სლოგანის არსებობის აუცილებლობა, რომელიც ადრესატს, გარკვეულწილად, უბიძებს კონკრეტული ქმედებისკენ. ამგვარი სახის უველაზე გაგრცელებული სლოგანებიდან შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ჩვენს უველდღიურობაში ხშირად მოსმენილი ფრაზები: „გახდი პირველი“, „გახდი გამორჩეული“ „დარეკე ახლა“ და ა. შ.

## დასკვნა

უველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ რეკლამა მთელი თავისი მრავალწახნაგოვანი ხასიათით ეფუძნება დისკურსულ ხელოვნებას.

სარეკლამო დისკურსი განვიხილეთ, როგორც ადრესატზე ორიენტირებული ტექნიკა და შესაბამისად, როგორც ადრესატზე ორიენტირებული ლინგვისტური და სემიოტური ნიშნების ერთობლიობა, რომლის ანალიზი, ფსიქოლინგვისტიკური კუთხით, სულ უფრო სრულყოფილი ხდება.

## ლიტერატურა

1. Edwards Ch. Mundy (1981): Retail Advertising and Sales Promotion. – N.Y.
2. Котлер Ф. (2001): Основы маркетинга. – М.
3. Schröder K. (1985): The Language of Advertising / Blackwell Publishers Ltd.
4. Кибрик А. Е. (1992): Очерки по общим и прикладным вопросам языкоznания. Гл. 19. Эскиз лингвистической модели текстообразования. М.
5. <https://ka.wikipedia.org/wiki>
6. <http://www.newposts.ge/?l=G&id=6994>

# **Вербальные, невербальные и паравербальные аспекты рекламного дискурса**

*Гагошидзе Тамар Гивиевна  
Университет им. Гр. Робакидзе  
Факультет гуманитарных наук  
Аллея Агмашенебели, 13 км, Тбилиси,  
Грузия  
Тел.: 571 270 011  
E-mail: tamar\_geo@yahoo.fr*

*Габуния Кетеван Учаевна  
Тбилисский государственный университет  
Факультет гуманитарных наук  
Пр.И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия  
Тел.: 599 201 099  
E-mail: keti\_gabunia@yahoo.com*

## **Резюме**

В наши дни, рекламный дискурс представляет собой область возрастающего интереса и широко анализируется как в информационных, так и в научных кругах. Рекламный дискурс, как явление лингвистического характера, представляет собой сложную и переплетенную знаковую систему, которая направлена оказывать определенное воздействие на людей. Рекламный дискурс представлен как единство языковых и семиотических знаков, направленное на адресата. Анализ его форм представляет предмет изучения психолингвистики.

## **Ключевые слова:**

дискурс, реклама, психолингвистика, вербальные и невербальные аспекты, текст.

# **Verbal, Nonverbal and Paraverbal Aspects in Advertisement Discourse**

*Tamar Gagochidzé  
Tbilisi's University of Gr. Robakidze  
Humanitarian science faculty  
13 km Agmashenebeli ave, Tbilissi, Georgia  
Tél. : 571 270 011  
E-mail : tamar\_geo@yahoo.fr*

*Ketevan Gabunia  
Tbilisi State University  
Humanitarian science faculty  
36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia  
Tel.:599 201 099  
E-mail: keti\_gabunia@yahoo.com*

## **Abstract**

Nowadays, the advertisement discourse has shown increasing appeal and is broadly analyzed by both information facilities and world-wide scientific circles. The advertisement discourse, as a linguistic research phenomena, represents complicated and intertwined sign system which aims to exert certain impact on people. It is represented as a lingual and semiotic unity aimed at the addressee the analysis of which acquired established psycholinguistic form.

## **Keywords:**

Discourse, advertisement, psycholinguistic, verbal and non-verbal aspects, text.

# გერმანელი და ქართველი ახალგაზრდების სასაუბრო თემების შედარებითი ანალიზი

მირანდა გობიანი

ქუთაისის წერეთლის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
თამარ მეფის გამზ. №59, 4600, ქუთაისი,  
საქართველო  
ტელ. 599 366 799  
E-mail: gobianimiranda@hotmail.com

## რეზიუმე

სტატიაში განხილულია ახალგაზრდების სასაუბრო თემატიკის განმაპირობებელი ფაქტორები. მოცემულია ქართველი და გერმანელი ახალგაზრდების სასაუბრო თემების შედარებითი და გენდერული ანალზი.

ცხოვრების სტილი და სოციალური გარემო ქმნის ერთ განსაზღვრულ ჯგუფს. სოციალური კლასისა და ფენისაგან განსხვავებით აქ მნიშვნელოვანია არა ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ ქცევა და მსოფლიოდგენობა. ჩემს მიერ გაკეთებული შედარებითი ანალიზის მიხედვით: გერმანელ გოგონებში ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი აქვს საუბრებს სხვებზე, საპირისპირო სქეზე. ქართველ გოგონებში ჭარბობს თემები: პირად გრძნობებსა და პრობლემებზე, ინტერნეტ-ურთიერთობებზე, სხეულის ნაწილებზე, მხატვრულ ლიტერატურაზე. გერმანელ ვაჟებში ჭარბობს თემატიკა: სექსუალურ გამოცდილებებზე, მოწევაზე, ალკოჰოლზე, გამაბრუებელ საშუალებებზე, ქართველ ვაჟებში – ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ინტერნეტ-ურთიერთობებზე.

## საკვანძო სიტყვები:

სოციალური გარემო, ახალგაზრდების მეტყველება, სასაუბრო თემები, შედარებითი ანალიზი.

## შესავალი

ცხოვრების სტილი და სოციალური გარემო ხშირად სინონიმებად გაიგება, ცხოვრების სტილი ერთმანეთთან აკავშირებს სოციალურ მდგომარეობას, ინდივიდის ქცევას, ობიექტურ ცხოვრების პირობებსა და კულტურულ გარემოს. ცხოვრების სტილი და სოციალური გარემო ქმნის ერთ კონკრეტულ ჯგუფს. სოციალური კლასისა და ფენისაგან განსხვავებით აქ მნიშვნელოვანია არა ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ ქცევა და მსოფლიოდგენობა. სოციოლინგვისტიკაში ახალგაზრდების მეტყველების კვლევისას ცხოვრების სტილის გათვალისწინება საკითხისადმი ახალი მიღებისა. ახალგაზრდების ცხოვრების სტილსა და სოციალურ გარემოს განსაზღვრავს: ქცევა თავისუფალ დროს, ფილმები და ტელევიზია, მუსიკა, რომელსაც ახალგაზრდები ინტენსიურად უსმენენ, ჩატმის სტილი, ცეკვის სტილი, საკითხისავი ლიტერატურისადმი დამოკიდებულება, ჭამა-სმის ჩვევები, თავის მოვლა, ჯგუფის წევრობა, ფასეულობები და ნორმები და ა.შ. [Raithel. 2005: 8].

სტატიაში გამოყენებული მაგალითები და მიღებული შედეგები გაკეთდა 2008-2014 წლებში ჩემ მიერ შედგენილი კორპუსის მასალებზე დაყრდნობით. კორპუსი შედგება ახალგაზრდების დისკურსის აუდიო-ვიდეო ჩანაწერების ტრანსკრიპტებისგან (ჩანაწერების საერთო რაოდენობაა 140 საათზე მეტი). ჩანაწერთა ტრანსკრიპცია შესრულებულია GAT-ის მიხედვით (Grsprächsanalytische Transkription) [Selting 1998:91]

## ძირითადი ნაწილი

### ახალგაზრდების სასაუბრო თემები

ადრეული და შუა ასაკის გერმანელი მოზარდების საუბრის სტილის ერთ-ერთი რესურსი ფილმები და ტელევიზიაა. ისინი

ყვებიან სატელევიზიო ფილმების შინაარსს, საუბრობენ სენსაციურ ამბებზე, ახდენენ გადაცემების წამყვანების ან მონაწილეების ციტირებას და იმიტაციას. მაგალითი მე-9-ე კლასები გერმანელი გოგონების საუბრიდან [Neuland. 2008: 140]:

1. A: Sie meint Lollo Ferrari
2. B: Dolly Buster
3. C: Is die nich tot?
4. D: Nein
5. A: Ja, die is gestorben
6. E: Höh. Wenn denn? Hab ich gar nicht mitgekriegt
7. A: vor' ner Woche, ja
8. B: is gar nich lang her
9. F: Mensch, guckst du kein Fernseh?
10. E: Wie... geplatzt oder was?
11. D: (lacht) Rückenschmerzen
12. F: nein... die hat... die soll Tabletten genommen haben
13. A: Die hat ... die hatte ihre Beerdigung schon geplant
14. D: ihr ging's ganz schlecht
15. F: sie war psychisch auch total fertig
16. D: aber sie war eine liebenswerte Person. Das sagen se immer wieder

ამ საუბარს საფუძვლად უდევს სატელევიზიო გადაცემის სენსაციური შეტყობინება პოპულარული ადამიანის გარდაცვალების შესახებ. ბავშვები აანალიზებენ მომხდარს, გამოთქვამენ საკუთარ აზრს და საუბარში იყენებენ გადაცემის წამყვანის სიტყვებს, მაგ: „ihr ging's ganz schlecht“ (სტ.14), „sie war eine liebenswerte Person“ (სტ.16). გერმანელი მოზარდების მსგავსად, ქართველი ახალგაზრდების, განსაკუთრებით გოგონების, ერთ-ერთი სასაუბრო თემა სატელევიზიო გადაცემები და ყვითელი პრესაა.

მუსიკით გართობისას გერმანელი ახალგაზრდები უპირატესობას ანიჭებენ დისკომუსიკას, ტექნიკს, მძიმე როკს და სოულს. ქართველი ახალგაზრდების ჯგუფი, რომელსაც ვაკვირდებით, უსმენენ უმეტესად პიპ-ჰოპს. გერმანელებისაგან განსხვავებით

ქართველი ახალგაზრდები სიამოვნებით უსმენენ ხალხურ მუსიკას, პოპ-მუსიკას და საესტრადო სიმღერებს. ახალგაზრდებისათვის ყველაზე სასურველი ჩაცმის სტილია პრაქტიკული და ხარისხიანი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ტარება. ბიჭებს უფრო აინტერესებთ ტანსაცმლის მარკა და ფირმა, გოგონებს – მოდა. გერმანელ ახალგაზრდებში თავისუფალ დროს წიგნის კითხვა არაა პოპულარული, თუმცა ხშირად კითხულობენ ქურნალ-გაზეთებს. ქართველ გოგოვაჟებში წიგნით დაინტერესება უფრო მაღალია. ქვემომოყვანილ მაგალითში გოგონები (16-17 წლის) საუბრობენ წაკითხული წიგნის შინაარსზე, განიხილავენ მას და ურჩევენ ერთმანეთს რა წაკითხონ.

საუბრები საჭმლის, სასმელის და მოწევის თემაზე ვაჟებში უფრო ხშირია, ვიდრე გოგონებთან.

საუბრობენ გერმანელი ვაჟები [Sherpa. 2007: 47]:

1 C: mein Bruder hat sich mal so zugeKIFFT(.) dass er danach KOTzen muss= musste(.) der hatte SO lange gezogen=

2 D: =OH so schlimm, das ist meinem Cousin auch [schon passiert

3 C:[=und der musste in der Hütte liegen bleiben

4 D: das ist schon fast jedem passiert(.) der schon mal gekifft hat(.) Ich hab noch nie gekotzt(.) 5.Zum Glück au ni wo ich besoffe war (.) also kein EINziges mal eigentlich

6 B:WAS?! (-) hab SO oft gekotzt schon (lacht)

7 Alle lachen

8 C: ein Freund von mir, der ist so ein Opfer der hat SO viel getrunken, geht nach Hause und 9.KOTZT erst mals=Klo voll [dann=

10 A:[=Jonas(.)Jonas=

11 B: du hast au auch NIE gekotzt?

12 A=NEIN(.) ich mein Landschulheim (zeigt auf Jonas)

13 B: ja da hat er (Jonas)gekotzt

14 A: erst ins Klo(.)=<((acc))> wo er dann weggerannt ist GE?

15 D: dann wollt er mir in de Arm=was heißt? =der

HAT mir in den arm gebisse

16 Alle lachen

17 B: de Jonas war so missgeburt gewesen (? ?)

18 A: <((acc))> [GE]

19 D: <((acc))> [Ge? Ganze Zeit von hinter, ich hab ihn auf de Bode geworfe und dann=

20 C:[ich hätt mich unter=(?) ich hätt mich unter Kontrolle haben KÖNnen

21 Das weiß ich noch aber ich hab kein BOCK drauf gehabt

22 D:[(weinerlich) aber s=HANDy hab ich verLOren (lacht C aus)

ვაჟები ყვებიან, თუ როგორი ზემოქმედება აქვს მარიხუანას მოწევას. მათი აზრით, მოწევის შემდეგ ყველა აღებინებს. ამ მოვლენას ისინი უარყოფითად აფასებენ (სტ 2,4).

მაღალია ვაჟების აქტიურობა კრიმინალური მიმართულებითაც. ვაჟები უფრო ხშირად საუბრობენ ცხოველებზე, ექსტრემალური თამაშებითაც გატაცებულნი არიან უფრო ვაჟები, ვიდრე გოგონები (ვაჟები 45,4%, გოგონები 25%). მაგალითი ვაჟების საუბრიდან:

ვაჟები ყვებიან, თუ როგორი ზემოქმედება აქვს მარიხუანას მოწევას. მათი აზრით, მოწევის შემდეგ ყველა აღებინებს. ამ მოვლენას ისინი უარყოფითად აფასებენ (სტ. 2,4).

მაღალია ვაჟთა აქტიურობა კრიმინალური მიმართულებითაც. ვაჟები უფრო ხშირად საუბრობენ ცხოველებზე, ექსტრემალური თამაშებითაც გატაცებულნი არიან მეტად, ვიდრე გოგონები (ვაჟები – 45,4%, გოგონები – 25%). მაგალითი ვაჟების საუბრიდან:

1. A: აუ დღეს მიშვა რო გადმოხტა ხიდზე ((იცინის))

2. B: შენ რა იცი ბიჭო?

3. A: მითხვეს ძმაო

4. A ასე რო ხტებოდა თურმე და გაჩერდა ჰაერში ((იცინის))

5. B: ხიდზე ვიდექი

6. გადმოხტომა მინდოდა და

7. რაღაცნაირად შევჩერდი

8. A: ( ) პროსტო რაღაცნაირად?

9. აუ რა სანახავი იქნებოდა

10. B: ტალახი იყო თან

11. ამ სიმაღლიდან ვხტები და

12. თან არ ვხტები

13. ( ) ხო აზრზე ხარ

14. აუ იმენია იმენია ვიხოხე სახით

15. A: რაფერ იყვირებდი აზრზე ვარ

16. G: დაჯდა და არ იღებდა ხმას

17. B: შენ ვის დასცინი?

18. A: კაი ახლა მასე მისდღემზი არ გადავმხტარვარ

19. თავით არ ჩავრჭობილვარ ტალახში

20. B: შენ მაგხელა სიმაღლიდან არ გადმომხტარხარ ჯერ და მიტო

21. წამოდი ხვალ და ვნახოთ რას იზამ

22. A: რას მაშინებ

23. წამოვალ

ვაჟები საუბრობენ მაღალი სიმაღლიდან გადახტომის შესახებ, რაც, როგორც საუბრიდან ირკვევა, დიდ რისკთანაა დაკავშირებული.

ფასეულობებსა და ნორმების არჩევანში გოგონებსა და ბიჭებს შორის არ შეიმჩნევა დიდი განსხვავება. გოგონებისთვის მნიშვნელოვანია პქონდეთ კარგი პროფესია – 91,3%, ვაჟებისათვის – 80,6%, სურვილი მიიღო კარგი განათლება: გოგონები – 89,6%, ვაჟები 85,5%, შექმნან კარგი ოჯახი, გოგონები – 88,5%, ვაჟები – 75,6% (ლაიტჰელ, 2005, 155). სამომავლო გეგმებზე საუბარი და საოჯახო, ჩვეულებრივი, ტრივიალური ისტორიების მოყოლა გოგონებთან უფრო ხშირად ხდება, ვიდრე ბიჭებთან. სოციალური მდგომარეობა განაპირობებს საუბრის თემატიკას: „ფულზე“ ხშირად ვაჟები საუბრობენ.

გოგონები საუბრობენ ნებისმიერ წვრილ-მანზე და თან დიდი ინტერესითა და ემოციით. ვაჟები არ საუბრობენ მსგავს თემებზე. ასევე იშვიათია მათი საუბარი გარეგნობაზე. ამჯობინებენ კონკრეტულ სხეულის ნაწილებზე საუბარს, გოგონები უფრო მეტ ყურადღებას ამასვილებენ სხეულის კორექციაზე, ქვემომოყვანილ მაგალითში გოგონები (15-17 წლის) საუბრობენ, რო-

გორ გაილამაზონ თავი, რა არ მოსწონთ  
საკუთარ გარეგნობაში, რა მოსწონთ. აქვთ  
კრიტიკული დამოკიდებულება საბუთარი  
გარეგნობის მიმართ:

1. A: მინდა რო გავიკეთო (-)
2. მინდა რო გავიკეთო სილიკონი
3. B: მე მაგალითად=
4. A: = საშუალება რომ მქონდეს არ დავ-  
ფიქრდებოდი
5. B : მე რო არ მქონდეს გავიკეთებდი
6. მართლა გავიკეთებდი
7. იმიტო რომ (-)
8. მაგი იმხელა კომპლექსია
9. ძუძუ რო არ გაქ
10. არ დავფიქრდებოდი=
11. G: [ნამდვილად

როგორც გერმანელი ახალგაზრდები, ასევე  
ქართველი ახალგაზრდებიც ინტენსიურად  
იყენებენ ინტერნეტს, რაც აისახება მათ მე-  
ტყველებაში. თემა „ინტერნეტკომუნიკაცია“  
მათი საუბრების თითქმის 40% შეადგენს.

ხშირია მოზარდებში საუბრები საპირისპი-  
რო სქესზე. ვაჟების საუბრის თემა უმეტეს-  
ად სექსუალური გამოცდილებებია. რა თქმა  
უნდა, გოგონებიც საუბრობენ სექსუალურ  
თემებზე, მაგრამ არა სექსუალურ გამოც-  
დილებებზე.

გოგონების საუბრის თემა ხშირად საკუ-  
თარი წარუმატებლობაა, პრობლემები, ახა-  
ლი პიროვნებები, მასწავლებლებთან, მშო-  
ბლებთან ურთიერთობა, სახუმარო ისტო-  
რიები, პირადი პიგინა, მოღური ვარცხნი-  
ლობა, ტანსაცმელი. ბიჭებს აინტერესებთ  
სპორტული წარმატებები, ტანსაცმელი,  
რეალური ან მათ მიერ შეთხული ისტო-  
რიები, ცხოველები, სენსაციური ამბები, ან-  
ეკდოტები. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი  
გოგონებშიც და ვაჟებშიც აქვს რომანტიულ  
თემებს, ჰეტეროსექსუალურ ურთიერთობებს.  
რა თქმა უნდა, გრძნობებზე, რომანტიულ  
ურთიერთობებსა თუ შეგრძნებებზე საუბარი  
განსხვავდება ასაკის, სქესის, კულტურის  
მიხედვით.

ადრეული ასაკიდანვე მოზარდებში იწყე-  
ბა დაწყვილებისადმი ინტერესი. გოგონები  
ხშირად უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ  
სასიყვარულო, რომანტიულ შეგრძნებებს.  
მეგობარ გოგონებს ერთმანეთის პირად  
გრძნობებზე მეტი ინფორმაცია აქვთ. აინ-  
ტერესებთ, მუდმივად აკვირდებიან ერთმა-  
ნეთის რომანტიულ ქმედებებს, რეგულარუ-  
ლად საუბრობენ, მსჯელობენ ამ საკითხზე,  
ეს მათი გასართობი ინტერაქციაა. ვაჟები  
პირად გრძნობებზე ასე დეტალურად არ  
საუბრობენ, არ ახდენენ ფაქტების დრამა-  
ტიზირებას. არსებობს გამონაკლისიც.

ახალგაზრდების საუბრის სტილს, საუ-  
ბრის თემატიკას განსაზღვრავს სოციალური  
წრე, სამეგობრო. გოგონები ხშირად მსჯე-  
ლობენ მეგობრობაზე, მტკიცნეულად განი-  
ცდიან მეგობრის დალაცს. ახალგაზრდები  
თანაუგრძნობენ მეგობარს გაჭირვებაში,  
ხშირად საუბრობენ პრობლემებზე, აძლევენ  
ერთმანეთს რჩევებს.

გენდერულად შერეულია მომდევნო დის-  
კურსი, გოგონები –, და ვაჟები, (12-16 წლის):

1. A: ტატო
2. მაგი როგორია იცი?(-)
3. დღეს სხვა უყვარს
4. ხვალ სხვა
5. წავა ახლა დასასვენებლად და
6. უყოლება სხვა
7. B: ნედლი ნედლი <((აცც))>
8. A: მასეთ გოგოზე არ დირს ნამდვილად  
ნერვიულობა
9. B: [მასეთი უნდა დაიკიდო
10. A: [კი იქნები ცოდვა მარა ასეთ შემ-  
თხვევაში
11. მასეთი გოგო უნდა დაიკიდო
12. B: რა თქმა უნდა
13. A: ასე ტატო გაიგე?
- ...
26. D: გინდა ვცემოთ ბექა?
27. A: იმისი რა ბრალია
28. გოგოს უნდა და
29. D: მართლა გავლახავ შენ თუ გინდა  
დედას გეფიცები

30. A: ჰე გამოფხიზლდი გამოფხიზლდი ახლა (-)

ახალგაზრდები დიდ თანაგრძნობას იქნენ მეგობრის მიმართ, არა აქვს მნიშვნელობა, მეგობარი გოგონაა თუ ბიჭი. მოცემული დიალოგის მიხედვით, ბიჭი მიატოვა შეყვარებულმა. იგი თავს ძალიან ცუდად გრძნობს, საუბარში მონაწილეობას არ იღებს, მხოლოდ თავჩალუნული უსმენს მეგობრების დარიგებებს. გოგონები ცდილობენ აუხსნან, თუ რატომ არ დირს იმ გოგონასთვის ნერვიულობა (სტ. 2-12). ბიჭი თავის თანაგრძნობას იმით გამოხატავს, რომ სთავაზობს -ს გალახონ ვინმე ბექა (სტ.26/29), რომელიც შეუყვარდა -ს ყოფილ შეყვარებულს. ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან გოგონები, თვლიან, რომ ბექას ბრალი არაა, ეს გოგონას არჩევანი იყო (სტ. 27-28).

### სასაუბრო თემების შედარებითი ანალიზი

შედარებითი ანალიზისათვის შევარჩიე გოგონების და ვაჟების ათი ყველაზე პოპულარული სასაუბრო თემა და დავადგინე არსებულ ემპირიულ მასალაში ამ თემებზე საუბრის სიხშირის პროცენტული მაჩვენებელი. შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა (იხილეთ სქემა 1): გერმანელ გოგონებში ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი აქვს საუბრებს სხვებზე (70%), საპირისპირ სქესზე (90%). ქართველ გოგონებში ჭარბობს თემები: პირად გრძნობებსა და პრობლემებზე (50%), ინტერნეტ-ურთიერთობებზე (40%), სხეულის ნაწილებზე (60%), მხატვრულ ლიტერატურაზე (40%). თითქმის ერთნაირი მაჩვენებელი აქვთ: სახალისო ისტორიებს (გერმანელი გოგონებში 20%, ქართველებში 30%), მეგობრობას/სიყვარულს (გერმანელ გოგონებში 60%, ქართველებში 70%), ოჯახურ ურთიერთობებს/პრობლემებს (გერმანელ გოგონებში 30%, ქართველებში 45%), ტანსაცმელს (გერმანელ გოგონებში 60%, ქართველებში 70%).

ვაჟების საუბრის შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა (იხილეთ სქემა 2.), რომ გერ-

მანელ ვაჟებში ჭარბობს თემატიკა: სექსუალურ გამოცდილებებზე (80%), მოწევაზე/ალკოჰოლზე/გამაბრუებელ საშუალებებზე (80%), ქართველ ვაჟებში – ეკონომიკურ მდგომარეობაზე (80%), ინტერნეტ-ურთიერთობებზე (30%). ნაკლებია განსხვავება, როცა საუბარია: ექსტრემზე (გერმანელ ვაჟებში 30%, ქართველებში 40%), საუბრები სხვებზე (გერმანელ ვაჟებში 30%, ქართველებში 20%), საკუთარ/რეალურ ისტორიებზე (გერმანელ ვაჟებში 60%, ქართველებში 70%), ფიქტიურ ისტორიებზე (გერმანელ ვაჟებში 40%, ქართველებში 30%), სახალისო ისტორიებზე (გერმანელ ვაჟებში 80%, ქართველებში 80%), პირად გრძნობებზე (გერმანელ ვაჟებში 20%, ქართველებში 10%).

ამგვარად, ორივე ეროვნების ვაჟებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოდის: სექსუალურ გამოცდილებებზე, მოწევაზე/ალკოჰოლზე/ გამაბრუებელ საშუალებებზე, სახეუმარო ისტორიებზე, გოგონებში – ტანსაცმელზე, საპირისპირ სქესზე, მეგობრობაზე/სიყვარულზე, სხვებზე საუბარზე.


### დასკვნა

ახალგაზრდების ენის სტილი ჯგუფის სტილია, მისი წინაპირობაა ინტერაქცია ჯგუფში და ჯგუფის ნორმები და ფასეულობები. განსხილული დისკურსის ნიმუშები მოწმობს, რომ ცხოვრების სტილი, სოციალური გარემოცვა, მედიის გავლენა ახალგაზრდების ენას განსაკუთრებულ ენად ქმნის და განსაზღვრავს მათი საუბრის თემატიკას. გერმანელი და ქართველი ახალგაზრდების სასაუბრო თემებია: მოწევა/ალკოჰოლი/გამაბრუებელი საშუალებები; სექსუალური გამოცდილებები; ურთიერთობები ოჯახში; საპირისპირ სქესი (ზოგადად); ურთიერთობა კონკრეტულ გოგონასთან/ბიჭთან; საკუთარი/რეალური ისტორიები; ფიქტიური ისტორიები; სახალისო ისტორიები; სენსაციური ამბები (მასმედია); სპორტი; ცხოველები; პირადი გრძნობები/

პირადი პრობლემები; მუსიკა; ტანსაცმელი; მხატვრული ლიტერატურა; ექსტრემი; სხეულის ნაწილები; შიში; საუბრები სხვებზე (ჭორაობა); მეგობრობა/სიყვარული; ინტერ-

ნეტ-ურთიერთობა; ეკომონომიური მდგომარეობა; უცხოელები/ საზღვარგარეთი.


### სქემა 1. პოპულარული თემები გოგონების საუბრებში [გობიანი, 2014: 132]



სიმბოლოები:

- — გერმანელი გოგონები.
- ქართველი გოგონები.
- 1. სახალისო ისტორიები,
- 2. საუბრები სხვებზე,
- 3. პირადი პრობლემები/ გრძნობები,
- 4. მეგობრობა/სიყვარული,
- 5. ინტერნეტ-ურთიერთობა,
- 6. ოჯახური ურთიერთობები / პრობლემები,
- 7. სხეულის ნაწილები,
- 8. ტანსაცმელი,
- 9. საპირისპირო სქესი,
- 10. მხატვრული ლიტერატურა.

### სქემა 2. პოპულარული თემები გაჟების საუბრებში [გობიანი, 2014: 133]



სიმბოლოები:

- — გერმანელი გოგონები.
- ქართველი გოგონები.
- 1. ექსტრემი,
- 2. ეკონომიური მდგომარეობა,
- 3. სექსუალური გამოცდოლება,
- 4. საუბრები სხვებზე,
- 5. ინტერნეტ-ურთიერთობა,
- 6. მოწვევა/ალკოჰოლი,
- 7. საკუთარი/რეალური ისტორიები,
- 8. ფიქტიური ისტორიები,
- 9. სახალისო ისტორიები,
- 10. პირადი გრძნობები/ პრობლემები

## ლიტერატურა

1. გობიანი მ. (2014): დისკურსის გენდერული დინამიკა ახალგაზრდების მეტყველებაში (გერმანული და ქართული ენობრივი მასალის მიხედვით). <http://iliauni.edu.ge/uploads/other/1/1475.pdf>.
2. გობიანი მ. (2013): ახალგაზრდების საუბრების სოციოლინგვისტური ანალიზი// საერთაშორისო „კონფერენციის „თანამედროვე ინტერდისციინარიზმი და პუმანიზმული აზროვნება“ კრებული. ქუთაისი
3. Gobiani M., Kothoff H. (2014): Konversationelle Aktivitäten und Sprechstile einer männlichen Jugendgruppe in Georgien. In: Helga Kothoff / Christine Mertzlufft (Hg): Jugendsprachen – Stilisierungen, Identitäten, mediale Ressourcen. Peter Lang Edition. Frankfurt am Main
4. Raithel Jürgen (2005): Die Stilisierung des Geschlechts. Jugendliche Lebensstile, Risikoverhalten und die Konstruktion von Geschlechtlichkeit. Jugendforschung. Juvente Verlag, Weinheim und München
5. Sherpa Mingma (2007): Analyse der Kommunikationsstilistik von männlichen Jugendlichen. Wissenschaftliche Arbeit. Transkript. Matrikelnummer:1385060. Vergabe des Themas
6. Selting Margret (1998): Gesprächsanalytisches Transkriptionssystem (GAT). In: Linguistische Berichte 173
7. Zinnercker Jürgen (2002): Das Deutungsmuster Jugendgeneration. Fragen an Karl Mannheim, in: J. Zinnecker & H. Merkens (Hg.) Jahrbuch Jugendforschung 2

## Сравнительный анализ разговорных тем немецкой и грузинской молодежи

Гобиани Миранда Георгиевна

Кутаисский государственный университет им. Церетели

Пр. Тамар Мене №59, 4600, Кутаиси, Грузия

Тел.: 599 366 799

E-mail: gobianimiranda@hotmail.com

### Резюме

В статье рассмотрены факторы, обуславливающие разговорную тематику молодежи. Мы представляем сравнительный и гендерный анализ разговорных тем грузинской и немецкой молодежи.

Образ жизни и окружающая социальная среда создают одну группу. В отличие от социального класса и слоя, в данном случае, наиболее важным, на наш взгляд, является не экономическое положение, а поведение и мировоззрение. Образ жизни и окружающая социальная среда молодежи определяются следующими факторами: поведением в свободное время, фильмами и телевизионными программами, музыкой, которую молодежь слушает интенсивно, ухаживанием за собой, членством группировки, стилем одежды, стилем танца, отношением к читаемой литературе, навыками питания, ценностями и нормами и т.д. Согласно проведенному анализу, среди немецких девушек большое место в процентном отношении занимают разговоры о других представителях противоположного пола. Среди грузинских девушек преобладают темы о личных переживаниях и проблемах, об интернет-отношениях, о частях тела, о художественной литературе. Среди немецких парней преобладают темы о сексуальном опыте, курении, алкоголе, о психотропных и одурманивающих веществах. Грузинские парни в основном разговаривают об экономическом положении и интернет-отношениях.

**Ключевые слова:**

Социальная среда, молодежная речь, разговорные темы, сравнительный анализ.

## **Comparative Analysis of the Conversational Themes of Georgian and German Youth**

*Miranda Gobiani*

*Kutaisi's University of Tsereteli*

*59 Tamar Mepe av., 4600, Kutaisi, Georgia*

*Tél. : 599 366 799*

E-mail: gobianimiranda@hotmail.com

### **Abstract**

Social style and social environment form one group. Unlike social class and layer, in this case not an economic position but behaviour and worldviews are important. The life style and social environment of young people are determined by free time activities, movies and television, music that young people intensively listen to, dressing style, dancing style, attitude to the literature, habits of eating-drinking, body care, membership of the group, values and norms.

The analysis of the discourse samples discussed in the paper clearly shows that life style, social environment and media influence turn the language of young people into something special and determine the topics for conversations.

For the comparative analysis we have chosen ten most popular conversation topics for girls and boys and estimated the frequency rate (percentage) of using these topics based on the empirical material. Thus, the highest percentage in boys comes on sexual experience, smoking/alcohol/intoxicating means, and humorous stories while in girls \_on clothes, opposite sex, friendship/love and talks about others.

**Keywords:**

social environment, young people in the speech, conversational topics, comparative analysis.

# **Methods of Teaching and learning language and culture**

*Rusudan Gotsiridze*

*Georgian Technical University*

*Department of Liberal Sciences*

*77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia*

*Tel.: 893 301 342*

*E-mail: rusudgo@yahoo.com*

## **Abstract**

The topic of teaching and learning culture has been a matter of considerable interest to language educators and much has been written about the role of culture in foreign language instruction over the past four decades. Most importantly, in recent years various professional associations have made significant efforts to establish culture learning standards. The field is highly interdisciplinary in nature; contributions to the knowledge base have come from psychology, linguistics, anthropology, education, intercultural communication, and elsewhere. Moreover, anthropologists, intercultural communication scholars, and psychologists, in particular, have studied cultural phenomena quite apart from their relationship to language learning. The paper discusses how language learners can become effective culture learners.

## **Keywords:**

teaching and learning culture, culture learning standards, intercultural communication, cultural context.

## **Introduction**

Culture learning is the process of acquiring the culture-specific and culture-general knowledge, skills, and attitudes required for effective communication and interaction with individuals from other cultures. It is a dynamic, developmental, and ongoing process which engages the learner cognitively, behaviorally, and affectively.

Culture learning goals shift from the memoriza-

tion of cultural facts (including sociolinguistic conventions for language use) to higher order learning outcomes including: the acquisition of “interactional competence” and learning how to learn about culture.

## **Main Body**

Culture and language learning involve a dynamic relationship between the situation and the actors in which cultural context, prior experience, and other factors come into play (Street, 1993). Putting culture at the core of language education means preparing students to be culture learners. Thus, it is never enough to find and accept someone else’s static definitions of the culture. Words and their meaning are linked to a cultural context, and language and cultural patterns change over time and vary according to the situation.

To become effective culture learners, students must develop a variety of learning strategies ranging from reflective observation to active experimentation. Most importantly it is knowing how to learn from the context while immersed in it, or what Hughes (1986) refers to as “learning how to learn.”

These culture-general learning outcomes do not replace culture-specific learning objectives, but they constitute the larger learning framework within which target culture learning occurs.

One of the major conceptual distinctions to be noted is between what is commonly referred to as the culture-specific versus culture-general domains of learning. Culture-specific learning refers to the acquisition of knowledge and skills relevant to a given “target culture,” i.e., a particular culture group or community. Culture-general learning, on the other hand, refers to knowledge and skills that are more generalized in nature and transferred across cultures. This body of knowledge includes, among other things, the concept of culture, the nature of cultural adjustment and learning, the impact of culture on

communication and interaction between individuals or groups, the stress associated with intense culture and language immersions (culture and language fatigue), coping strategies for dealing with stress, the role of emotions in cross-cultural, cross-linguistic interactions, and so forth.

Culture-general skills include the capacity to display respect for and interest in the culture, the ability to be a self-sustaining culture learner and to draw on a variety of resources for that learning, tolerance and patience in cross-cultural situations, control of emotions and emotional resilience, and the like (Lustig and Koester, 1996).

The second point to be noted is the distinction between attitudes, behavior, and knowledge, i.e., the affective, behavioral, and cognitive domains of learning. This is a distinction based on the pioneering work of psychologists such as Bloom (1964) and inter-culturalists.

The methodology suggested by Crawford-Lange & Lange (1984), Kramsch (1993), and, particularly, Byram (1988) is congruent with Paige's definition of culture learning which is anchored in three fundamental learning processes:

- 1) the learners' exploration of their own culture;
- 2) the discovery of the relationship between language and culture,
- 3) the learning of the heuristics for analyzing and comparing cultures.

Meta-awareness and cross-cultural comparison lie at the heart of such a culture pedagogy. This implies providing opportunities for interaction.

For language and culture learning, context is an overarching concept which subsumes many other variables including: the setting; the teacher; the learner; instructional methods; instructional materials; and assessment approaches.

Byram (1988) asserts that language has no function independent of the context in which it is used, thus language always refers to something beyond itself: the cultural context. This cultural context defines the language patterns being used when particular persons come together under certain circum-

stances at a particular time and place. This combination of elements always has a cultural meaning which influences language use.

Most human interaction is based not so much on people having shared intimate knowledge of each other, but rather on their having an understanding of the context in which the communication is taking place. Understanding the context means the persons know these cultural meanings associated with time, place, person, and circumstance. This understanding, in turn, prescribes language behavior appropriate to those circumstances. In essence, one does not need to be familiar with the other person in order to communicate, but one does need to understand the context. This, of course, becomes far more problematical in cross-cultural encounters.

A central and recurring theme in discussions of context is the idea of the meaning structures associated with time, place, person, and circumstance. There are two types of contexts that are important in intercultural encounters:

External context, which refers to the various locations or settings where interactions occur and the meanings society attaches to them. External context, then, is about social meaning on the grand scale, i.e., the ways in which a particular culture group construes the various settings for human interaction and communication.

Internal context, on the other hand, refers to the cultural meanings that people themselves bring into an encounter. It is the internal context that creates the conditions for understanding or misunderstanding among people from different cultures because, as Hall (1976) points out, there are many cultural variations that influence how people perceive situations and each other; these range, for example, from how far they stand apart during a conversation to how much time they are willing to spend communicating.

The concept of context takes additional forms in sociolinguistic analysis. Hymes (1974) lists 8 factors which he believes make up context in interpersonal communication. They include: setting, participants, end (or purpose), act sequence (form

and content of an utterance), key (verbal and non-verbal manner), instrumentalities (choice of channel and code), norms of interaction and interpretation, and genre. Another type of context less frequently mentioned is the context created by the interaction itself. Along with the internal and external dimensions of context which are set before the encounter, the two interactants will continuously be scanning each other's verbal and nonverbal communication (contextualization cues) for insights into the meaning of their encounter

.

## Conclusion

Culture is central to all of the types of context mentioned by these authors and researchers. It is not the context itself that alters language use or how the interactants behave, it is the meaning associated with that context, and that meaning is determined by the culture. It is essential, therefore, for language learners to be effective culture learners. They must know how to "read" the context. This suggests that language instruction must provide opportunities for students to be exposed to, or better yet, immersed in the target culture in order to gain skills in ascertaining the cultural meanings of time, place, person, and circumstances.

## Literature

- 1.Bloom, B. (1964). Stability and change in human characteristics. New York: John Wiley.
- 2.Byram, M. (1988). Foreign language education and cultural studies. Language, Culture, and Curriculum, 1, (1), 15-31.
- 3.Crawford-Lange, L. M. & Lange, D. (1984). Doing the unthinkable in the second-language classroom: A process for integration of language and culture. In T. V. Higgs (Ed.), Proficiency: The organizing principle (pp. 139-177). The American Council on the Teaching of Foreign Languages Foreign Language Education Series. Lincolnwood, IL: National

Textbook.

4.Hall, E. T. (1976). Beyond culture. New York: Doubleday.

5.Hughes, G. H. (1986). An argument for culture analysis in the second language classroom. In J. M. Valdes (Ed.), Culture bound: Bridging the cultural gap in language teaching (pp. 162-169). New York: Cambridge University Press.

6.Hymes, D. H. (1974). Foundations in sociolinguistics: An ethnographic approach. Philadelphia: University of Pennsylvania Press.

7.Kramsch, C. (1993). Context and culture in language teaching. New York: Oxford University Press.

8.Lustig, M. W., & Koester, J. (1996). Intercultural competence: Intercultural communication across cultures (2nd ed.). New York: Harper-Collins.

9.Street, B. V. (1993). Culture is a verb. In D. Graddol et al. (Eds.), Language and culture (pp. 23-42). U.K.: BAAL and Multilingual Matters.

## ენის და კულტურის სწავლისა და სწავლების მეთოდები

რუსული გოცირიძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი  
კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი, საქართველო  
ტელ.: 593 301 342  
E-mail: rusudgo@yahoo.com

## რეზიუმე

კულტურის სწავლებისა და სწავლის თემა ენის მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ინტერესს იწვევს. კულტურის როლის შესწავლას უცხოური ენის სწავლა/სწავლების პროცესში ბევრი კვლევა მიეძღვნა ბოლო ოთხი ათწლეულის მანძილზე. მნიშვნელოვანია, რომ ბოლო წლებში, სხვადასხვა პროფესიულმა ასოციაციებმა დიდი ძალისხმევა მიმართეს კულტურის საგანმანათლებლო

სტანდარტების შესაქმნელად. აღნიშნული სფერო ინტერდისციპლინარულია; მის განვითარებაში გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი კვლევებს ფსიქოლოგიაში, ლინგვისტიკაში, ანთროპოლოგიაში, განათლების მეცნიერებებში, ინტერკულტურულ კომუნიკაციაში და ა.შ. თუმცა, ანთროპოლოგები, ინტერკულტურული კომუნიკაციის მკვლევარები, ფსიქოლოგები, არ აკავშირებდნენ კულტურის ფენომენს ენის სწავლების პროცესთან. სტატიაში განხილულია გზები, რომლებიც საშუალებას მისცემს უცხოური ენის შეძლებებს ეფექტურად შეისწავლონ კულტურა.

#### **საქვანძო სიტყვები:**

კულტურის სწავლება და შესწავლა, კულტურის შესწავლის სტანდარტები, ინტერკულტურული კომუნიკაცია, კულტურული კონტენტი.

нарный характер; психология, лингвистика, антропология, науки образования и межкультурной коммуникации внесли огромный вклад в ее развитие. Хотя, исследователи в области антропологии, межкультурной коммуникации, психологии, в частности, изучали культурные явления совершенно независимо от изучения и обучения языку. В статье рассмотрены методы, способствующие учить культуру в процессе изучения иностранных языков.

#### **Ключевые слова:**

преподавание и изучение культуры, стандарты обучения культуре, межкультурная коммуникация, культурный контекст.

## **Методы преподавания и обучения языку и культуре**

*Гоциридзе Рустудан Арчиловна  
Грузинский технический университет  
Департамент либеральных наук  
Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия  
Тел.: 593 301 342  
E-mail: rusudgo@yahoo.com*

#### **Резюме**

Тема преподавания и обучения культуре являлась предметом значительного интереса для преподавателей языков. Многое было написано о роли культуры в процессе обучения иностранному языку в течении последних четырех десятилетий. В последние годы различные профессиональные ассоциации предприняли значительные усилия по созданию образовательных стандартов культуры. Эта сфера имеет весьма междисципли-

## ბავშვი-პროტაგონისტი, როგორც დიურასისეული ნარატიული ტექნიკის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი

ნანა გუნტაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,  
საქართველო  
ტელ. 593 646 000  
E-mail : nana\_guntsadze@yahoo.com

ნინო რევაზიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,  
საქართველო  
ტელ.: 593 139 373  
E-mail: nino.revazishvili@tsu.ge

### რეზიუმე

მარგერიტ დიურასის შემოქმედებაში 80-იან წლებიდან ბავშვი მეორეხარისხოვანი პერსონაჟის სტატუსით გვევლინება. ბავშვის ნარატივში არსებობის მიზეზი და გამართლება მთავარ პერსონაჟს უკავშირდება. 80-იანი წლებიდან კი დიურასის რომანში ეს პერსონაჟი ნელ-ნელა იკავებს პროტაგონისტის პოზიციას და გადამწყვეტ მნიშვნელობასაც არც იძენს. სტატიაში განხილულია, თუ როგორ იქმნება გმირი დიურასის რომანებში, მაშინ როდესაც მთავარი პერსონაჟი ბავშვია. მრავალმხრივი ნარატიული მიღვოძა თვალნათლივ გვიჩვენებს ბავშვის, როგორც ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, ლიტერატურულ დირებულებას. მწერლისათვის ბავშვი წარმოადგენს წერისთვის მდიდარ მასალას, ის დიურასისეული წერის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი ხდება.

### საკვანძო სიტყვები:

პროტაგონისტი, ბავშვი, შიგა, გარე და ნელოვანი ფოკალიზაცია, ნარატორი, დრო, სივრცე.

### შესავალი

რა იგულისხმება “გმირში”? ფილიპ ამონი გვთავაზობს რამდენიმე ძირითად კრიტერიუმს, რომელთა არსებობაც პერსონაჟში მის, როგორც „გმირის“ სტატუსს განამტკიცებს. იერარქიული მნიშვნელობის მიხედვით, გმირმა, როგორც პრივილეგირებული სტატუსის მქონე პერსონაჟმა, პირველ რიგში, ნარატიული სივრცე უნდა შეავსოს. ის უნდა ფლობდეს შედარებით ტექსტობრივ თავისუფლებას, დამოუკიდებლობას და მას უნდა შეეძლოს სცენაზე მარტო გამოსვლა, რადგანაც სწორედ ასეთი სცენების საშუალებით იქმნება ნაწარმოების ძირითადი და საკვანძო უპიზოდები. ამასთანავე, საჭიროა ყურადღებით დავაკირდეთ გმირის სცენაზე გამოჩენის სიხშირეს, მისი სიტყვით გამოსვლის მნიშვნელობას და მისი აზრის და დამოკიდებულების გაუღერებას. დიურასის ნარატიულ სივრცეში ბავშვის გმირად ქცევის პროცესი ანალოგიური კრიტერიუმების შემოტანით ხასიათდება და ბავშვის საბოლოოდ პროტაგონისტის სტატუსს ანიჭებს.

### ძირითადი ნაწილი

ბავშვზე დაწერილ ნაწარმოებთა ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად, ბავშვის, როგორც პერსონაჟის, გმირის სტატუსით აღჭურვა ითვლება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნაწარმოებები: „კაშხალი წენარი ოკეანის წინააღმდეგ“ და „საყვარელი ჩრდილო ჩინეთიდან“. ამ ტექსტებში ბავშვის, როგორც მთავარი პერსონაჟის, არსებობა ნაწარმოების დინამიკას განსაზღვრავს.

ნაწარმოების გმირის სტატუსს განსაზღვრავს მთავარი პერსონაჟის შეიძლო კავშირი ტექსტის ორგანიზებასთან; ტექსტის დინამიკური განვითარების საფუძველი

უნდა იყოს ის განსხვავებული ავტონომია, რომლითაც ბაჟვი, როგორც ნაწარმოების პერსონაჟი, სარგებლობს, რაც როგორც პერსონაჟის, ასევე ტექსტის განვითარებას გულისხმობს.

ნებისმიერი ტექსტი, რომანი იქნება ეს თუ მოთხოვთ, არის ფიქცია, რომელშიც ამბავი მოთხოვთ და ნარატიულ თვალსაზრისს რომანის ავტორი ირჩევს. აქედან გამომდინარე, როდესაც პერსონაჟებზე ვმსჯელობთ, პირველ რიგში უნდა განისაზღვროს, ნაწარმოების სტრუქტურაში ნარატიული ფოკალიზაციის რომელ სახეს ირჩევს დიურასი ჩვენ მიერ დასახელებულ რომანებში; ეს კი ბუნებრივად ბადებს კითხვებს: როგორ ვხედავთ ან აღვიქვამთ მოვლენებს, რომლებიც მოთხოვთ ტექსტში? ვინ ხედავს? ვისი თვალთახედვა წარმართავს ნარაციას – ავტორის თუ პერსონაჟის?

თუკი დაგუშვებთ, რომ დიურასს არ განუახლებია თხოვთ, პერსპექტივა, არ გამოუგონებია სრულიად ახალი ნარატიული ფორმები, როგორც ეს გააკეთა, თუნდაც, ედუარდ დიუქარდენმა თავის რომანში “Les Lauriers sont coupés” შინაგანი მონოლოგის შეტანით, მაშინ მწერლის ნოვატორობა უნდა ვეძებოთ იმ მოქნილობაში, რომელიც მდგომარეობს ფოკალიზაციის სახეობების მოდულაციაში და ამ ხერხის საშუალებით ისეთი დია ტექსტების შექმნაში, რომლებშიც ბავშვი-პერსონაჟი ნარატიული თხოვთის ერთ-ერთ მთავარ ელემენტად იქცევა.

ნაწარმოებში – „კაშხალი წყნარი ოკეანის წინააღმდეგ“, ჩვენ კურადღებას იპყრობს სიუზანის ხედვა ნაწარმოებში განვითარებულ მოვლენებზე და სხვა პერსონაჟებზე. მისი ხედვის საშუალებით მკითხველის ყურადღება და მზერა ორიენტირდება დედის პერსონაჟზე, რომელიც სიუზანისთვის ერთდროულად აუტანელიცაა და გასაოცარიც, ასევე ქოზეფზე, მისთვის სათაყვანებელ ქმაზე, და რაღა თქმა უნდა, მათ უნაყოფო, სამყაროსგან მოწყვეტილ მიწაზე.

ნაწარმოების მეორე ნაწილში მოქმედება ქალაქში ვითარდება, ოჯახის სამიგა წევრი აქ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ცხოვრობს. საინტერესოა, რომ მკითხველმა დაწვრილებით მხოლოდ სიუზანის ამბავი და ყველაფერი ის იცის, რაც მას გადახდა ქალაქში ყოფნისას; ქოზეფზე და დედაზე კი იცის ის, რაც იცის სიუზანმა; როგორც მკითხველი მთლიანად ოჯახის მდგომარეობას ეცნობა, აქ ერთმანეთს ხშირად ენაცვლება ფოკალიზაციის სხვადასხვა სახეები, თუმცა თვალშისაცემია სიუზანის (ანუ პერსონაჟის) თვალთახედვის დომინანტობა. ამ მხრივ, მაგალითად, საინტერესოა ცხენის სიკვდილის სცენა: ერთი მხრივ, აქ საქმე გავქვს შიდა ფოკალიზაციასთან, რადგან სიუზანის მეშვეობით ხდება აღწერებიც და თხოვთაც. მთხოვთელი უზიარებს სიუზანს (პერსონაჟს) გრძნობებს, შთაბეჭდილებებს, აზრებს და ასე იქმნება შეხედულება. ასეთ შემთხვევაში ნარატორმა იცის იმდენი, რამდენიც სიუზანმა (ერთ-ერთმა პერსონაჟმა). ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ ისინი ერთმანეთში აგვერიოს და ავტობიოგრაფიასთან გვქონდეს საქმე, ხოლო მეორე მხრივ, საქმე აგაქვს ნულოგან ფოკალიზაციასთან, როდესაც ყოვლისმცოდნე ნარატორი ყველაფერს ხედავს და ყველაფერი იცის სიუზანის მოქმედების და აზროვნების შესახებ. ფოკალიზაციის ამ ფორმის გამოყენებით ნარატორი მკითხველს უქმნის შთაბეჭდილებას, რომ ის დომინირებს თხოვთაში, ფლობს სიტუაციას:

« Joseph descendit lentement l'escalier et se dirigea vers le talus précédé par le feu de la lampe qu'il avait toujours sur le front. Avant qu'il n'eût atteint le cheval, Suzanne rentra dans le bungalow, reprit sa place à table et essaya de finir son morceau d'échassier. Mais le peu d'appétit qu'elle avait s'en était allé. Elle renonça à manger et retourna au salon. Là, elle se recroqueilla dans un fauteuil de rotin et tourna le dos à la direction du cheval.

- Pauvre bête, geignait la mère, et dire qu'il a encore fait le chemin depuis Banté aujourd'hui même.

Suzanne l'entendait geindre sans la voir. Elle devait être sur la véranda et suivre Joseph des yeux. La semaine précédente un enfant était mort dans le hameau qui se trouvait derrière le bungalow. La mère l'avait veillé toute la nuit et lorsqu'il était mort, au matin, elle avait geint de la même façon.“

ამ მონაკვეთის პირველ ნაწილში სიუზანი წარმოდგენილია, როგორც ფოკალიზებული პერსონაჟი, მკითხველი სწორედ მასზე აჩერებს მზერას, მეორე ნაწილში კი სიუზანი თავად ხდება ფოკალიზატორი, რომელიც განვითარებულ მოქმედებას სმენით აღიქმას, მან ხომ ცხენის სიკვდილის სცენას ზურგი შეაქცია. ბოლო მონაკვეთი კი ამბივალენტურია, რადგანაც რთულია გავიგოთ, ეს სიუზანის ხმაა (და თუ არის, მაშინ თავისუფალ ირიბ დისკურსთან გვაქვს საჭმე), თუ ნარატორის ხმა, რომელიც სცენას განმარტავს.

სიუზანი გრძნობადი, უფრო ზუსტად კი ვიზუალური აღქმით გამოირჩევა და ნარატიულ დისკურსს, რომელიც წარმოგვიდგენს სცენას, ბუნდოვანს ხდის, ძნელია მიხვედრა, ვინ არის მთხოვბელი. ამდენად, აქ უკვე ფოკალიზაციის მესამე სახეობასთან, გარე ფოკალიზაციასთან გვაქვს საჭმე:

« De temps en temps [Suzanne] sortait de l'eau, s'asseyait sur la berge et regardait la piste qui donnait d'un côté vers Ram, de l'autre vers Kam et, beaucoup plus loin, vers la ville, la plus grande ville de la colonie, la capitale, qui se trouvait à huit cents kilomètres de là. Le jour viendrait où une automobile s'arrêterait enfin devant le bungalow. Un homme ou une femme en descendrait pour demander un renseignement ou une aide quelconque, à Joseph ou à elle. Elle ne voyait pas très bien quel genre de renseignement on pourrait leur demander: il n'y avait dans la plaine qu'une seule piste qui allait de Ram à la ville en passant par Kam. On ne pouvait donc pas se tromper de chemin. Quand même, on ne pouvait pas tout prévoir et Suzanne espérait. Un jour un homme s'arrêterait, peut-être, pourquoi pas? parce qu'il l'aurait aperçue près du pont.“

ამგვარად, მკითხველი სიუზანთან ერთად

აყოლებს თვალს გზას, რომელიც ამ ორი მოზარდის, დამმის იმედებს განასახიერებს და აღწერს გოგონას ოცნებებში, ფიქრებში, რომელიც ისეა წარმოთქმული, რომ გაუგებარია ხმა ნარატორისაა თუ პერსონაჟის, თავად სიუზანის. ნარატორის ხმა მიიღობის, გააქციეროს მოზარდის (სიუზანის) აზრი, ფიქრი, დამოკიდებულება ისე, რომ შინაგანი მონოლოგის ყველანაირ ნიშანს შლის, მაგრამ მაინც ტოვებს ირიბი დისკურსით გამოხატულ სიუზანის ხმას, რომელიც ყრუდ ისმის. თუმცა, ხანდახან სიუზანის ხმა უფრო მკაფიო ხდება, რაც ჩართული პირდაპირი დისკურსით ხორციელდება. ის განძარცვულია ექსპლიციტური ციტაციისა და ტიპოგრაფიული ნიშნებისგან, ხადაც არ არის მითითებული, რომ ესა თუ ის გამონათქვამი სიუზანის ეკუთვნის:

“C'était elle, elle qui était méprisable des pieds à la tête. À cause de ses yeux, où les jeter? À cause de ces bras de plomb, ces ordures, à cause de ce cœur, une bête indécente, de ces jambes incapables. Et qui trimbale un pareil sac à main, un vieux sac à elle, cette salope, ma mère, ah! Qu'elle meure!“

ამგვარად, სიუზანის ხმა ხანდახან ნარატორის ხმას ემთხვევა; მისი ხმა დამოუკიდებლად არცოუ ისე ხშირად ჟღერს, მას თითქმის ყოველთვის აკონტროლებს ნარატორი, რომელიც უდიდეს სიმპათიას განიცდის თავისი გმირის მიმართ და რომელიც ნაწარმოებში ყველგანმყოფია. მაშასადამე, ნაწარმოები – “კაშხალი წერილი თკეანის წინააღმდეგ“ წარმოადგენს ისეთ ტექსტს, რომელშიც (ყრუდ ისმის რა მთავრი პერსონაჟის, სიუზანის ხმა), ნარატორი საკუთარ თავზე იდებს ტექსტის განვითარებას.

რაც შეეხება ნაწარმოებს – “საყვარელი ჩრდილო ჩინეთიდან“, იგი წერის განსხვავებულ წესებს ეყრდნობა; ეს ტექსტი ზოგჯერ ფილმის სცენარს გვაგონებს, რაც არ არის გასაკვირი, ეს ნაწარმოები ხომ 1991 წელს დაიწერა, უან-უან ანოს მიერ რომანის – “საყვარელი“, ეპრანიზაციის შემდეგ. თავდაპირველად ხაზი უნდა გავუსვათ იმას,

რომ ნაწარმოების მთავარი გმირი ყვალგან მოხსენიებულია როგორც “ბავშვი”. ტექსტში ვერ შეხვდებით ვერცერთ ეპიზოდს, სადაც გოგონა არ იქნება წარმოდგენილი; თუ რომელიმე პასაჟში გოგონა ფიზიკურად არ ჩნდება, მაშინ ეს ეპიზოდი მასზე მოგვითხოვთ. ნაწარმოების ფოკალიზაციის საკითხი ამ ტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა, ფოკალიზაციის სისტემა აქ ძალზე ცვალებადია; ტექსტში ხშირად ესა თუ ის მოვლენა (ფაქტი) გარე ფოკალიზაციით, ანუ კამერის ეფექტის საშუალებით ფიქსირდება, შესაბამისად, საქმე გვაქვს ანონიმ ფოკალიზატორთან. ეფექტი, რომელსაც ის ახდენს, არის ერთგვარი ობიექტურობა, ემოციის ნაკლებობა. ასეთ შემთხვევაში თხრობა არ მართავს მკითხველის რეაქციას, ხანდახან კი ერთმანეთს ენაცვლება გოგონასა და საყვარლის თვალთახედვა.

ერთი შეხედვით, თხრობის ნეიტრალურ ტონს, რომელიც ნიღბავს ნარატორის ხმას, საკმაოდ ხშირად ვხვდებით ტექსტში, ხანდახან ის თითქოს გოგონას ხმას ერწყმის და მასაც თავისი ხედვით ალაპარაკებს:

“Voilà. C'est calme. Le bruit reste égal mais devient lointain. La foule s'éclaircit. Les femmes ne sont plus au galop, elles sont calmes. C'est une rue à compartiments comme il y en a partout en Indochine. Il y a des fontaines. Une galerie couverte la longe. Elle est sans magasins sans trams. Sur le sol de terre battue des marchands de la campagne se reposent à l'ombre de la galerie. Le vacarme de Cholen est lointain, tellement, qu'on croirait à un village dans l'épaisseur de la ville. C'est sous la galerie ouverte.“

ისმის კითხვა: რასთან გვაქვს საქმე? მოზარდის ფიქრებთან, რომელიც თავისუფალ ირიბ დისკურსში მიმდინარეობს და რომელმაც საიგონის ჩინური უბანი გაგვაცნო თუ ნარატორის ხმასთან, რომლის ისტორიაც ძალიან ჰგავს პერსონაჟის ამბავს და რომელიც ასევე კარგად იცნობს ამ უბანს? განუსაზღვრელი ნაცვალსახელის – “ონ”, გამოყენება ორაზროვანებას ბადებს, მისი რეფერენტიც შესაბამისად ხომ განუსაზღვრება და არ ვიცით კონკრეტულად ვის მიემართება. ამგვარად, გამოყენებული ფოკალიზაციის სახეები გვაფიქრებინებს, რომ ტექსტი, რომელსაც ბავშვი წარმოთქამს ძალიან ხშირად ნარატორის ცნობიერების ზეგავლენას განიცდის. თუმცა, ვხვდებით ისეთ პასაჟებსაც, სადაც ბავშვი შედარებით მეტი ავტონომიურობით წარმოგვიდგება:

« Il dit:

- Je peux vous ramener à Saigon si vous voulez.

Elle n'hésite pas. L'auto, et lui avec son air moqueur... Elle est contente. Ça se voit dans le sourire des yeux. Elle racontera la Léon Bollée à son petit frère Paulo. Ça, lui, il comprendra.»

«Sur les ponts de première classe, c'est ce vers quoi il doit regarder. Mais elle n'est pas là, elle est plus loin sur ce même pont, elle est vers Paulo qui est déjà heureux, déjà en allé vers le voyage. Libre mon petit frère adoré, mon trésor, sorti de l'épouvante pour la première fois de sa vie.»

პირველ მონაკვეთში, თავისუფალი ირიბი დისკურსის მეშვეობით გამოთქმულ აზრს ადვილად მივაწერთ გოგონას, მაგრამ არც ისე ცალსახად, რომ ნარატორის ხმა სრულებით გამოვრიცხოთ. რაც შეეხება მეორე მონაკვეთს, აქ მცირე ხნით, მაგრამ სრული დამოუკიდებლობით წარმოგვიდგება ბავშვი – პერსონაჟი, რაც ციტირებულ მონოლოგში მედაგნდება; ბავშვის სიტყვის ამგვარ დამოუკიდებლობას ვხვდებით ტექსტის ბოლო მონაკვეთშიც, თუმცა ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ტექსტის მთლიანობაში ნარატორის ხმა მონოპოლისტური პოზიციით გამოირჩევა, ტექსტი კი კრისტალიზდება ბავშვზე, როგორც პერსონაჟზე, რომელიც ფოკალიზაციის პრივილეგირებულ ობიექტს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ დიურასის ტექსტებში ბავშვი თითქმის მთლიანად ავსებს ნარატიულ სივრცეს; იგი ხშირად გამოდის სცენაზე; მისი სიტყვა მკითხველისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს; მკითხველი საქმაოდ ხშირად აღიქვამს იმას, რასაც გრძნობს, ხედავს ან რაც ესმის ბავშვს. აქედან გამომდინარე, შე-

გვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ გოგონა ამ რომანებში ამბის მონაწილე მთავარი პერსონაჟია.

## დასკვნა

მარგერიტ დიურასის ტექსტებში ბავშვი წარმოდგენილია პერსონაჟის განსავითარებლად, წარმოსაჩენად, არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რას ითხოვს სიუჟეტის განვითარება, ის საკუთარ პერსონაჟს დამოუკიდებელ სახედ აყალიბებს. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ნაწარმოებებში ბავშვი პროტაგონისტად წარმოგვიდგება, ტექსტი მკითხველს ბავშვის მთავარი გმირის სტატუსის საზღვრებით ეთამაშება; თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ბავშვის ორგორც პერსონაჟის უკოლუცია ტექსტის პროგრესის განმსაზღვრელია, ბავშვის ორგორც პროტაგონისტის სტატუსში ეჭვი აღარ გვეკარება.

## ლიტერატურა

1. ლიტერატურის თეორია, XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები (2008): თბილისი. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა
2. Duras M. (1998): Laure Adler. L. A., Editions Gallimard
3. Marie-Thérèse Ligot (1992): commente „Un barrage contre le pacifique“ de Marguerite Duras, M.-T. L., Paris, Editions Gallimard
4. Poétique du roman, Vincent Jouve, V. J., Armand Colin, 2 edition (2007): 238p.
5. L'Amant de la Chine du Nord, M.D., Paris, Gallimard, 1991, 237p.
6. Un barrage contre le Pacifique M. D. (1991): Paris. „folioplus classiques“. Editions Gallimard.

1950 pour le texte, 2005 pour la lecture d'image et le dossier. 369p.

## Ребенок-протагонист как главный элемент в нарративной технике Дюраса

Гунцадзе Нана Петровна

Тбилисский государственный университет

Факультет гуманитарных наук

Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия

Тел.: 593 646 000

E-mail : nana\_guntsadze@yahoo.com

Ревазишвили Нино Николаевна

Тбилисский государственный университет

Факультет гуманитарных наук

Пр.И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия

Тел.: 593 139 373

E-mail: nino.revazishvili@tsu.g

## Резюме

Образ ребенка в произведениях Маргарет Дюрас появляется лишь на периферии. Причины и обоснования существования ребенка в описательной части связаны с главным персонажем. Хотя, начиная с 80-х, в романах Дюраса малопомалу этот персонаж занимает позицию протагониста и этим приобретает большое значение. В статье идет суждение о том, как Дюрас делает героем своих романов ребенка. Универсальный подход показывает значимость ребенка как главного персонажа. Ребенок является богатым материалом для написания и становления одним из основных элементов в нарративе Дюраса.

## Ключевые слова:

протагонист, ребенок, внутренняя, внешняя и нулевая фокализация, нарратор, время, пространство.

# **Child Protagonist as a Main Element in the Narrative Techniques of Duras**

*Nana Guntsadze*

*Tbilisi State University*

*Humanitarian science faculty*

*36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia*

*Tel.: 593 646 000*

*E-mail : nana\_guntsadze@yahoo.com*

*Nino Revazishvili*

*Tbilisi State University*

*Humanitarian science faculty*

*36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia*

*Tel.: 593 139 373*

*E-mail: nino.revazishvili@tsu.ge*

## **Abstract**

A child has a status of a minor character in the works of Marguerite Duras until 80s. The reason and justification of child's existence in a narrative is connected with the main character. Though since 80s in the novels of Duras little by little, this character occupies the position of a protagonist and gains great importance. The paper discusses how Duras creates heroes in her novels when the main character is a child. A versatile narrative approach shows the literary value of a child as one of the main characters. A child is a rich material for writing and becomes one of the main elements of Duras's fiction.

## **Keywords:**

Protagonist, child, inner, outer and zero focalization, narrator, time, space.

# **Conceptual Blending as a Basic Mental Operation Leading to the Creation of a New Meaning**

*Marina Zoranyan*

*Georgian Technical University*

*Department of Liberal Sciences*

*77 Kostava st., 0175, Tbilisi, Georgia*

*Tel. : 593 783 826*

*E-mail: marinaziger@gmail.com*

## **Abstract**

The article views the notion of conceptual blending as a basic mental operation leading to the creation of a new meaning. Conceptual blending theory was proposed by Fauconnier and Turner as a general theory of human cognition. It is one of the major theories on which modern cognitive linguistics is based. It has considerable influence on cognitive science. Conceptual blending is a deep cognitive activity that makes new meanings out of existing ones. Conceptual blending theory claims that elements and vital relations from diverse scenarios are "blended" in a subconscious process, which is assumed to be omnipresent to everyday thought and language. Blending theory gives insight into our way of thinking, understanding and creating the world around us. This theory deals with both linguistic and non-linguistic blends. It provides interesting insights into the possible creation of metaphors.

## **Keywords:**

conceptual blending, conceptual integration theory, theory of human cognition, linguistic blend, non-linguistic blend, conceptual metaphor theory, theory of mental spaces.

## **Introduction**

Blending theory (also called conceptual blending or conceptual integration theory) is one of the major theories on which modern cognitive linguistics is based. It has considerable influence on cognitive science in general. Conceptual blending theory

claims that elements and vital relations from diverse scenarios are "blended" in a subconscious process, which is assumed to be omnipresent to everyday thought and language. Conceptual blending is a deep cognitive activity that "makes new meanings out of old" [Fauconnier and Turner. 1999:397], i.e., the brain brings things together and thus produces unpredictable new combinations.

## **Main Body**

Conceptual blending theory was proposed by Fauconnier and Turner (1998, 2002, 2003) as a general theory of human cognition and further developed by Coulson (2001, 2006), Oakley (2000) and Grady (1999, 2005).

According to Fauconnier and Turner, conceptual blending is "a great mental capacity that, in its most advanced "doublescope" form, gave our ancestors superiority and, for better and for worse, made us what we are today. We investigate the principles of conceptual blending, its fascinating dynamics, and its crucial role in how we think and live" (2002: V)

Blending theory (BT) emerged from two theories of cognitive linguistics: conceptual metaphor theory (CMT) and mental spaces theory (MS). Blending theory, however, has now developed into an independent theoretical framework. BT differs from both CMT and MS in the way it describes the cognitive process of meaning creation via the existence of certain emergent structures (the blends) not accounted for by either of the other two frameworks.

Fauconnier and Turner define conceptual blending as "a basic mental operation that leads to new meaning, global insight and conceptual compressions useful for memory and manipulation of otherwise diffuse ranges of meaning." (Fauconnier and Turner, 2003: 57) It plays a significant role in the construction of meaning in our everyday life, in both arts and sciences (especially in the social and behavioral sciences). In conceptual blending theory, "men-

tal spaces are small conceptual packets constructed as we think and talk, for purposes of local understanding and action" (*ibid.*: 58). The essence of the operation is to construct a partial match between two inputs, selective projection from those inputs into a novel 'blended' mental space, where an emergent structure is generated. (*ibid.*)

Blending theory gives insight into our way of thinking, understanding and creating the world around us. This theory deals with both linguistic and non-linguistic blends. According to Coulson and Oakley (2000: 184), blending theory is applicable not only to many levels of analysis, but it also presents a way of establishing connection between our understanding of language and the way we comprehend human thought and activity in general.

One of the simplest examples of conceptual blending is the European ritual of the newborn baby, when the baby is carried up the stairs of the parents' house and that is a part of a public event. This ritual means, symbolically, to promote the child's chances of rising in life. One input is the ordinary action of carrying a baby up the stairs. The other input is the schematic space of life, already structured so that living a life is metaphorically moving along a path, such that good fortune is up and misfortune is down. In a partial match between these inputs, the path up the stairs corresponds to the course of life, the baby is the person who will live this life, the manner of motion up the stairs corresponds to how the person "goes through" life, and so on. In this symbolic ritual, the two inputs are blended, so that the ascent of the stairs is the course of life, an easy ascent is an easy rise in life for the person that the baby will become, stumbling or falling might take on extraordinary significance.

Conceptual blending is described and studied scientifically in terms of conceptual integration networks, which are the mechanisms that enable the creation of meaning. Conceptual blending is a basic mental operation, which is essential for the simplest kinds of thought and conceptual integration is an unconscious activity embedded in every aspect of human life (Fauconnier and Turner 2002:

18). In its most basic form, a conceptual integration network consists of four connected mental spaces: two partially matched input spaces, a generic space constituted by structure common to the inputs, and the blended space.

One of the chief motivations for BT, according to proponents, is that the four-space model can account for phenomena that are ignored or hidden in the two-domain model. Let us consider, for instance, a commonly used expression 'this surgeon is a butcher' taken from Grady et al. (1999, p. 103), which can help us understand much better how BT works in practice. These authors (*ibid.*) state that, although, initially, this sentence might be thought of as a linguistic manifestation of the conceptual metaphor THE SURGEON IS A BUTCHER, further insights underscore that the emergent meaning is more than the simple mapping from the source domain BUTCHER onto the target SURGEON. Conceptualizing this metaphor as a unidirectional mapping loses the crucial 'incompetence' element of the resulting metaphor.

Evans and Green (2006) note that this example is not easily explained by cognitive metaphor theory, since the metaphor suggests incompetence on the part of the surgeon, despite the fact that butchery is a highly-skilled profession. Cognitive metaphor theory cannot explain where the negative assessment of the surgeon originates from. A potential answer to the puzzle lies in the blending theory

Grady et al. (1999) argue that only certain components from each input space, that of SURGERY and BUTCHERY are actually called upon to form the final blend; for instance, from the former, we import the human nature of the entities performing and enduring the operation, the tools used to carry out the procedure (scalpel), the goal of healing the patient, and the means employed to achieve such goal, surgery. On the other hand, the BUTCHERY space also contains a human, the butcher, accomplishing the action of dismembering an animal; the butcher would also need some tools to implement such actions, a cleaver, for instance; the goal would differ from that of the surgeon as butchers do not intend

to heal their subjects but mainly to dismember them and the means by which such a goal is achieved is through butchery. The resulting blend (*ibid.*) is formed by combining some of the components from each input space, namely, the identity of a surgeon and the role of a butcher and by crucially adding elements of its own: the healing goal of the surgeon is somehow coupled with the butchery means employed by the butcher but not his skillfulness; therefore, a new meaning is generated, that of the surgeon being incompetent.

Conventional metaphors can also provide the counterpart mappings to launch blends. Certainly for a conventional metaphoric blend to have arisen in the first place, it must, itself, be based on some kind of counterpart mapping.

There is a class of entrenched metaphors which are not based on similarity or analogy, and which are therefore unlike the metaphoric counterpart relations which arise on-line. (Grady, Oakley, and Coulson, S., 1999:112)

Thus for instance,

- a.) These two colors are not particularly close [i.e. similar].
- b.) His sunny smile lit up the room.
- c.) Tomorrow is a big day for this organization.

These sentences are illustrations, respectively, of the following conventional metaphors: SIMILARITY IS PROXIMITY, HAPPINESS IS BRIGHTNESS, IMPORTANCE IS SIZE. There is no obvious sense in which the concepts paired in these metaphors are similar or analogous to one another. These metaphors are explained as entrenched conceptual associations arising from recurring correlations in experience. They are motivated by recurrent types of episodes which bring together particular dimensions of experience. For instance, brightness is correlated with warmth and increased visibility, both of which trigger contentment (cf. happiness is brightness). They are not based on similarity or analogy, but must instead be based on experiential correlation. Metaphors like, SIMILARITY IS PROXIMITY, HAPPINESS IS BRIGHTNESS, and IMPORTANCE

IS SIZE are 'primary metaphors' a special class of entrenched associations, based on neither similarity nor analogy. They seem to constitute a distinct sort of counterpart connection on which blends may be based. (*ibid.*: 112)

## Conclusion

Conceptual Blending is a general theory of cognition. It has a fascinating dynamics and a crucial role in how we think and live. Conceptual blending refers to a basic mental operation that gives rise to new meanings. It provides interesting insights into the possible creation of metaphors. "Conceptual blending is a fundamental instrument of the everyday mind, used in our basic construal of all our realities, from the social to the scientific." [Turner. 1997: 93]

Insights obtained from conceptual blends constitute the products of creative thinking, however conceptual blending theory is not itself a complete theory of creativity, inasmuch as it does not illuminate the issue of where the inputs to a blend originate. In other words, conceptual blending provides a terminology for describing creative products, but has little to say on the matter of inspiration .

## Literature

1. Coulson S. (2001): *Semantic Leaps*. Cambridge: Cambridge University Press
2. Coulson S. and Oakley T. (2000): 'Blending basics'. *Cognitive Linguistics*, 11, (3–4), 175–196
3. Coulson S. (2006): 'Conceptual blending in thought, rhetoric, and ideology', in G. Kristiansen, M. Achard, R. Dirven, F. J. Ruiz de Mendoza Ibanez (eds), *Cognitive Linguistics: Current Applications and Future Perspectives*. Berlin and New York: Mouton de Gruyter, pp. 187–208
4. Evans V. and Green M. (2006): *Cognitive Linguistics: An Introduction*. Edinburgh: Edinburgh University Press

5. Fauconnier G. and Turner M. (1998): 'Conceptual integration networks'. *Cognitive Science*, 22, (2), 133–87
6. Fauconnier G. and Turner M. (1999): "A Mechanism Of Creativity." *Poetics Today*. Volume 20, N3, pp. 397-418
7. Fauconnier G. and Turner M. (2002): *The Way We Think: Conceptual Blending and the Mind's Hidden Complexities*. New York: Basic Books
8. Fauconnier G. and Turner M. (2003). *Conceptual Blending, Form and Meaning*. Retrieved 28..11. 2016 from <http://tecfa.unige.ch/tecfa/malit/cofor-1/textes/Fauconnier-Turner03.pdf>
9. Grady J. (2005): 'Primary metaphors as inputs to conceptual integration'. *Journal of Pragmatics*, 37, 1595–614
10. Grady J., Oakley T. and Coulson S. (1999): 'Blending and metaphor', in Gibbs, R. W. and Steen, G. (eds), *Metaphor in Cognitive Linguistics*. Amsterdam & Philadelphia: John Benjamins, pp. 101–124
11. Turner M. (1997): *The literary mind*. Oxford: Oxford University Press

## **Концептуальное смешение как основная умственная операция, ведущая к созданию нового значения**

Зоранян Марина Георгиевна  
Грузинский технический университет  
Департамент либеральных наук  
Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия  
Тел.: 593 783 826  
E-mail: marinaziger@gmail.com

### **Резюме**

В статье рассматривается понятие концептуального смешения как основной умственной операции, ведущей к созданию нового значения. Теория концептуального смешения была предложе-

на Фоконье и Тернером в качестве общей теории человеческого познания. Это одна из основных теорий, на которой зиждется современная когнитивная лингвистика. Она имеет значительное влияние на когнитивную науку. Концептуальное смешение - это глубокая познавательная деятельность, создающая новые значения из уже существующих. Теория концептуального смешения утверждает, что смешение элементов и жизненно важные отношения из различных сценариев «смешиваются» в подсознательном процессе, который, как предполагается, постоянно присутствует в повседневном мышлении и языке. Теория смешения позволяет понять наш образ мышления, познавая и создавая мир вокруг нас. Эта теория имеет дело как с языковым, так и с неязыковым смешением. Она дает представление о возможном создании метафор, вызывает у читателя эмоции и продлевает время чтения.

### **Ключевые слова:**

концептуальное смешение, теория концептуальной интеграции, теория человеческого познания, языковое смешение, неязыковое смешение, теория концептуальной метафоры, теория ментальных пространств.

კონცეპტუალური შერევა როგორც  
მენტურული ოპერაცია, რომელსაც  
მიღებართ ახალი მნიშვნელობის  
შექმნამდე

მარია ზორანია  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ლიბერალური მეცნიერებათა დეპარტამენტი  
კონცეპტუალური მეცნიერებათა დეპარტამენტი  
ათებეგაძე ქ. №77, 0175, თბილისი,  
საქართველო  
ტელ.: 593 783 826  
E-mail: marinaziger@gmail.com

## **რეზიუმე**

სტატია იხილავს კონცეპტუალური შერევის ცნებას როგორც საბაზო მენტალურ თეორიას, რომელსაც მივყავართ ახალი მნიშვნელობის შექმნამდე. კონცეპტუალური შერევის თეორია შემოტანილ იქნა ფოკუნიქსა და ტერნერის მიერ როგორც ადამიანური შემცნების ზოგადი თეორია. ეს ერთ-ერთი მთავარი თეორიაა, რომელსაც ეყრდნობა თანამედროვე კოგნიტური ლინგვისტიკა. მას დიდი გავლენა აქვს კოგნიტურ მეცნიერებაზე. კონცეპტუალური შერევა ღრმა კოგნიტური აქტივობაა, რომელიც ქმნის ახალ მნიშვნელობებს არსებულისგან. კონცეპტუალური შერევის თეორიის მიხედვით, მრავალ-ფეროვანი სცენარების ელემენტები და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ურთიერთობები “ირგვა” ქვეცნობიერ პროცესში, რომელიც

საგარაუდოდ ყველგან და ყოველთვის არსებობს ყოველდღიურ ფიქრსა და ენაში. შერევის თეორია ცხადს ხდის ჩვენი ფიქრის, ჩვენს ირგვლივ მყოფი სამყაროს გაგებისა და შექმნის მანერას. ეს თეორია ეხება როგორც ლინგვისტურ, ისე არალინგვისტურ შერევას. ის მეტაფორების შესაძლო შექმნის საინტერესო შეხედულებას გვთავაზობს.

## **საკვანძო სიტყვები:**

კონცეპტუალური შერევა, კონცეპტუალური ინტეგრაციის თეორია, ადამიანური შემცნების თეორია, ლინგვისტური შერევა, არალინგვისტური შერევა, კონცეპტუალური მეტაფორის თეორია, მენტალური სივრცეების თეორია.

## ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირებითი ანალიზი ესპანურ, ფრანგულ და ქართულ ენებში

მარინე კობეშავიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,  
საქართველო  
ტელ: 591 222 007  
E-mail: mkobeshavidze@yahoo.es

ციური ახვლედიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,  
საქართველო  
ტელ. 599 508 607  
E-mail: tsuriakhvlediani@yahoo.com

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ტიპოლოგიზაციის პრობლემა ესპანურ, ფრანგულ და ქართულ ენებში. გაანალიზებულია ფრაზეოლოგიური ერთეულების სხვადასხვა კლასიფიკაციები. განხილულია ფრაზეოლოგიზმების ტიპები, რომლებიც ეხება რიცხვით სახელებს, ემოციური ფრაზეოლოგიზმები და ასევე ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც მოიცავს ფრინველების სახელებს. წარმოდგენილია განხილულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა არსებული ეკვივალენტები აღნიშნულ ენებში (ესპანური, ფრანგული, ქართული); დადასტურდა ზოგ შემთხვევაში ზუსტი ეკვივალენტების მქონე ფრაზეოლოგიური ერთეულები, ზოგში კი – ახლო მნიშვნელობის მქონენი.

### საკვანძო სიტყვები:

ფრაზეოლოგიური ერთეულები, სემანტიკური კლასიფიკაცია, ფუნქციურ-გრამატიკული კლასიფიკაცია, რიცხვითი სახელები, ემოციური ფრაზეოლოგიური ერთეულები.

### შესავალი

დღესდღეობით ფრაზეოლოგია როგორც ენის რთული და თვითმყოფადი მოვლენა, მრავალი მკვლევრის ყურადღებას იპყრობს. იგი ერთს კულტურულ სპეციფიკას გამოხატავს და საშუალებას იძლევა თვალი ვადევნოთ კოდექტიური ეთნიკური მენტალიტეტის გამოვლინებას, ადამიანის მიერ მისი გარემომცველი სამყაროს აღქმისა და ენობრივი საშუალებებით მისი გადმოცემის პროცესის შედეგს.

ფრაზეოლოგია არის ობიექტური რეალობის ყველაზე ეფექტური ამსახველი, რადგან სწორედ ენის ფრაზეოლოგიური მარაგი თამაშობს მნიშვნელოვან როლს ხალხის კულტურულ-ეროვნული შეგნებისა და მისი იდენტიფიკაციის გადმოცემაში. განსაკუთრებულად საინტერესოა დაკვირვება, თუ როგორ ხდება ფრაზეოლოგიური ერთეულების შეპირისპირება სხვადასხვა ერებსა და კულტურებში.

ენის ფრაზეოლოგიური მარაგი წარმოადგენს კომპლექსურ სისტემას, კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სტრუქტურულ-სქმანიკური თვისებები და გამოირჩევიან დამახასიათებელი თავისებურებებით. აღნიშნული სტატიის ფარგლებში შევეცდებით განვიხილოთ ფრაზეოლოგიური ერთეულები ესპანურ, ფრანგულ და ქართულ ენებში და მოვახდინოთ მათი ტიპოლოგიზაცია.

ფრაზეოლოგია წარმოადგენს ენის ყველაზე მკაფიო და მნიშვნელოვან კომპონენტს, ამიტომაც უწოდებენ მას მეტყველების მარგალიტს. ფრაზეოლოგიზმები მეტყველებას აძლევენ თავისებურებას, გამოხატულებას, ამდიდრებენ და აღამაზებენ მას. ფრაზეოლოგიზმების წყალობით, ჩვენ უფრო მკაფიოდ, ემოციურად და ზუსტად გადმოვცემთ ირონიას, ტკივილს, სიყვარულს, დაცინვასა და, კერძოდ, ჩვენს დამოკიდებულებას მოვლენებისადმი. ეს მყარი შესიტყვებები

ახასიათებენ ადამიანის ცხოვრების ყველა მხარეებს, მის დამოკიდებულებას სხვადასხვა რეალობისადმი. მათი გამოყენება მეტყველებას ამრავალფეროვნებს და ადამიანს ეროვნული კულტურის სათავეებს (საწყისებს) აზიარებს.

## ძირითადი ნაწილი

ესპანური ენა, ისევე, როგორც ფრანგული და ქართული ენები, მდიდარია ფრაზეოლოგიური ერთეულებით, თუმცა ეს ენები საერთოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და თითქოსდა შეუძლებელიცა, რომ მათ ჰქონდეთ ბევრი საერთო, მაგრამ, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, მათ შორის არსებობობს მსგავსებებიც. თარგმანის სირთულეს წარმოადგენს ეპიკურეულების მოძებნა სხვადასხვა ენებში.

უცხოური ენის სწავლების პროცესში, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პირობაა ლექსიკური მასალის ათვისება და მისი გამოყენება საუბრის დროს. ენის ლექსიკური ფონდი არ შემოიფარგლება მხოლოდ ლექსიკური ერთეულებით, ენაში არსებობს უამრავი სიტყვაშეერთება და სხვა ისეთი ფორმები, რომლებიც ენას ამდიდრებს და უფრო ეღერადს და ლამაზს ხდის მას.

ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს ფრაზეოლოგიური ერთეულების შესწავლა და მათი თანხვედრობის დადგენა, რადგანაც მეტაფორულ-იდიომატური ლექსემები არ შეესაბამება და არ ემთხვევა ტრადიციულ ლექსიკურ მნიშვნელობას, რითაც, რასაკვირველია, იზრდება კონტექსტის მნიშვნელობა.

ფრაზეოლოგიურ ერთეულებში აისახება ენის ეროვნული ხასიათი. თანამედროვე ესპანური ფრაზეოლოგიზმების უმეტესობა გაჩნდა წინა საუკუნეებში და დაკავშირებულია ხალხის ყოფასა და ისტორიასთან. ჩვენ

შეგვიძლია გამოვყოთ ფრაზეოლოგიზმების ფორმირების რამდენიმე შემთხვევა:

### 1. ხალხის პროფესიული საქმიანობა:

«*a palo seco*» – წენარად, აუზქარებდლად, აკეცილი იალქნებით, ასევე «*a todo trapo*» – თავისუფლად. პირველ შემთხვევაში თარგმანი შემდეგნაირად უდერს „გემი მიცურავს, ნელა, დაკეცილი აფრებით“, მეორე შემთხვევაში კი პირიქით, „სწრაფად, გაშლილი აფრებით“, რადგანაც «*trapo*» ნიშნავს აფრას. ისეთი ერთეულები, როგორც «*coger en el garlito*» – მოატყუო, «*caer en el garlito*» – გააძა ბადეში (მახეში), ფრანგ. “*tomber dans la trappe*” (ანალოგ.) და ქართულში “შახეში გაბმა” (ანალოგ.), მოყვანილი მაგალითები დაკავშირებულია ხალხის გარკვეულ საქმიანობასთან – მეთევზეობასთან.

### 2. ხალხის წეს-ჩვეულებები და ისტორია:

«*armarse la gorda*» – არეულობის გამოწვევა, წარმოიშვა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც 1865 წელს აჯანყების შედეგად გამოცხადებულ იქნა პირველი ესპანური რეპუბლიკა; «*pasar la noche en blanco*» – თეთრად გაატარო დამე, დაკავშირებულია რაინდულ რიტუალთან, ფრაგულში უდერს “*passer la nuit blanche*” (ანალოგ.), ქართულშიც მის ზუსტ ანალოგიას ვხვდებით – “დამის თეთრად გატარება”.

### 3. ფოლკლორი და მითოლოგია:

«*el talón de Aquiles*» – frang. “*le talon d’Achille*” (analogia.) და ქართულშიც ვხვდებით მის ზუსტ ანალოგიას “აქილევსის ქუსლი”; «*construir castillos de arena*» – ფრანგ. – “*Châteaux en Espagne*” (analogia.) ქართულში – “*ocnebis koSkebi*”; «*manzana de discordia*», ფრანგულში – “*Pomme de discorde*” (analogia.) ქართულში -“განხევთქილების გაშლი” (ზუსტი ანალოგია).

### 4. ლიტერატურული:

«*ponerle el cascabel al gato*» – გაბედო, სარისკო საქმეს მოკიდო ხელი; დარტყმის ქვეშ დააყენო შენი თავი; ფრანგ. “*Le tout pour le tout*” (არა ანალოგ.) და ქართულში

– «გარისკვა» ასევე არ არის ეკვივალენტი); აღნიშნული გამონათქვამი დაკავშირებულია ძველი იგავთან, რომლის ვარიანტიც გვხვდება ლოპე დე ვეგას პიესაში «La esclava y su galán».

### 5. ენის ანდაზების ფონდი:

**«hacer su agosto»** – მოგება ნახო, მოითბო ხელი, წარმოიშვა ანდაზიდან **«hacer el agosto y vendimia»**, სადაც საუბარია ყურძნისა და ხორბლის მოსაგალზე, რაც გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს „მოგება ნახო“, „ხელი მოითბო“.

ესპანურ ენაში არსებული ფრაზეოლოგიზმებიდან შეიძლება გამოვყოთ მისი შემდგარი ტიპები: ემოციური ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც მოიცავს რიცხვით სახელებს, ცხოველების სახელებს ან ფრინველების სახელებს.

სასაუბრო ენაში, როგორც ესპანურში, ასევე ფრანგულსა და ქართულში არსებობს მყარი გამონათქვამების უამრავი მაგალითი. აღნიშნულ ენებში მრავალი ფრაზეოლოგიზმი ეკვივალენტურია, ან თითქმის ეკვივალენტურია და სრულიად გასაგებია პირდაპირი თარგმანის დროსაც, რაც არ მოითხოვს დამატებითი კულტურული თავისებულებების განმარტებას. მაგალითად: **ponerse como un tomate** – frang. **Rouger comme une tomate** (analog.), ქართულში – „პომიდორივით გაწიოთლება“ (ანალოგ.); **echar una mano** – frang. **Donner sa main** (analog.), ქართ. ხელის წაშველება, ხელის გაწვდომა (ანალოგ.); **todos los caminos llevan a Roma** – ფრანგ. **Tous les chemins vont an mènent à Rome** (analog.) და ქართულში – ყველა გზა რომში მიდის (ანალოგ.); **no tener pelos en la lengua** –, frang. **Avoir la langue bien an trop longue** (anal.); ქართულში – ენას ძეგლი არა აქეს (ანალოგ.).

თუმცა არსებობს უამრავი ესპანური ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელთა მნიშვნელობის ამოცნობაც რთული და თითქმის შეუძლებელიცაა: **media naranja** – მეორე ნახევარი (ცოდი, ან ქმარი) (სიტყვასიტყვით

– “ნახევარი ფორთოხალი”); **aburrirse como una ostra** – მოიწყინო (სიტყვასიტყვით – “მოიწყინო როგორც ხამანწერა”), frang. **S'ennuyer comme une carpe** (analog.); **pasar la noche en blanco** -, frang. **Passer la nuit blanche** (analog.), ქართულ. დამის თეთრად გათენება (ანალოგ.); **por si las moscas** – ყოველი შემთხვევისთვის (სიტყვასიტყვით – “იმ შემთხვევისთვის, თუკი ბუზი”); **dar calabazas a alguien** – უარის თქმა (სიტყვასიტყვით – “გოგრის მიცვა”); **tener mala leche** – ცუდი ხასიათი ჰქონდეს (სიტყვასიტყვით – “ცუდი რძე ჰქონდეს”); **estar en el ajo** – რამეში იყო გარეული (სიტყვასიტყვით – “იყო ნიორში”); **me importa un pimiento** – ჩემთვის სულ ერთია, არ მაღლელებს (სიტყვასიტყვით – “წიწაპას არ აქვს მნიშვნელობა”); **salir del armario** – შენ თავზე სიმართლე სთქვა (სიტყვასიტყვით – “კარადიდან გამოსვლა”); **a otra cosa, mariposa** – მოდი თემა შვაცვალოთ (სიტყვასიტყვით – “სხვა თემაზე, პეპელა”).

ფრაზეოლოგიური ერთეულები დიდ როლს თამაშობენ ემოციის გამოხატვის დროს, რადგან უმეტეს შემთხვევაში, ისინი აქტუალურნი ხდებიან კომუნიკაციის პროცესში, ექსპრესიულ ფორმაში. გვხვდება ისეთი ემოციური ელემენტის ქქონე ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც სემანტიკის ძირეულ ბირთვს წარმოადგენენ, მაგალითად: **hecho una víbora** (სიტყვასიტყვით: გადაიქცა გვალად) – გაცოფებული, გააფორებული; **le picó la avispa** [სიტყვასიტყვით: მას ბზიქმა უკბინა (ანალოგ.)] – გაბრაზდა, გადიზიანდა, აღელდა.

ესპანურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ხშირად გვხვდება ფრინველების სახელებიც: **beber menos que un pájaro** – ჩიტივით სვამდე (ანუ ძალიან ცოტას სვამდე სასმელს, პირში წვეთს არ იდებდე); **cantar como un pájaro** – ბულბულივით მღეროდეს, ბულბულივით ჭიკიკებდეს; **cantar como un pajarito** – ბარტყივით წრიპინებდეს, იგულისხმება „ზედმეტს ლაპარაკობდეს“; **comer menos que un**

**pajarito** – ჩიტივით კენკავდე (ჭამდე); ფრანგ. **Manger comme une mauviette (an un moineau)** (**analog.**), ქართულში ჩიტივით კენკვა (ანალოგ); **más ligero que un pájaro** – ჩიტივით მოქნილი, მას ინოცენტური უდანაშაულო; **libre como un pájaro** – ჩიტივით თავისუფალი, ფრანგ. **Libre comme l'air** (არა ანალოგ. „ჰაერივით თავისუფალი“), ქართულში ზუსტი ეკვივალენტი – ჩიტივით თავისუფალი; **tímido como un pájaro** – ჩიტივით მორცხვი, ფრანგ. **Timide à l'abordée, timide comme une demoiselle** (არა ანალოგ. „მორცხვი ადამიანი“, „ქალიშვილივით მორცხვი“, ქართულში – ქალიშვილივით მორცხვი (არა ანალოგ). ჰიპერონიმიას „ჩიტი“ გააჩნია სემების ფართო სპექტრი და ყველაზე ხშირად გვხვდება აღნიშნული ენების ფრაზეოლოგიურ ერთეულებში.

ესპანურ ენაში ასევე გვხვდება ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც მოიცავენ რიცხვით სახელებს **tener la cabeza a las once** – იყო უცნაური, არანორმალური ადამიანი (სიტყვასიტყვით: გქონდეს თავი თერთმეტზე (თერთმეტ საათზე), ფრანგ. **Chercher midi à quatorze heures an où il n'est qu'onze heures** (არა ანალოგ. „შეუძლებლის ძიება“ სიტყვასიტყვით: ‘თოთხმეტ საათზე თორმეტის ძებნა’), ქართულში – დედაბერს ზამთარში მარწყვი მოენატრაო (არა ანალოგ); **poner a uno las peras a cuatro (a ocho)** – სამაგიეროს გადახდა, ვინმეს ყელში წვდე. [სიტყვასიტყვით. ვინმეს დაუდო მსხალი თოხზე (რვაზე)].

ფრაზეოლოგიურ ერთეულებში არ იგულისხმება შემადგენელი ერთეულების მნიშვნელობა და ისინი სემანტიკურად განუყოფელნი არიან. როგორც წესი, ისინი ორი კომპონენტისაგან შედგებიან, ერთი მათგანი ინარჩუნებს პირდაპირ ნომინატიურ მნიშვნელობას, მეორე კი ატარებს გადატანით ფრაზეოლოგიურ მნიშვნელობას. მაგალითად: **decir las cuatro verdades** – სრული სიმართლის თქმა (სიტყვასიტყვით: თოხი სიმართ-

ლის თქმა), ფრანგ. **Dire ses (quatre) verités à quel (analog.); decir mil buenos a uno** – კარგად დაახასიათო ვინმე ((სიტყვასიტყვით: ათასი კარგი სიტყვა უთხრა ვინმეს).

## დასკვნა

ყველანაირი კვლევა, რომელიც ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ეხება, ხელს უწყობს აზროვნების განვითარებას. ფრაზეოლოგიური ერთეულების შინაგანი ორგანიზაციის თავისებურებანი აფერხებს მსგავსებებისა და ეკვივალენტების აღწერას, რაც აშკარად დადასტურდა ესპანური, ფრანგული და ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულების შედარებისას. სამივე ენაში შესაძლებელია ვიპოვოთ ზუსტი ანალოგიები, თუმც უფრო მეტია არაეკვივალენტური ფრაზეოლოგიური ერთეულები, რაც თავისთვის ქმნის სირთულეებს თარგმანის პროცესში. მიუხედავად არსებული სიძნელეებისა, ლინგვისტებში ინტერესს იწვევს შედარებით ფრაზეოლოგიაზე მუშაობა, რომელიც ენათმეცნიერების შესახებ სპეციფიურ სფეროს წარმოადგენს და ამა თუ იმ ენის ეროვნულ და ყოფად მსარეს წარმოაჩენს.

## ლიტერატურა

1. Виноградов В. В. (1953): Основные темы лексических значений слова. Вопросы языкоznания. с. 21

2. Водяха А. А. (1996): Эмотивный потенциал фразеологических единиц / А. А. Водяха // Взаимодействие языковых уровней в сфере фразеологии. Волгоград : Перемена. С. 30–32

3. Жоржолиани Д. А. (1987): Теоритические основы фразеологической номинации и сопоставительная лингвистика. Тбилиси

4. Жуков В.П. (1987): Словарь фразеологических синонимов русского языка. М.: Русский язык

5. Курчаткина Н. Н. (1981): Фразеология испанского языка. Москва. стр.8
6. თ. სახოვია (1950-55): „ქართული ხატოვანი ხიტუვანი-თქმანი“ (ქართულ ენაზე)
7. Французско-русский фразеологический словарь (1963): (под редакцией Я. И. Рецкера). Москва
8. Corpas Pastor G. (1996): Manual de Fraseología española, Madrid, Gredos.
9. M. Moliner (1998): Diccionario de uso del español. Segunda edición. Madrid. Gredos
10. Diccionario fraseológico español-ruso. M. 1985
11. Real Academia Española, (1992): Diccionario de la Lengua española. (DRAE). Madrid
12. თბიანი (1966): ქართული օდიომაგისტრი. თბილისი

## **Сопоставительный анализ фразеологизмов в испанском, французском и грузинском языках**

*Кобешавидзе Маринэ Валериевна  
Тбилисский государственный университет  
Факультет гуманитарных наук  
пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия  
Тел.: 591 222 007  
E-mail: mkobeshavidze@yahoo.es*

*Ахвледиани Циури Александровна  
Тбилисский государственный университет  
Факультет гуманитарных наук  
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия  
Тел.: 599 508 607  
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com*

### **Резюме**

В статье рассмотрена проблема типологизации в испанском, французском и грузинском языках, проанализированы различные классификации фразеологических единиц. Рассмотрены типы фразеологизмов, которые касаются имен

числительных, а также эмоциональных и касающихся имен птиц фразеологизмы. Представлены существующие эквиваленты вышеуказанных фразеологизмов в трех языках (испанский, французский, грузинский). В некоторых случаях установлены точные, а в некоторых – приближенные значения фразеологических единиц.

### **Ключевые слова:**

Фразеологические единицы, семантическая классификация, функционно-грамматическая классификация, имя числительное, эмоциональные фразеологизмы.

## **Comparative Analysis of Phraseologisms in Spanish, French and Georgian Languages**

*Marine Kobeshavidze  
Tbilisi State University  
Humanitarian science faculty  
36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia  
Tel.: 591 222 007  
E-mail: mkobeshavidze@yahoo.es*

*Tsiuri Akhvlediani  
Tbilisi State University  
Humanitarian science faculty  
36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia  
Tel.: 599 508 607  
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com*

### **Abstract**

The current paper deals with the problem of typologization of phraseological units in Spanish, French and Georgian languages. Different classifications of phraseological units are being analysed. The types of phraseologisms connected with numerals, emotional phraseologisms and the phraseological units connected with birds' names are being discussed. The equivalents of phraseological units

in Spanish, French and Georgian languages are also being represented. In some cases the phraseological units have exact equivalents and in some cases – the equivalents with close meaning.

**Keywords:**

phraseological units, semantic classification, functional-grammatical classification, numerals, emotional phraseological units.

## **ფრაზეოლოგიური ერთეულების როლი და ადგილი ესპანურ ენაში**

მარინე კობეშავიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,  
საქართველო

ტელ: 591 222 007

E-mail: mkobeshavidze@yahoo.es

ნინო ჭრიკიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,  
საქართველო

ტელ: 598 165 756

E-mail: nchrikishvili@yahoo.com

### **რეზიუმე**

ფრაზების აგება ენაში სიტყვათა კომბინირებისა და შერჩევის ზოგადი კანონზომიერების მიხედვით ხდება, მაგრამ ზოგიერთი ფრაზის მნიშვნელობა არ დაიყვანება ამ ფრაზის ცალკე აღებული კომპონენტების მნიშვნელობამდე. სწორედ ასეთ ფრაზებს უწოდებენ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომლებსაც დღემდე აქტიურად იკვლევენ.

ფრაზეოლოგიური ერთეულების უმდიდრეს მარაგს ფლობს ესპანური ენა. კასტილიურ ენაში ვხვდებით განსხვავებული სტრუქტურისა და სხვადასხვა გრამატიკული ფუნქციის როგორც მონოსემანტიკურ, ისე პოლისემანტიკურ უამრავ ფრაზეოლოგიურ ერთეულს. საინტერესოა ფრაზეოლოგიური ერთეულების ეტიმოლოგიაც, რადგან ამ ტიპის ფრაზებში კარგად არის ასახული ამა თუ იმ ხალხის ნაციონალური თვითმყოფადობა, რამდენადაც ზუსტად ფრაზეოლოგიაში აისახება ხალხისა და ენის ისტორია, კულტურისა და ყოფის თავისებურება.

### **შესავალი**

თანამედროვე ლინგვისტური კვლევებისათვის ერთ-ერთი აქტუალური თემა ფრაზეოლოგიური ერთეულების კვლევა და მათი სხვადასხვა კრიტერიუმებით კლასიფიკაციაა, რადგან ფრაზეოლოგია არის ენათმეცნიერების ის დარგი, რომელშიც განსაკუთრებით კარგად ჩანს ენის ნაციონალური თვითმყოფადობა, რამდენადაც ზუსტად ფრაზეოლოგიაში აისახება ხალხისა და ენის ისტორია, კულტურისა და ყოფის თავისებურება.

ცნობილია, რომ ფრაზეოლოგიას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ ენის სრულყოფილად დაუფლებაში როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კუთხით, რადგან სწორედ ფრაზეოლოგიური ერთეულების ცოდნა და გააზრება ხდის ჩვენ მეტყველებას ერთი მხრივ, ფიგურალურს, მეორე მხრივ კი უფრო ზუსტს, ცოცხალსა და ემოციურს. ამ მხრივ, გამონაკლისს არც ესპანური ენა წარმოადგენს, რომლის საკმაოდ მრავალფეროვანი, ხშირ შემთხვევაში კი პოლისემანტიკური ფრაზეოლოგიური ერთეულების წარმატებით შესწავლა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. სწორედ ესპანურ ენაში გამოყენებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ეხება სტატია, სადაც შევცდებით განვსაზღვროთ, რა როლი და ადგილი უჭირავს ფრაზეოლოგიურ ერთეულებს კასტილიურ (ესპანურ) ენაში.

### **ძირითადი ნაწილი**

ფრაზეოლოგიური ერთეულები ენის ყველაზე ლამაზ და გამომხატველ სიტყვიერ ნაწილს წარმოადგენენ, რომლებიც ხალხის ტრადიციებს, არაერთ საინტერესო ისტორიულ მოღვანეს და სხვა მრავალ ასპექტს ასახავენ. ისინი ორმაგი მნიშვნელობით ხა-

### **საკვანძო სიტყვები:**

ფრაზეოლოგიური ერთეული, ნაციონალური თვითმყოფადობა, ეტიმოლოგია, ესპანური ენა.

სიათდებიან, რადგან ფრაზეოლოგიის შემა-  
დგენელი ცალკე აღებული სიტყვების მნი-  
შვნელობას, ხშირ შემთხვევაში, არაფერი  
აქვს საერთო ფრაზეოლოგიური ერთეულის  
მნიშვნელობასთან.

ფრაზეოლოგია შედარებით ახალგაზრდა  
დისციპლინაა. დიდი ხნის მანძილზე, ფრა-  
ზეოლოგია ითვლებოდა ლექსიკოლოგიის  
ნაწილად. როგორც ჩანს, ამის მიზეზი გახდა  
შ. ბალის მოსაზრება სიტყვისა და ფრაზეო-  
ლოგიზმის ტოლფასობაზე. თუმცა, დროის  
სვლასთან ერთად, ფრაზეოლოგიასთან  
დამოკიდებულებაც შეიცვალა და ფრაზეო-  
ლოგია განვითარდა როგორც ენის ცალკე  
დარგი. ამ მოსაზრების აგტორებად ა. ვ. კუ-  
ნინი, მ. მ. კოპილენკო, ს. დ. პოპოვი და  
სხვები გვევლინებიან. ფრაზეოლოგიას აქვს  
თავისი სპეციფიკური მიზნები: ფრაზეოლო-  
გიური ერთეულების სტრუქტურის შესწავ-  
ლა და სემანტიკური ერთობლიობის შექმნის  
მექანიზმი სიტყვათა კომბინაციაში, მათი  
ფრაზეოლოგიზაციის მიზნის განსაზღვრა,  
ფრაზეოლოგიური დამოკიდებულებების შეს-  
წავლა სხვა ენობრივი ერთეულების მიმართ  
(სიტყვა, ფრაზა, წინადადება), ფრაზეოლო-  
გიური ერთეულების ისტორიულ-ეტიმოლო-  
გიური ფესვების განმარტება, განსხვავე-  
ბული სტრუქტურის ფრაზეოლოგიური ერ-  
თეულების დამუშავება საერთოენობრივ და  
სპეციალურ ლექსიკონებში.

ფრაზეოლოგია ტერმინოლოგიური მრა-  
ვალფეროვნებით გამოირჩევა. ფრაზეოლო-  
გიის კალვის ობიექტად მიჩნეული ელ-  
ემენტი ყველაზე ხშირად მოიხსენიება ფრა-  
ზეოლოგიურ ერთეულად. აღნიშნული ტერმი-  
ნი არაერთი ქნაომეცნიერის მიერ არის გამო-  
ყენებული, მათ შორისაა ა. ვ. კუნინი, რო-  
მელიც ფრაზეოლოგიურ ერთეულს განმარ-  
ტავს, როგორც ლექსიკური კომბინაციების  
მტკიცე კავშირს. არაერთი ნაშრომი დაწერ-  
ილა ფრაზეოლოგიური ერთეულების თა-  
ვისებური თვისებების შესახებაც. ამ მხრივ,  
აღსანიშნავია ნ. ნ. ამოსოვას ნაშრომი,

რომელიც ფრაზეოლოგიური ერთეულების  
რამდენიმე ძირითად მახასიათებელზე ამახ-  
ვილებს ყურადღებას: ფრაზეოლოგიური  
ერთეული არ ექვემდებარება მისი შემად-  
გენელი კომპონენტების თანმიმდევრობის  
ცვლას, მაგრამ ახასიათებს გრამატიკული  
ცვლილებები სქესსა და რიცხვში, ფრაზეო-  
ლოგიურ ერთეულებს მუდმივად გაჰყვებათ  
ერთხელ მინიჭებული მნიშვნელობა.

ენის ფრაზეოლოგიური ფონდი ხალხის  
კულტურასა და მეტალიტებზე არსებული  
ენის კველაზე ძვირფასი ინფორმაციის წყა-  
როა. მასში ინახება ხალხის დამოკიდებუ-  
ლება მითებზე, ჩვევებზე, ზნეობასა და ქცე-  
ვაზე. როგორც არაერთი მკვლევარი აღნიშ-  
ნავს, ენის ფრაზეოლოგიური შემადგენლობა  
სარკეა, რომელშიც ლინგვოკულტურული  
გაერთიანება თავის ეროვნულ ცნობიერებას  
გამოხატავს.

ენის ფრაზეოლოგიური სიმდიდრის ნაციო-  
ნალური ელემენტების გათვალისწინებით შეს-  
წავლის მნიშვნელობაზე წერს ხელიო კასა-  
რესი. ის ფრაზეოლოგიას ადარებს საიდუმლო  
ქვეყანას, რომლის შესწავლაც აუცილებელი  
და სასწრაფოა, რადგან სიტყვებს არ შეუ-  
ძლიათ დოდინი, “ისინი ტექსტთან მიკრულე-  
ბია როგორც პეპლები...მოდიზმების შესასწავ-  
ლად დრო არ ითმეს, რადგან ყოველი მომ-  
დევნო თაობა ნაკლებად მგნობიარეა წარსუ-  
ლის ტალღების მიმართ ...“ - წერს კასარესი.

ესპანური ენა უძდიდოეს ფრაზეოლო-  
გიურ მარაგს ფლობს და იგი გამოიყენება  
არამარტო ყოველდღიურ საკომუნიკაციო  
ესპანურ ენაში, არამედ გავრცელებულია  
ლიტერატურაშიც. ესპანური ენის ფრაზეო-  
ლოგიური მარაგი წარმოდგენილია როგორც  
ინტერნაციონალური ფრაზეოლოგიზმებით  
(დამკვიდრებული ბერძნული, ლათინური,  
აღმოსავლური და სხვა ენებიდან), ისე  
ნაციონალური, ესპანური ფრაზეოლოგი-  
ური ერთეულებით. ამ ტიპის ფრაზეოლო-  
გიზმების შემქმნელები თავად ესპანელები  
არიან, მათი გაჩენის წყარო კი ტერადიციები,

ლეგენდები, ზღაპრები, სიმღერები, ესპანურის ისტორია და სხვა ფაქტორებით. განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა ეტიმოლოგიაც საკუთარი სახელქოთან, მათ შორის წმინდანების სახელებთან არის დაკავშირებული. სწორედ ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმებს მიეკუთვნება ქვემოთ განხილული რამდენიმე მაგალითი:

ესპანური ფრაზეოლოგიური ერთეული **Ser la carabina de Ambrosio** ქართულად ითარგმნება როგორც „იყო სრულიად უსარგებლო“. მისი ეტიმოლოგია დაკავშირებულია სევილიელ ფერმერ ამბროსიოსთან, რომელიც XIX საუკუნეში ცხოვრობდა. რადგანაც ბარში საქმეები კარგად არ მისდიოდა, ამბროსიო კარაბინით შეიარაღდა და მთაში ხალხის გასაქრდად წავიდა. თუმცა, რადგან ხალხი მას იცნობდა როგორც სათნო და წესიერ ადამიანს, მისი საქციელი ხუმრობად აღიქვეს. ამბროსიომ კი ხალხის ეს რეაქცია ძველ კარაბინს დააბრალა. სევილიელი გლეხი და „არშემდგარი“ ყაჩაღი, სახელად ამბროსიო, ხშირად ჩნდება ესპანურ ზღაპრებსა და ლეგენდებში და იწვევს არა შიშს, არამედ სიცილს.

მასიასი (მეტსახელად **el Enamorado** „შეუვარებული“) მოხეტიალე გალისიელი პოეტი იყო, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე საყვარელ ქალს უძღვნიდა ლექსებს. სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული გამოთქმა **Más enamorado que Macías**, რაც ითარგმნება როგორც „მასიასზე მეტად შეუვარებული“.

ერთ-ერთი მადრიდული ლეგენდის მიხედვით, ალკორკონში ცხოვრობდა ურუ მექოთნე – მეთუნუქე, სახელად კაჩანო. თუმცა, მას ერთი უცნაური უნარი ჰქონდა: ესმოდა ხმაური, რომელიც ქოთნის გატევისას გაისმოდა. სწორედ ამ ლეგენდასთან არის დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულის **Llamar a Cachano con dos tejas**-ის ეტიმოლოგია, რომელიც ესპანური სამეფო აკადემიის მიხედვით ითარგმნება როგორც

„ტყუილად ითხოვო დახმარება“. ამრიგად, თუ ვინმებს არ სურს თქვენი თხოვნის გაგება, უნდა მიმართოთ იმ მეთოდს, რომელსაც კაჩანოს ყურადღების მისაპყრობად იყენებდნენ და ქოთნები დამტკრიოთ.

რაც შეეხება წმინდანთა სახელებს, ესპანურ ფრაზეოლოგიზმებში ძირითადად ვხვდებით ესპანეთის მფარველ წმინდა სანტიაგოს (იაკობი), წმინდა მარტინის, წმინდა პეტროს (პეტრე) სახელებს: *¡Santiago y a ellos!* “წინ! შეტევაზე!“; **cada cerdo le llega su San Martín** „ყველაფერს აქვს დასასრული“; **Estimado como San Pedro en Roma** „პატივცემული როგორც წმინდა პეტრე რომში“ და ა.შ.

ესპანური ფრაზეოლოგიური ერთეულების გარკვეულ ნაწილს წარმოადგენს ზედმეტსახელებითა და გვარებით ნაწარმოები ფრაზები, ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმებში ძირითადად ფიქსირდება ცნობილი ესპანელი ისტორიული პირების გვარები ან ზედმეტსახელები. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

არაბების წინააღმდეგ არაერთ ბრძოლაში გამოიჩინა თავი ესპანელმა ჯარისკაცმა დიეგო პერეს დე ვარგასმა, მეტსახელად მაჩუკამ (ქართ. „გამანაღგურებელი“). ერთერთი შეტაქების დროს დიეგო პერესმა დაკარგა ხმალი, მაგრამ არ დაიბნა, აიღო მუხის დიდი ნაგლეჯი და ამგვარად განაგრძო არაბების განაღგურება. სწორედ ამ ისტორიულ პერსონაჟთან არის დაკავშირებული ფრაზა **Ser como la espada de Machuca, que quiebra y no corta**, რაც ითარგმნება როგორც „იყო მაჩუკას ხმალი, რომელიც ანადგურებს და არ ჭრის“.

ისტორიაში შემოგვინახა ანტონიო ბარსელოს სახელიც. იგი იყო ცნობილი ესპანელი ადმირალი, რომელიც ხმელთაშუა ზღვაში მეკობრებს ებრძოდა. ადმირალს სამხედრო მოღვაწეობაში არნახული დიდება მოუტანა, ესპანური ენის ფრაზეოლოგიურ ფონდს კი კიდევ ერთი ფრაზეოლოგიზმი შემატა: **Más celebre que Barceló por la mar** ნიშნავს „იყო უფრო მამაცი ან უფრო ცნობილი, ვიდრე ადმირალი ანტონიო ბარსელო“.

აქვე უნდა აღინიშნოს, ფრაზეოლოგიური ერთეული **Que viene Vargas** „ახლა მოვა ვარგასი“, რომელიც დაუმორჩილებელი ბავშვების შესაშინებლად გამოიყენება და ფელიპე II-ის დროს სიმკაცრით გამორჩეული სასამართლო აღმასრულებლის ხუან დე ვარგასის სახელთან არის დაკავშირებული. ცნობილი ესპანელი თეოლოგისა და მათემატიკოსის პედრო სირუელოს (XVI საუკუნე) სახელი კი განათლებული და ჭრიანი აღამიანის სინონიმად გამოიყენება: **Saber más que el maestro Ciruelo** “იცოდე მეტი, ვიდრე მაესტრო სირუელამ”. მისი სახელი სხვა ფრაზეოლოგიურ ერთეულშიც ფიგურირებს, თუმცა, აღნიშნულ შემთხვევაში მას ირონიული დატვირთვა აქვს: გამოთქმა **El maestro Ciruelo que no sabe leer y pone escuela** სიტყვასიტყვით ითარგმება როგორც „მაესტრო სირუელა, რომელმაც არ იცის კითხვა, მაგრამ სკოლას ხსნის“ და აღნიშნავს გაუნათლებელ აღამიანს, რომელმაც თვითონ არაფერი იცის, მაგრამ ყოველთვის ცდილობს სხვას ასწავლოს.

### დასკვნა

ამრიგად, განხილულმა მასალამ გვაჩვენა, რომ ესპანური ენის ფრაზეოლოგიური ერთეულების განხილვა ისტორიული, პოლიტიკური და კულტურული ფონის განვითარების უფრო ღრმა გაგების საშუალებას გვაძლევს. სტატიაში განვიხილეთ ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, სადაც საკუთარი სახელებია გამოყენებული და ამ გზით აღმოვაჩინეთ ბევრი საინტერესო ფაქტი ესპანელი ხალხის ისტორიისა და კულტურის შესახებ. როგორც ჩანს, ფრაზეოლოგიური ერთეულები ესპანელი ხალხის ისტორიისა და კულტურის განუყოფელი ნაწილია და ამგვარად, მათი სწორი გამოყენება ენაში კულტურულ-ისტორიული კონტექსტის ცოდნის გარეშე ვერ მოხერხდება.

### ლიტერატურა

1. Амосова Н. (1963): Основы английской фразеологии. Л.: Изд-во Ленингр. университета
2. Кунин А. В. (1966): Курс фразеологии современного английского языка: учебник для институтов и факультетов иностранных языков. Высшая школа
3. Buitrago A. (2012): Diccionario de dichos y frases hechas., España: S.L.U. Espasa libros
4. Corpas Pastor G. (1997): Manual de fraseología española, Málaga: Editorial Gredos
5. Cantera Ortiz de Urbina J., Gómez Blanco P. (2007): Diccionario de fraseología española: locuciones, idiotismos, modismos y frases hechas usuales en español. Madrid: Abada Editores

## Role and Places of the Phraseological Units in the Spanish Language

*Marine Kobeshavidze*

*Tbilisi State University*

*Humanitarian science faculty*

*36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia*

*Tel.: 591 222 007*

*E-mail: mkobeshavidze@yahoo.es*

*Nino Chrikishvili*

*Tbilisi State University*

*Humanitarian science faculty*

*36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia*

*Tel.: 598 165 756*

*E-mail: nchrikishvili@yahoo.com*

### Abstract

Phrase creation in a language takes place according to general regularities of the combination and selection of words, but the meaning of some phrases is not decoded according to the meaning of separate components. Such phrases are called phraseological units which are still actual from the research view-

point.

Spanish language is rather rich in phraseological units. In Castilian language there are various mono-semantic and poly-semantic phraseological units with different structures and grammatical functions. The etymology of phraseological units is also interesting because of national distinctiveness of this or that nation, represented in such phrases.

семантических и полисемантических фразеологических единиц, у которых разные структуры и грамматические функции. Их этимология так же интересна, так как национальная самобытность той или иной нации представлена в фразах.

### **Ключевые слова:**

Фразеологические единицы, национальная самобытность, этимология, испанский язык.

### **Keywords:**

phraseological unit, national distinctiveness, etymology, spanish language.

## **Роль и место фразеологических единиц в испанском языке**

*Кобешавидзе Маринэ Валериеvна*

*Тбилисский государственный университет*

*Факультет гуманитарных наук*

*Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия*

*Тел.: 591 222 007*

*E-mail: mkobeshavidze@yahoo.es*

*Чрикишвили Нино Гелаевна*

*Тбилисский государственный университет*

*Факультет гуманитарных наук*

*Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия*

*Тел.: 598 165 756*

*E-mail: nchrikishvili@yahoo.com*

### **Резюме**

В испанском языке посторонение фраз происходит по общим закономерностям комбинирования и выбора слов, но значения некоторых фраз не сводится к значению отдельно взятых компонентов. Именно такие фразы называются фразеологическими единицами, исследования которых до сих пор актуальны.

Испанский язык довольно богат такими единицами. В кастильском языке множество моно-

# ეფექტური გერბალური კომუნიკაცია აქტიურ სწავლებაში

ნახა ჩხეიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი  
კოსტავას ქ. №77, 0179, თბილისი

საქართველო

ტელ: 555 257 167

## რეზიუმე

კომუნიკაციებით, ინფორმაციის ურთიერთგაცვლით კონსტრუირდება ნებისმიერი ურთიერთობა. საზოგადოება თავადაც კომუნიკაციის ფორმაა, რომლის მეშვეობითაც ხდება გამოცდილების აღწერა, მოდიფიცირება თუ გაცვლა. ის, რასაც ჩვენ საზოგადოებას ვუწოდებთ, არ არის მხოლოდ პოლიტიკური ან ეკონომიკური ურთიერთობების ქსელი – ეს კომუნიკაციისა და სწავლის პროცესია. იწყება რა ეს პროცესი ჩვენს გონიერებისა და გადავცემოთ რა მის შედეგებს სხვებს, ჩვენ დამოკიდებული ვხდებით კომუნიკაციის გარკვეულ მოდელებზე, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია კონტაქტი საერთოდ. ჩვენ შეგვიძლია, შევცვალოთ ეს მოდელები, როცა ისინი არაადეკვატურია არსებული სიტუაციისათვის. ადამიანის ცხოვრება, საბოლოო ჯამში, სწორედ ამ მოდელების მოდიფიცირება.

## საქვანძო სიტყვები:

კომუნიკაციის ბარიერები, ემფატია და დიალოგი, აქტიური სწავლება.

## შესავალი

შინაარსის, მიზნისა და სირთულის ხარისხის მიუხედავად, ყველა ტიპის კომუნიკაციას მსგავსი არქტიტექტონიკა აქვს.

ეფექტური გერბალური კომუნიკაციის პროცესის ყველა ძირითად კომპონენტსა და

ეტაპს სტაბილური – ინგარიანტული თანმიმდევრობა ახასიათებს. უკუკავშირისა და კორექციის არსებობის გამო ეს თანმიმდევრობა „წრიულია“.

„წრის პრინციპი“ მნიშვნელოვანია როგორც არქიტექტონიკული, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც: იგი უზრუნველყოფს კომუნიკაციის შედეგს, მისი მეშვეობით კონტროლდება კომუნიკაციის ეფექტურობა და „წრის“, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთელი კომუნიკაციური ციკლის გამეორება მისი პირველი, არაეფექტური რეალიზაციის შემთხვევაში.

## ძირითადი ნაწილი

- კომუნიკაცია არ წარმოადგენს თვითმიზანს – იგი საშუალებაა, რომელიც ემსახურება კონკრეტულ მიზანს. ენობრივ სტრატეგიათა რეალიზაცია და ინტერპრეტაცია შეუძლებელია პიროვნული და კულტურული ფაქტორების გათვალისწინების გარეშე. კომუნიკაცია რთული და მრავალმხრივი მოვლენაა, რომელიც მოიცავს როგორც ლინგვისტურ, ისე ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს. ექსტრალინგვისტურ ფაქტორებში მოიაზრება: ადამიანთა ცოდნა სამყაროს შესახებ, ჩამოყალიბებული თვალსაზრისი, კომუნიკაციურ აქტში მონაწილეობა განწყობა და მათი კომუნიკაციური ინტენცია.

- კომუნიკაციური ფუნქციის შინაარსი მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- ა) კომუნიკაციური ფუნქციის არსის განსაზღვრასა და სპეციფიკის გამოვლენას;

- ბ) კომუნიკაციის ძირითადი ტიპების ანალიზს;

- გ) კომუნიკაციური პროცესის სტრუქტურული კომპონენტებისა და ძირითადი ეტაპების განსაზღვრას;

- დ) კომუნიკაციური ფუნქციის რეალიზაციის ფორმათა დახასიათებას;

ე) კომუნიკაციური ფუნქციისათვის ტიპიური სირთულეებისა და შეცდომების („ბარიერების“) ანალიზს;

გ) კომუნიკაციური ფუნქციის ოპტიმიზაციის (ეფექტური ვერბალური კომუნიკაციის პრინციპების) მოთხოვნათა აღწერას.

კომუნიკაციური ფუნქციის არსი და ძირითადი მიზანი კომუნიკანტთა მიერ საერთო „სემანტიკურ მნიშვნელამდე“ მისვლაა.

ცნობილია, რომ სშირად ადამიანები ვერ პოულობენ საერთო ენას, ან არ ესმით ერთმანეთის მაშინაც კი, როცა ერთი და იმავე ენაზე ლაპარაკობენ. საქმე ისაა, რომ ვერბალური კომუნიკაციისათვის ნიშნადია სამი ტიპის ინფორმაციის, უფრო ზუსტად კი, ინფორმაციის აღქმადობის სამი საფეხური:

1. ინფორმაცია ცნობიერებაში ღრმად არ აღწევს და წუთიერად მოქმედებს კომუნიკანტის წარმოსახვაზე;

2. ინფორმაცია ოდნავ ეხება კომუნიკანტის ცნობიერებას და ქვეცნობიერებას და მხოლოდ იქცევს მის ყურადღებას;

3. ინფორმაცია ფიქსირდება ცნობიერებასა და ქვეცნობიერებაში, იწვევს აქტიურ შემოქმედებით პასუხს რეციპიენტის მხრიდან და სრულდება რეალური ქმედებით.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: „როგორი ინფორმაცია ვერ აღწევს ცნობიერებამდე და რის საფუძველზე გამოიყოფა ინფორმაციის აღქმადობის სამი საფეხური?“ სწორედ აქ ვეხებით კომუნიკაციის პროცესებისას, სხვა სიტყვებით კი, ეფექტური შეტყობინების ფორმირებისათვის რელევანტურ ტექნოლოგიათა საკითხს.

კომუნიკაციური პროცესის თითოეული კომპონენტისა და ეტაპის შინაარსობრივი თავისებურება სრულად აისახება „ეფექტური ვერბალური კომუნიკაციის“ მოთხოვნებსა და კომუნიკაციის „ბარიერებში“ (შეცდომებში). კომუნიკაციის „ბარიერების“ წარმოქმნის მიზეზები ისეთივე მრავალფეროვნებით ხასიათდება, როგორითაც ადამიანის ფსიქიკა. ამ მრავალფეროვნებიდან

შესაძლებელია გამოიყოს შედარებით უფრო ტიპური და განმეორებითობის შედარებით უფრო მაღალი ხარისხის მქონე შეცდომები – „ბარიერები“:

- ინტერპრეტაციული შეცდომები – ინტერპრეტაციული შეცდომები განპირობებულია აღქმის ფაქტორით. ადამიანები სხვადასხვაგარად აღიქვამენ ერთსა და იმავე სიტუაციას, მასში გამოყოფენ, მათი თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანეს თავისებურებებს და დარწმუნებულნი არიან, რომ სწორედ მათი თვალსაზრისია ყველაზე სწორი. ერთ-ერთ ფსიქოლოგიურ გამოკვლევაში გაკეთდა დასკვნა, რომ ჩვენი საერთო და ყველაზე დიდი შეცდომა ისაა, რომ სამყაროს მივიჩნევთ ზუსტად ისეთად, როგორადაც იგი ჩვენ გვეხვენება. თითოეული ინდივიდი, გამომდინარე მისი გამოცდილებიდან, პროფესიული კომპეტენციის სფეროდან, ინტერესებიდან და ა.შ., თავისებურად აღიქვამს ინფორმაციას და ახდენს მის ინტერპრეტაციას.

- არასწორი ინტერპრეტაციის ალბათობა განსაკუთრებით მაღალია, როცა მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეთათვის სხვადასხვა ენაა მშობლიური. მაგ., ინგლისურისაგან განსხვავებით, სპარსულ ენაში სიტყვას „კომპრომისი“ არ გააჩნია პოზიტიური მნიშვნელობა, სიტყვა „შუამავალი“ კი „დაუპატიურებელ სტუმარს“ ნიშნავს. 1980 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი, ვალდებული ეწვია ირანს მძევლების საკითხის დასარეგულირებლად. ირანულმა რადიომ და ტელევიაზიამ სპარსულ ენაზე გადმოსცა ვალდებული შემდეგი შეტყობინება: „მე აქ ჩამოვედი როგორც შუამავალი კომპრომისის მისაღწევად“. გადაცემიდან ერთი საათის შემდეგ გააფთებულმა ირანელებმა ქვები დაუშინეს სტუმრის მანქანას.

- დისპოზიციური შეცდომები – დისპოზიციური შეცდომები განპირობებულია კომუნიკანტთა სოციალური, პროფესიული

და გამოცდილებაში არსებული სხვაობით. თუ ერთ ინდივიდს წარსულში ჩამოუყალიბდა უარყოფითი დამოკიდებულება მეორე ინდივიდისადმი, ეს დამოკიდებულება გამოიწვევს საჭირო ინფორმაციის არაადეკვატურ აღქმას ან „უგულებელყოფას, საუკეთესო შემთხვევაში კი, „ნდობის ყველაზე დაბალი ხარისხით“ აღქმას.

- სტატუსთან დაკავშირებული შეცდომები – სტატუსთან დაკავშირებული შეცდომები განპირობებულია კომუნიკაციურ აქტში მონაწილე ინდივიდების თანამდებობრივი სტატუსების განსხვავებულობის ფაქტით. ცნობილია, თუ რამდენად რთულია მაღალი თანამდებობის ადამიანისათვის რიგითი თანამშრომლის პრობლემის აღქმა. რაც უფრო დიდია თანამდებობრივ სტატუსებს შორის განსხვავება, მით უფრო მაღალია აღნიშნული ტიპის შეცდომათა არსებობის აღბათობა.

- სემანტიკური „ბარიერები“ – სემანტიკური „ბარიერები“ განპირობებულია ბუნებრივი ენის ელემენტთა პოლისემანტურობითა და სხვადასხვა შინაარსობრივი ნიუანსების არსებობით. სემანტიკური „ბარიერი“ შეიძლება გაჩნდეს არა მხოლოდ ცალკეული სიტყვის, არამედ მთელი გამონათქვამის აღქმის შემთხვევაშიც კი. როდესაც თქვენი შეფი გეუბნებათ შემდეგ ფრაზას: „მიხედეთ ამ საქმეს მაშინვე, როგორც კი იპოვით თავისუფალ დროს“, თქვენ გიჩნდებათ შეკითხვა: როგორ ესმის თქვენს უფროსს „თავისუფალი დრო“ და გესმით თუ არა თქვენ და თქვენს უფროსს „თავისუფალი დრო“ ერთნაირად? „თავისუფალ დროს გასაკეთებელი საქმე“ უფროსისათვის შეიძლება გულისხმობდეს „დაუყოვნებლივ გასაკეთებელ საქმეს“, ხოლო თქვენთვის „იმ საქმეს, რომელიც მოიცდის“.

- არაეფექტური უკუკავშირი – უკუკავშირის არსებობისას ადამიანები ცვლიან კომუნიკაციურ როლებს: მიმდები ხდება გადამცემი და გაივლის ინფორმაციის გაცვ-

ლის ყველა ეტაპს, რათა გადასცეს თავისი პასუხი საწყის გადამცემს, რომელიც ახლა უკვე მიმდების როლშია. უკუკავშირი წარმოადგენს გარკვეულ ორიენტირს მომდევნო შეტყობინებისათვის, რომელსაც ვუგზავნით მიმდებს. არაეფექტური უკუკავშირი წარმოადგენს კომუნიკაციის შეცდომათა არსებობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს.

- ცუდად ჩამოყალიბებული შეტყობინება – ცუდად ჩამოყალიბებული შეტყობინება გულისხმობს ბუნდოვნად, ორაზროვნად ჩამოყალიბებულ აზრს. ამგვარი შეტყობინების ძირითადი მახასიათებლებია: მწირი ლექსიკა, გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვები, ყოველგვარი საჭიროების გარეშე გამოყენებული სტილისტური ხერხი – „გამეორება“, სტილის არაადეკვატურობა და ა.შ .

- ინფორმაციული დანაკარგი – ინფორმაციული დანაკარგი თავს იჩენს ორ შემთხვევაში:

- 1) თუ შეტყობინება მეტისმეტად გრძელი და რთულია, მაშინ მსმენელს ავიწყდება, თუ რაზე იყო ლაპარაკი შეტყობინების დასაწყისში. ასეთ შემთხვევაში ხდება მსმენელის მეხსიერების გადატვირთვა და ადგილი აქს ინფორმაციულ დანაკარგს;

- 2) თუ „ინფორმაცია მოგზაურობს“, მაგ., „შეფიდან ქვეშევრდომამდე“. ინფორმაციის ამ „მარშრუტით მოგზაურობა“ ხშირად იწვევს ინფორმაციის გარკვეული წილის დაკარგვას.

- ფალსიფიცირების შეცდომები – ფალსიფიცირების შეცდომები განპირობებულია „ინფორმაციის გადამცემის“ სუბიექტურობით. „ინფორმაციის გადამცემი“ ადამიანია და იგი არ ხასიათდება მიუკერძოებლობით. ინფორმაციის გადამცემს ისე შეუძლია დაამახინჯოს შეტყობინება, რომ თავადაც ვედარ იცნოს იგი.

- ფალსიფიცირების შეცდომები ასოცირდება მეხსიერების თავისებურებასთანაც. ცნობილია, რომ ვიზუალურად დამახსოვრევ-

ბული მოვლენა მახინჯდება ვერბალური ფორმის რეპრეზენტაციაში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ირღვევა შესატყვისობა მეხსირებაში შენახულ ვიზუალურ ხატსა და ამ ხატის სიტყვიერ დასახელებას შორის. ადამიანისათვის უფრო მოსახერხებელია, მეხსიერებაში შეინახოს ვიზუალური ხატის სიტყვიერი აღწერა, ვიდრე თავად ეს ხატი.

• იგივე შეიძლება ითქვას რეალურად მომხდარი მოვლენების შესახებ. დროთა განმავლობაში ისინიც მახინჯდებიან მეხსიერებაში. ისინი იცვლებიან, რაშიც იგულისხმება:

ა) გათანაბრება – ბევრი მოვლენა ვარდება მეხსიერებიდან და ისტორია იძენს უფრო მოკლე და სქემატურ სახეს;

ბ) დაზუსტება – ბევრი დეტალი უკცრად იძენს სიმკვეთრეს და ყოველთვის მეორდება;

გ) ასიმილაცია – ჩვენ ვიმახსოვრებთ მოვლენებს ისე, როგორადაც ჩვენ ეს გვინდა, სხვა სიტყვებით, არსებობს შესაბამისობა ზოგიერთ სქემასა და სტერეოტიპს შორის.

დამახსოვრებული მასალის ამგვარ სქემატიზაციას დ. მილერი ხელმეორე კოდირებას უწოდებს. ხელმეორე კოდირება არის გახანგრძლივებული შთაბეჭდილების აღწერა კონდენსირებული ფორმით.

• წინასწარი შეფასება – წინასწარი შეფასება გულისხმობს მსმენელის მიერ შეტყობინების წინასწარ, ემოციურ შეფასებას. მსმენელი არ ელოდება შეტყობინების დასრულებას, რაც იწვევს აღქმის არაადეკვატურობას.

• „შიშის შეცდომები“ – „შიშის შეცდომები“ ჩნდება „შელამაზებულ შეტყობინებაში“, რომელიც გულისხმობს იმ ადამიანისათვის მიტანილ ინფორმაციას, რომლისაც გეშინია.

რა შეცდომებს ვუშეებთ? რატომაა ასეთი მიუწვდომელი დიალოგურობა? ხშირად ემფატია გვაკლია. გვიჭირს საკუთარი თავის სხვის ადგილას წარმოდგენა. ფსიქოლოგი

კარლ როჯერსი შემდეგნაირად განმარტავს ემფატიას: „ემფატიის უნარი გულისხმობს სხვა ადამიანის სამყაროს აღქმის უნარს. თითქოს ხდები „ის სხვა“, მაგრამ არ კარგავ იმის განცდას, რომ ეს ყველაფერი ხდება „თითქოს“. როცა გავიწყდება, რომ შენ მხოლოდ „თითქოს“ ხდები სხვა, ემფატიის ადგილს იდენტიფიკაციის მდგომარეობა იკავებს. საერთო სემანტიკური მნიშვნელის მიღწევისათვის აუცილებელია ემფატიის თუნდაც მინიმალური ხარისხი. ურთიერთობის ემფატური ფორმა გულისხმობს სხვა ადამიანის სულიერ სამყაროში შესვლას და დროებით იქ „დასახლებას“, სხვა სიტყვებით, სხვა ადამიანის „ყოფიერების სახლში“ ცხოვრებას ისე, რომ თავს საკუთარ სახლში გრძნობდე. ეს გარკვეული დროით სხვისი ცხოვრებით ცხოვრებას ნიშნავს. ამ დროს საკუთარი ცხოვრება, დირებულებები და პრინციპებიც დროებით უნდა დაივიწყო. ემფატია არსებობს მხოლოდ იქ, სადაც არ არსებობს სხვისი ცხოვრების კრიტიკის სურვილი. ადამიანთან ურთიერთობის ემფატური ფორმისათვის რელევანტურია „შენ“ და არა „მე“. ემფატია არ ნიშნავს იმის დემონსტრირებას, რომ გესმით, თუ რას განიცდის თქვენი თანამოსაუბრე. ემფატია არ ნიშნავს არც იმის დემონსტრირებას, რომ ეთანხმებით თქვენი თანამოსაუბრის თვალსაზრისე. ემფატია სხვა ადამიანის „როლში“ შესვლას გულისხმობს. ეფექტური ურთიერთობა ნიჭიერი მსახიობის „საქმიანობას“ ჰგავს. იმისათვის, რომ კარგად შეასრულო ჰამლეტის როლი, სრულებით არაა საკმარისი იმის ცოდნა, თუ რაში მდგომარეობს ჰამლეტის ტრაგედია. იმისათვის, რომ „იყო კარგი ჰამლეტი“, დროებით უნდა იყო ჰამლეტი.

როგორ მივაღწიოთ დიალოგურობას? მოსმენა და ყურადღება ყველაზე დიდი ქათინაურია! სამოქალაქო ომის ყველაზე მძიმე დღეებში ლინკოლნმა წერილი მისწერა ერთ თავის ძველ მეგობარს და ვაშინგტონში ჩამოსვლა სთხოვა, რადაც

პრობლემაზე მინდა მოგელაპარაკოო. ძველი მეგობარი თეთრი სახლის კენა გამოეშურა. ლინკოლნი რამდენიმე საათი ესაუბრა მას მონების გათავისუფლების დეკლარაციის მიზანშეწოდობის შესახებ. სტუმარს ამ ღონისძიების ყველა საწინაღმდეგო თუ სასარგებლო მტკიცებულებები მოუკვანა. რამდენიმე წერილი და საგაზეოთ სტატიაც წაუკითხა: ზოგში იმას საყვედურობდნენ, რატომ არ ათავისუფლებ მონებსო, ზოგში კი კიცხავდნენ, რატომ ათავისუფლებო. რამდენიმე საათის ლაპარაკის შემდეგ ლინკოლნმა ხელი ჩამოართვა, დაემშვიდობა და უკან, ილინოისში ისე გაამგზავრა მეგობარი, აზრიც კი არ უკითხავს მისთვის. მთელი დღე მარტო ლინკოლნი ლაპარაკობდა. თავისივე საუბარმა საჭირო დასკვნები გააკეთებინა. მეგობარმა კი ირწმუნა, რომ მასთან საუბარმა ლინკოლნს შვება მოჰგვარა. ლინკოლნს რჩევები არ უნდოდა. მას მხოლოდ კეთილგანწყობილი მსმენელი სჭირდებოდა.

ზოგ შემთხვევაში, „აქტიური და კონსტრუქციული მსმენელის“ წესი შემდეგნაირად უდერს: „თუ გსურთ ჩემთან საუბარი, მაშინ იყავით ჩუმაღ“.

### დასკვნა

კომუნიკაციის ბარიერების დაძლევის ყველაზე მძლავრ საშუალებას ეფექტური კომუნიკაციის პრინციპების დაცვა წარმოადგენს.

ადამიანი არის „Homo loquens“, თანაც ძალიან გამოცდილი! და მაინც, მიუხედავად ჩვენი გამოცდილებისა, გვაქვს უამრავი კონფლიქტი, გამოწვეული სულ უბრალო კომუნიკაციური შეცდომებით.

### ლიტერატურა

1. Felder R. & Brent R. (2003): Learning by doing. Chemical Engineering Education, 37(4), 282-309
2. Campbell W. E. & Smith K. A. (1997): New Paradigms for College Teaching. Interaction Book Company: Edina, Minnesota
3. Bronwell C. C. & Elson, J. A. (1991): Active learning: Creating excitement in the classroom. Washington, DC: School of Education and Human Development, George Washington University

## Эффективная вербальная коммуникация в активном обучении

Чхеидзе Нана Георгиевна  
Грузинский технический университет  
Департамент либеральных наук  
Ул. Костава №77, 0179, Тбилиси, Грузия  
Тел: 555 257 167

### Резюме

Статья касается проблем идентификации различных типов коммуникационных барьеров. Эти барьеры появляются в процессе формирования идеи, определения коммуникационной интенции, использования различных коммуникационных стратегий, создания сообщения в соответствии с принципом 'информационной достаточности' и декодирования информации. Идентифицированными категориями коммуникационных барьеров являются различные типы коммуникационных ошибок, ведущих к неправильному пониманию сообщения. Чтобы эффективно общаться, мы должны осознать, что мы разные в том, как мы воспринимаем мир и используем это понимание для нашего общения с другими людьми.

**Ключевые слова:**

Барьеры коммуникации, эмпатия и диалог, активное обучение.

## Effective Verbal Communication in Active Learning

*Nana Chkheidze*

*Georgian Technical University*

*Department of Liberal Sciences*

*77 Kostava st., 0175, Tbilisi, Georgia*

*Tel: 555 257 167*

### **Abstract**

The article deals with the problem of identifying different types of communication barriers. These

barriers appear in the process of developing an idea, defining communication intention, using different communication strategies, creating messages according to the principle of 'informative sufficiency~, and decoding information. These identified categories of communication barriers imply different types of communication errors causing misunderstanding of the message. To effectively communicate, we should realize that we are all different in the way we perceive the world and use this understanding as a guide to our communication with others. .

**Keywords:**

Communication barriers, empathy and dialogue, active learning.

# **Dialogue in Active Learning**

*Nana Chkheidze*

*Georgian Technical University*

*Department of Liberal Sciences*

*77 Kostava st., 0175, Tbilisi, Georgia*

*Tel: 555 257 167*

## **Abstract**

For true dialogue to occur in the process of active learning it is necessary to consider mutually accepted rights and responsibilities, rooted in two fundamental values: respect for the human person and trust in the process of dialogue. Effective dialogue is characterized by the following markers: communicators have their rights and they enjoy them, communicators have their responsibilities and they accept them, communicators have skills of dialogue and they demonstrate them.

How you ask questions is very important in establishing a basis for effective dialogue. In order to apply the type of question most suitable for our purposes we should be familiar with the nature of each: knowledge (memorization), comprehension (understanding), application (problem-solving), analysis (dissection), synthesis (creation), and evaluation (judgment).

## **Keywords:**

Communication, effective dialogue, rights and responsibilities, values, active learning, questions.

## **Introduction**

The interactional function of language is the exchange of dialogue between people: “Me and You.” Miscommunication is a problem that may occur in any dialogue. There are three basic types of miscommunication: misunderstanding, non-understanding and misinterpretation.

Misunderstanding is when a communicator gains

an interpretation that he/she believes is accurate, but in reality is not the interpretation the speaker intended the listener to gain. Non-understanding is when a communicator either does not gain any interpretation at all, or gains more than one interpretation with no way to choose between them. Misinterpretation is when the interpretation of a communicator’s statement suggests that his/her values and beliefs are different from his/her listener’s values and beliefs. Miscommunication can occur in anything that communication is used in.

## **Main Body**

Dialogue works best when the participants are willing to develop certain skills that facilitate the process.

### **Communicators have the following rights:**

- Each person has the right to define him/herself without being labeled by others;
- Each person has the right to express his or her beliefs, ideas and feelings;
- Each person has the right to ask questions that help him/her understand what someone else has said;
- Each person has the right not to change or be coerced to change;
- Each person has the right to expect that what is said will be held in confidence.

Communicators should have the following responsibilities:

- Each person must be willing to seriously question his/her assumptions about “the other”;
- Each person must allow others the same right of self-expression that he/she expects for him/herself;
- Each person should ask questions that respect the other’s right of self-definition, even in times of conflict or disagreement;
- Each person must accept the others as equal partners in the dialogue, and acknowledge the dignity of the traditions represented;

- Each person must agree to hold what others say in confidence.

Communicators should have the following Skills:

- Each person should be able to evaluate and articulate his/her own attitudes, values and positions on issues within the context of his/her tradition;
- Each person should learn how to temporarily set aside his/her own views and feelings in order to be more sensitive to what the other is saying;
- Each person should learn how to respond to questions in ways that help others understand;
- Each person should learn to deal with different points of view while maintaining his/her own integrity;
- Each person should learn to deal with others from a position of mutual trust, based on an expectation that others come to the dialogue in a spirit of honesty and sincerity.

Dialogue differs from debate - dialogue is collaborative: the sides work together, while debate is a type of fight: two sides oppose each other to prove each other wrong. Dialogue builds a learning relationship between people, while debate builds a competitive relationship between people. Dialogue encourages the participants to identify questions and goals they could share, while debate encourages each side to articulate its own questions and goals. In a dialogue the goals are finding common ideas and new ideas, while in a debate the goal is winning with your own ideas. In a dialogue everyone contributes to solving a problem, while in a debate one person and viewpoint wins, the other is dismissed.

In a dialogue you believe that many solutions might exist, and that different people have parts of the best solutions, while in a debate you believe that there is one solution, that you have it, and other solutions are not considered. In a dialogue you are sensitive to each other's feelings, hopes, and ideas, while in a debate you do not care about the feelings, hopes and ideas of others. In a dialogue you contribute your best ideas to be improved upon, while in a debate you contribute your ideas and defend them against challenges. In a dialogue you listen to each other to understand and build agreement, while in

a debate you listen to each other to find flaws and disagree. In a dialogue you search for the good parts of other people's ideas, while in a debate you search for weaknesses in other people's ideas. In a dialogue you may consider new ideas and even change your mind completely, while in a debate you do not admit you are considering new ideas and you must not change your mind, or you lose. Dialogue encourages you to evaluate yourself, while debate encourages you to criticize others. Dialogue promotes open-mindedness, including openness to being wrong, while debate creates a close-minded attitude, a determination to be right. Dialogue encourages you to see all sides of an issue, while debate encourages you to see only two different sides of an issue. Dialogue invites keeping the topic open after the discussion formally ends, while debate, by creating a winner and a loser, discourages further discussion.

How you ask questions is very important in establishing a basis for effective communication. Effective questions open the door to understanding. The art of questioning lies in knowing which questions to ask when. "Address your first question to yourself: if you could press a magic button and get every piece of information you want, what would you want to know? The answer will immediately help you compose the right questions [1:23].

If communicators want to hear a specific answer, they should ask a specific question. Open – as opposed to leading – questions are those that cannot be answered with a straight "yes" or "no". By asking open questions communicators can gain insight into the other person's character, and to invite the response. Open questions encourage the speaker. They elicit a more detailed response than closed questions.

Searching questions can help you discover new opportunities, uncover the roots of a problem, and find creative solutions to it. Asking searching questions starts with challenging assumptions. If you do not check assumptions you cannot be good at asking searching questions. Don't ask one or two questions and then rush straight towards a solution. With an incomplete understanding of the problem it is very

easy to jump to wrong conclusions [1:49].

It's very important to learn to argue with yourself. Communicators should go on the counter-attack. They should ask themselves the following questions:

- Evidence: What is the objective evidence for automatic negative thoughts?
- Exaggeration: Am I over-reacting? Am I over-generalizing?
- Utility: Is this belief empowering or counter-productive?

The art of asking questions is one of the basic skills of effective communication. Effective communication includes hidden levels of knowing and awareness - varied levels of questioning skills. In order to apply the type of question most suitable for our purposes we should be familiar with the nature of each.

**Knowledge** (memorization) - Communicators recall, remember, or recognize information

**Comprehension** (understanding) - Communicators, at a fundamental level, translate information into different forms, relate discrete facts, or generalize

**Application** (problem-solving) - Communicators apply learned material to a new and concrete situation

**Analysis** (dissection) - Communicators identify the component parts of a whole (e.g., problem or phenomena) and the relationships among the parts

**Synthesis** (creation) - Communicators combine two or more elements into a new (for them) combination or set of relationships

**Evaluation** (judgment) - Communicators critically assess the quality or judge the value of a piece of work based on internal evidence (logical consistency) or external criteria (efficiency)

Key Words: Criticize, evaluate, grade, interpret, judge, justify, rank, rate

## Conclusion

In a dialogue communicators find common and new ideas, everyone contributes to solving a problem, everyone believes that many solutions might exist, and that different people have parts of the best solutions. In a dialogue you are sensitive to each

other's feelings, hopes, and ideas. In a dialogue you may consider new ideas and even change your mind completely - dialogue encourages you to evaluate yourself and see all sides of an issue. Dialogue promotes open-mindedness, including openness to being wrong.

Through the art of thoughtful questioning communicators can extract not only factual information. Questions help communicators in connecting concepts, making inferences, increasing awareness, encouraging creative and imaginative thought, aiding critical thinking processes, and generally helping communicators explore deeper levels of knowing, thinking, and understanding. To profit from experience communicators must be open and willing to learn, even from what some people might consider a failure. What may seem to be a failure can actually lead to new opportunities. Dialogue encourages communicators to identify questions and goals they could share.

## Literature

1. Frist J. (1990): Introduction to Communication Studies. London
2. Adams Dennis & Mary Hamm. (1994): New Designs for Teaching and Learning. Jossey-Bass Publishers: San Francisco.
3. Bransford J., Brown A. & Cocking R. (Eds.). (2000): How People Learn: Brain, Mind, Experience, and School. Washington, D.C: National Academies Press.

## დიალოგი აქტიურ სწავლებაში

ნანა ჩხეიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი  
კოსტავას ქ. N77, 0175, თბილისი,  
საქართველო

ტელ: 555 257 167

## რეზიუმე

დიალოგი წარმოადგენს თვალსაზრისებისა და იდეების ურთიერთგაცვლის პროცესს. ეფექტურ დიალოგს ახასიათებს შემდეგი ფაქტორები: კომუნიკანტებს აქვთ თავიანთი უფლებები და იცავენ მათ, კომუნიკანტებს აქვთ მოვალეობები და ასრულებენ მათ, კომუნიკანტებს გააჩნიათ დიალოგის უნარ-ჩვევები და ახდენენ მათ დემონსტრირებას.

დიალოგის ეფექტურობა სხვადასხვა ფაქტორებითაა განპირობებული. ერთ-ერთ მათგანს დიალოგში არსებულ შეკითხვათა მრავალფეროვნება წარმოადგენს.

არსებობს სხვადასხვა ტიპის შეკითხვა:

1. მასალის ათვისებაზე ორიენტირებული (ინფორმაციის მიღება); 2. აღქმაზე ორიენტირებული (ინფორმაციის ტრანსლაცია სხვადასხვა ფორმაში); 3. პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული; 4. ანალიზზე ორიენტირებული (მთელის შემადგენელი ნაწილების იდენტიფიცირება); 5. სინთეზზე ორიენტირებული (მთელის შემადგენელი ნაწილების გაერთიანება); 6. შეფასებაზე ორიენტირებული შეკითხვა.

## საქვანძო სიტყვები:

კომუნიკაცია, ეფექტური დიალოგი, უფლებები და მოვალეობები, დირებულებები, აქტიური სწავლება, შეკითხვები.

## Диалог в Активном Обучении

Чхеидзе Нана Георгиевна

Грузинский технический университет

Департамент либеральных наук

Ул. Костава №77, Тбилиси, Грузия

Тел: 555 257 167

## Резюме

Диалог является процессом обмена мнений и идей. Эффективный диалог характеризуется следующими факторами: коммуникаторы имеют свои права и защищают их, коммуникаторы имеют свои обязанности и выполняют их, коммуникаторы имеют навыки диалога и демонстрируют их. Эффективность диалога определяется различными факторами. Одним из них является разнообразие существующих в нём вопросов.

Существуют разные типы вопросов: 1. вопрос, который ориентирован на запоминание (получение информации); 2. вопрос, ориентированный на понимание (перевод информации в разных формах); 3. вопрос, цель которого решение проблем; 4. вопрос, который ориентирован на анализ (определение составных частей целого); 5. вопрос, цель которого синтез (объединение составных частей целого); 6. вопрос, который ориентирован на оценку.

## Ключевые слова:

коммуникация, эффективный диалог, права и обязанности, ценности, активное обучение, вопросы.

## რთულ სისტემათა კონსტრუირების პრობლემა

მაია ჩხეიძე

საქართველოს უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ხელოდა  
კოსტავას ქ. №77ა, 0171, თბილისი,  
საქართველო  
ტელ: 599 906 860

რუსული ქუთათელაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ბიზნეს-ტექნიკური ფაკულტეტი  
კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,  
საქართველო  
ტელ: 599 102 112

### რეზიუმე

სამყაროს მთლიანობა ვლინდება მეცნიერული ცოდნის ინტეგრაციაში, მის ინტერდისციპლინარულ კავშირებში. მეცნიერების გლობალიზაციამ გამოიწვია ახალი ინტეგრაციური მიღებობის ჩამოყალიბების აუცილებელობა. აღნიშნული მიღებობა მიზნად ისახავს სხვადასხვა სფეროს ცოდნის მეცნიერულ პარადიგმათა სინთეზს.

ინტეგრაციური მიღებობის მოდელი ეფუძნება ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროსათვის რელევანტურ იერარქიათა და სისტემათა ანალიტიკურ-სინთეზურ დამუშავებას. ინტეგრაციური მიღებობის უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს წარმოადგენს აბსტრაქციათა დონეები და ელემენტთა შროის არსებულ მიმართებათა ტიპები.

თანამედროვე მეცნიერული აზროვნება ხასიათება პოლიპარადიგმულობით – მეთოდოლოგიურ და კონცეპტუალურ მიმართულებათა უმრავლესობის ჩამოყალიბება განპირობებულია კვლევის ობიექტთა კომპლექსურობით.

### საკვანძო სიტყვები:

რთული სისტემა, პარადიგმათა სინთეზი, სემანტიკური დეკომპოზიცია, კონცეპტუალური ანალიზი.

### შესავალი

ადამიანს ახასიათებს სწრაფვა, შეიქმნას საკუთარი თავისათვის სამყაროს მარტივი და ცხადი ხატი ადეკვატური მეთოდის გამოყენებით. ამ სწრაფვაში იგულისხმება ადამიანის მდგელობა, შექმნას „ხატი“ და სწორედ მასში ჰქოვოს მყუდროება და თავდაჯერებულობა.

სამყაროს რაციონალიზაციის გარეშე შეუძლებელია მასში გააზრებული ქმედება. სამყაროს სტრუქტურირება ქმნის იმ პროზმას, რომელშიც ადამიანი ხედავს სამყაროსა და საკუთარ თავს. რეალურ სამყაროში არსებულ საგანთა და მოვლენათა სახელდების, სამყაროში მათი აღილის განსაზღვრის მეშვეობით, ადამიანი „ერგება“ რეალურ სამყაროს. ასე იქმნება სამყაროს ხატი - კონკრეტული ეთნოსის წარმომადგენელთა შეხედულება საკუთარ ყოფიერებაზე.

### ძირითადი ნაწილი

სამყაროში ადამიანის არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ადამიანის მიერ:

- სამყაროს რაციონალიზაცია - სამყაროში არსებულ საფრთხეეთა გააზრება;
- მათი გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება, საფრთხეეთა დაძლევის მექანიზმების ჩამოყალიბება;
- ადამიანებთან ურითიერთობის პრინციპების შემუშავება.

ადამიანთა მიერ დაგროვილი გამოცდილება და ცოდნა ფიქსირდება ენობრივ მნიშვნელობათა სისტემაში. აღნიშნული სისტემის ათვისების პროცესში ადამიანი ითვისებს ენაში განზოგადებულ ადამიანურ გამოცდილებას. იგი არ იგონებს სიტყვათა

მნიშვნელობას - იგი ითვისებს „უპე მზა, დროსა და სივრცეში დადგენილ მნიშვნელობათა სისტემას, მშობლიურ ენაში მოცემულ საკლასიფიკაციო სისტემას. სწორედ აღნიშნული ფაქტის გამო ძალუში ენას ადამიანის შემცნებისა და მოღვაწეობის პროცესზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა.

ენის ფილოსოფიაში „სამყაროს ხატი“ მრავალსახეობრივი და პოლიგარიანტულია. იგი ავლენს მრავალრიცხოვან კერძო თვისებებს თითოეული ავტორის კონცეფციის ფარგლებში, რაც გულისხმობს, რომ „სამყაროს ხატის“ ფენომენის ანალიზისას ავტორები არ ეყრდნობიან საყოველთაოდ აღიარებულ განმარტებებს [1: 247-270], [2:17-25]. ტერმინოლოგიურ დიფუზურობას ემატება ის ფაქტიც, რომ სამყაროს ხატი ჯერ კიდევ არ ქცეულა აქსიომატურ ფენომენად. ჩნდება კითხვები:

- როგორ უნდა განხორციელდეს როტულ სისტემათა სეგმენტაცია იმისათვის, რომ მივიღოთ აღეკვატურად მოდელირებული სამყაროს ხატი?
- რა მარკერები უზრუნველყოფს როტულ სისტემათა კოპერენტულობას?

აშკარაა, რომ კვლევის მეთოდოლოგია უნდა ეფუძნებოდეს ინტერარადიგმულობის პრინციპს, რაც გულისხმობს როტულ სისტემათა სეგმენტაციას როგორც იმანენტურ, ისე არაიმანენტურ მიდგომათა ფარგლებში შემუშავებული მეთოდების სინთეზირებით. იმანენტური მიდგომის ფარგლებში უნდა იქნეს გამოყენებული ელემენტთა სემანტიკური სტრუქტურის დეკომპოზიციის მეთოდი, ხოლო არაიმანენტური მიდგომის ფარგლებში კი უნდა განხორციელდეს ელემენტთა რანჟირებაზე დაფუძნებული ანალიზი.

იკვეთება ერთი ცენტრალური პრობლემა, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ იმ ინტეგრალის სახით, რომელიც მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული განსაზღვრულობის მქონე დიფერენციალებს. ასევე

იძველება „აუცილებლობად“ დეკლარირებულის განხორციელებისათვის რელევანტური მეთოდოლოგიის არარსებობის ფაქტი.

დიახ, დეკლარირებულია რამდენიმე „აუცილებლობა“, კერძოდ:

- მენტალურ და ენის სტრუქტურათა შორის არსებული მიმართების გამოვლენის აუცილებლობა;

• ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურებისა და ენის სტრუქტურის „დამაკავშირებელი“ რგოლის გამოვლენის აუცილებლობა;

- ინტერპარადიგმულობის პრინციპის გამოყენების აუცილებლობა.

ჩვენ ვაღიარებთ აღნიშნულ „აუცილებლობათა“ აუცილებლობას, რადგან მიგვაჩნია, რომ მათი პრაქტიკული რეალიზაცია წარმოადგენს თანამედროვე მეცნიერული აზროვნების ინტერპარადიგმულობის უზრუნველყოფის გზას [3: 285-294].

ინტერპარადიგმულობის უზრუნველყოფაში კი ვგულისხმობთ:

- როტულ სისტემათა სეგმენტაციას როგორც იმანენტურ, ისე არაიმანენტურ მიდგომათა ფარგლებში შემუშავებული მეთოდების სინთეზირებით;

• როტულ სისტემათა ინტერეტაციას როგორც სისტემურ-სტრუქტურული, ისე ლინგვისტიკური პარადიგმების პერსპექტივებიდან.

აუცილებელია კონკრეტულისაგან დისტანცირება, რათა კვლევის შედეგები ჩამოყალიბდეს განზოგადებულისა და კანონზომიერის სახით. ლინგვოკოგნიტურ კვლევათა განხორციელებადობა, პრაქტიკული და თეორიული მიზანშეწონილობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვაცნობიერებთ მსგავსთა სხვაობისა და განსხვავებულთა მსგავსების არსეს. მსგავსთა სხვაობასა და განსხვავებულთა მსგავსებაში კი ვგულისხმობთ:

- სისტემურ-სტრუქტურულ და კოგნიტურ პარადიგმათა ფარგლებში განვირობების მქონე დიფერენციალებს. ასევე

ბულ სტრუქტურათა მსგავსება/განსახვავებულობის ფაქტს;

- სემანტიკური და კონცეპტუალური ანალიზის მეთოდთა ფუნქციურ მსგავსება/განსახვავებულობის ფაქტს.

როგორ სისტემათა სხვადასხვა პარადიგმების პერსპექტივებიდან კვლევა უზრუნველყოფს მრავალგანზომილებიან ფენომენთა აღმართებულ ინტერპრეტაციას. იმანენეტურ და არაიმანენტურ მიდგომათა ფარგლებში გენერირებულ მეთოდთა სინთეზირება იძლევა როგორ სისტემათა იერარქიის სიღრმოსეული ანალიზის შესაძლებლობას.

დეკომპოზიციის იდეაზე დაფუძნებული ანალიზის ფარგლებში სისტემის თითოეული მოდული წარმოადგენს საერთო კონსტრუქტის უმნიშვნელოვანეს ელემენტს, ხოლო რანჟირებაზე დაფუძნებული ანალიზი მიზნად ისახავს აბსტრაქციის მოწევიგებულ სისტემებად იერარქიზირებას.

## ლიტერატურა

1. Kearney M. (1975): World View Theory and Study." Annual Review of Anthropology
2. Duranti A. (2013): Linguistic anthropology. Cambridge University
3. Percival K. (1976): The Applicability of Kuhn's Paradigms to the History of Linguistics. Language

## The Problem of Constructing Complex Systems

*Maia Chkheidze*

*The University of Georgia*

*School of Humanities*

*77a Kostava st., 0171, Tbilisi, Georgia*

*Tel: 599 906 860*

*E-mail: maia\_chkheidze@yahoo.com*

*Rusudan Kutateladze*

*Georgian Technical University*

*Business-Technological Faculty*

*77, Kostava st., 0175, Tbilisi, Georgia*

*Tel: 599 102 112*

*E-mail: r.kutateladze@gtu.ge*

### Abstract

The unity of the world is revealed in the integration of scientific knowledge and its interdisciplinary relations. Globalization of science caused creation of the new integral approach aiming at synthesizing scientific paradigms from different fields of knowledge.

The model of integral approach is based on analytical-synthetic analysis of hierarchies and systems relevant to different spheres of human activity. The essential components of the integral approach are levels of abstractions and types of relations between elements.

Modern scientific thought is characterized by poliparadigmatism. Creation of numerous methodological and conceptual directions has been caused by complexity of the objects under analysis.

### Keywords:

Complex system, synthesis of scientific paradigms, semantic decomposition, conceptual analysis.

# **Проблема конструирования сложных систем**

*Чхеидзе Майя Михайловна*  
*Университет Грузии*  
*Школа Гуманитарных Наук*  
*Ул. Костава 77а, 0171, Тбилиси, Грузия*  
*Tel: 599 906 860*  
*E-mail: maia\_chkheidze@yahoo.com*

*Кутателадзе Руслан Гурамовна*  
*Грузинский Технический Университет*  
*Факультет Бизнес-технологий*  
*Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия*  
*Tel: 599 102 112*  
*E-mail: r.kutatladze@gtu.ge*

## **Резюме**

Единство мира проявляется в процессе интеграции научного знания, в его междисциплинарных связях. Глобализация науки с неизбежностью привела к формированию нового инте-

грального подхода, целью которого является синтез научных парадигм различных областей знания.

Модель интегрального подхода построена на основе аналитико-синтетической обработки иерархий и систем из различных сфер деятельности человека. Важнейшими компонентами интегрального подхода являются уровни абстракций и типы отношений между элементами конструкта.

Современное научное мышление характеризуется полипарадигмальностью - множество его методологических и концептуальных направлений вызваны комплексностью объектов исследования.

## **Ключевые слова:**

Сложная система, синтез научных парадигм, семантическая декомпозиция, концептуальный анализ.

# კომპიუტერული ტერმინოლოგიის ფორმირების ძირითადი ხერხები

თამარ ღარიბაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,  
საქართველო  
ტელ. 577 406 773  
E-mail: tamar.garibashvili@auf.org

## რეზიუმე

ახალი ტექნოლოგიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადამიანის ცხოვრებასა და საქმიანობაში. ახალმა ტექნოლოგიებმა საკმაოდ მყარად მოიკიდა ფეხი ყოველდღიურ ცხოვრებაში. მსოფლიოში, ალბათ, იშვიათია ისეთი ადამიანი, რომელსაც არ აქვს კომპიუტერი, მობილური ტელეფონი, პლანშეტი და ა. შ. წინამდებარე სტატია ეძღვნება კომპიუტერული ტერმინოლოგიის ფორმირების ხერხების ანალიზს და კვლევას. რამდენადაც კომპიუტერული ტერმინოლოგია კომპიუტერულ დისკურსში გვხდება, ამდენად, კომპიუტერული ტერმინოლოგიის ცოდნის გარეშე, ძნელია კომპიუტერული დისკურსის გაგება.

## საკვანძო სიტყვები:

კომპიუტერული ტერმინოლოგია, კალკი, აბრევიაცია, სესხება, დერივაცია.

## შესავალი

ტერმინოლოგიური სისტემების შევსების წყაროს საკითხის კვლევას ლინგვისტები მისი განვითარების ყველა ეტაპზე ახორციელებდნენ. ტერმინები შეიძლება გამოხატული იყოს მშობლიური ენის სიტყვებით, უცხოური ენის ან საერთაშორისო სიტყვებით და შეიძლება ხელოვნურადაც იყოს შექმნილი ლექსიკური ერთეულებით. ეს კომპიუტერულ ტერმინებსაც ეხება. ხშირად

ტერმინოლოგიური სიტყვათწარმოება ზოგადად საერთო ლექსიკის სიტყვებისათვის დამახასიათებელ სიტყვათწარმოებას იმეორებს. ტერმინოლოგიაში პროდუქტიული და აქტიურია იგივე ხერხები, რაც საერთო ლექსიკაში: სემანტიკური, სინტაქსური, მორფოლოგიური [დანილენკო. 1977:89]. ჩვენი კალევის საგანია კომპიუტერული ტერმინოლოგიის ფორმირების პროცესი, სადაც კომპიუტერული ტერმინოლოგიის ფორმირების შემდეგი ხერხები გამოიყოფა: 1. სესხება; 2. კალკირება; 3. აბრევიაცია; 4. დერივაცია.

ტერმინოლოგიური სისტემების ფორმირებისას ადამიანის საქმიანობის მიზანმიმართული ასახვა ხდება. კვინოგრადოვი, ტერმინის მნიშვნელოვან ფუნქციაში დეფინიციურ ფუნქციას გამოყოფს, რომელიც იმას გულისხმობს, რომ ტერმინი, სიტყვისაგან განსხვავებით ცნებას არ ასახელებს, არამედ ებმის მას. ტერმინის მნიშვნელობა, მისი ცნების განსაზღვრა, დეფინიციაა, რომელსაც მას მიაწერენ. თუ უცნობია განსაზღვრება, ტერმინიც უცნობია. ეს განსხვავება ზოგადლიტერატურულ სიტყვებსა და ტერმინებს შორის პრინციპებია. ზოგადი ლექსიკის სიტყვებს გააჩნიათ სინონიმები, ანტონიმები, რაც ტერმინებისათვის უცხოა. არ არსებობს მნიშვნელობით ახლო მყოფი ტერმინები, არსებობს ტერმინოლოგიური დუბლებები. ამგვარად, ტერმინოლოგიური სისტემებისათვის ტერმინების შექმნის და შერჩევის ერთ – ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს ცნებასთან მათი შესაბამისობა, დეფინიცია წარმოადგენს [გინოგრადოვი. 1982: 47].

ერთდროულად, ტერმინის ეს თვისება ტერმინოლოგიური ნომინაციის დიდ რაოდენობას იძლევა, ვინაიდან ენობრივი ერთეულების არჩევანი არ არის განმსაზღვრელი. იმ შემთხვევაში, თუ ამა თუ იმ ცნების სა-

ხელწოდება ენაში არ არის, სპეციალისტი თავად ქმნის მას. შემდგომში ის შეიძლება ტერმინი გახდეს. ამისათვის, ტერმინა შერჩევის და დამტკიცების პროცედურა უნდა გაიაროს.

## ძირითადი ნაწილი

როგორც ცნობილია, სიტყვათა მნიშვნელობები ცვლილებას განიცდის: მნიშვნელობის გაფართოება, შევიწროვება, გადატანითი (მეტაფორა და მეტონიმია) მნიშვნელობით გამოყენება, დესემანტიზაცია. ტერმინოლოგიზაციის პროცესის შედეგად ნებისმიერი სიტყვა, შეიძლება გახდეს ტერმინი. ასევე შესაძლებელია ერთი სფეროს ტერმინის გადააზრება და სხვა სფეროს ტერმინოლოგიურ სისტემაში გადასვლა. მაგალითად: accusé de réception (ქვითარი) – ინტერნეტით ინფორმაციის მიღების დასტური; aiguillage – (ისრების გადაყვანა) – პროგრამების განსხვავებულ სექციებში მუშაობის მონაცვლეობით გადასვლის რეჟიმი და სხვა.

კომპიუტერული ტერმინოლოგიური სისტემის დამახასიათებელ თავისებურებას ორი მნიშვნელოვანი სფეროდან დიდი რაოდენობით სხესხება წარმოადგენს. ესენია: ლინგვისტიკა და მედიცინა. შეინიშნება ლინგვისტიკასთან მისი ერთვარი მსგავსება. კომპიუტერის მუშაობა პროგრამირების ენებს ეფუძნება. მედიცინასთან მისი მსგავსება იმიტომ არსებობს, რომ „ხელოვნური ინტელექტი“ ადამიანის ინტელექტის ანალოგით შეიქმნა და მას ადამიანისათვის დამახასიათებელი მრავალი „პრობლემა“ გააჩნია. მაგალითად, ენათმეცნიერებიდან, კომპიუტერულ ტერმინოლოგიურ სისტემაში შევიდა შემდეგი ტერმინები: alphabet (ანბანი) – პროგრამირების ენის საბაზისო ელემენტის ერთობლიობა; analyse lexicale (ლექსიკური ანალიზი) – მანქანის ენაზე პროგრამის ენის გადაყვანის პირველი ფაზა; caractère (ასო) – ენობრივი ნიშანი და სხვა. ეს

ტერმინები ლინგვისტიკიდანაა ნასესხები. უნდა აღინიშნოს ასევე ის ტერმინები, რომლებიც მედიცინიდან მოხვდა კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში. მაგალითად: diagnostic (დიაგნოსტიკა) – შეტყობინება, რომელიც პროგრამის რეალიზაციას ახლავს და რომელიც შეიცავს ინფორმაციას პროგრამის სათანადო ფუნქციონირების შესახებ, ან კიდევ შესაძლო შეცდომების შესახებ; distortion (დაჭიმვა) – სიგნალის დეფორმაცია არხში გავლის დროს; réseau de neurones (ნეირონების სისტემა) – სისტემა, რომელიც ელემენტარული უჯრედებისაგან შედგება და ა.შ.

კომპიუტერულ სისტემაში გვხვდება ადამიანური საქმიანობისათვის დამახასიათებელი სიტყვების გადააზრების შემთხვევებიც. მაგალითად: arbre – ინფორმაციის განსხვავებული ელემენტების იერარქიული სტრუქტურა; drapeau – ნიშანი ეკრაზე და სხვა. კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში გვხვდება სემანტიკური ველის იგივე სიტყვები: arbre (ხე) – ინფორმაციის განსხვავებული ელემენტების იერარქიული სტრუქტურა; feuille (ფოთოლი) – ინფორმაციის იერარქიული სტრუქტურის საბოლოო ელემენტი; racine (ფეხვი) – სეგმენტირებული პროგრამის ძირითადი ნაწილი და ა.შ.

ვ. გაკის აზრით, ბევრ ფრანგულ ტერმინს საფუძვლად მეტაფორული გადააზრება უდევს, ამასთან ერთად ნომინაციის პროცესში გარეგნული ნიშნები გამოიყენება, რომლებიც ნაკლებადაა დაკავშირებული მის დანიშნულებასთან. კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში მეტაფორიზაცია ნომინაციის ყველაზე პროდუქტიულ საშუალებას წარმოადგენს. მაგალითად: chien de garde – დამცავი პროგრამა, devoreur de nombres—ზემდლავრი კომპიუტერი; grappe – ერთგვაროვანი დანაღვარების ერთობლიობა (კომპიუტერების, ტერმინალების), რომლებიც მართვის ერთ პულტონაა მიერთებული; ping – pong – ინფორმაციის გადაცემა

ერთი ტერმინალიდან მეორეზე და ა.შ.

ფრანგულ ენაში კომპიუტერული ტერმინების უამრავი სინონიმური რიგი არსებობს, რომელიც მეტაფორული გადააზრების შედეგად იქნა მიღებული: la messagerie ; un moniteur, un moteur de recherche, un navigateur, un ordinateur portable, une page d'accueil, une page web, un pare-feu, une pièce jointe, un pirate, un portail, un répertoire, un scanneur, un tableur, un attachement, une barrière de sécurité, და სხვა. ტერმინოლოგიური მეტაფორიზაცია ტერმინოლოგიური ნომინაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ხერხს წარმოადგენს, რომელიც განსაზღვრულ პროფესიულ სფეროსთან დაკავშირებული ცნებების, საგნების და პროცესების კატეგორიზაციაში მონაწილეობს.

სამეცნიერო – ტექნიკური პროგრესის ინტერნაციონალიზაციის შედეგად, ტერმინების სესხება ტერმინების წარმოქმნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ვინაიდან, კომპიუტერი ამჟრიკული „ქმნილებაა“, ინგლისური ენა კი ლექსიკური ენა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი ახალი ცნებისათვის, ახალი სიტყვა იქმნება, შესაბამისად, კომპიუტერული ტერმინებიც ინგლისურ ენაზე შექმნილი.

უნგრელი მკვლევარი ტიბორ ორში\*, ნასესხები სიტყვების ანალიზის შედეგად, აღნიშნავს, რომ ფრანგულ ენაში ტერმინებისათვის სხვადასხვა ლინგვისტური ხერხები გამოიყენება, რათა მათი ფრანგული ენისათვის მორგება მოხდეს. კერძოდ:

1. ინგლისური ენიდან ლექსიკური ერთეულების ადაპტაცია, ფრანგული ენის ორთოგრაფიული, ფრანგიკური, მორფოლოგიური წესების მიხედვით;

2. ინგლისური წარმოშობის ტერმინების ჩანაცვლება ფრანგული ტერმინებით;

3. ინგლისურიდან მეორადი ნასესხობების ფრანგული ტერმინებით შეცვლა;

4. სინონიმების შერჩევა და დამტკიცება. ტერმინოლოგიური დუბლებების შექმნა;

\* [http://cief.elte.hu/sites/default/files/orsz\\_1.pdf](http://cief.elte.hu/sites/default/files/orsz_1.pdf)

5. ფონეტიკურად მოტივირებული ტერმინების შექმნა.

პირველი ჯგუფის მაგალითებად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი კომპიუტერული ტერმინები: compatible/compatible, to compile/complier, to connect/connecter à, error/erreur, external/extern და ა.შ.

ინგლისური ტერმინების უმრავლესობას ლათინური ან ძველბერძნული წარმოშობა აქვს, მაგალითად, computer da hardware ჯერ კიდევ XVI საუკუნეში გვხვდება. ის აღნიშნავდა იმ ადამიანს, რომელიც ითვლიდა. ის ასევე იმ ხელსაწყოებს აღნიშნავდა, რომლებსაც ადამიანი თავისი საქმისათვის იყენებდა. მათი ჩანაცვლება ფრანგულში სპეციალურად შემუშავებული ლექსიკური ერთეულებით ხდება, როგორებიცაა l'ordinateur და le matériel. 1965 წელს ფრანგული ტერმინი იქმნება სიტყვის software – ის შესაცვლელად: ტერმინის le matériel ანალოგით სიტყვისაგან logique, შეიქმნა ტერმინი logiciel – პროგრამული უზრუნველყოფა, პროგრამა.

სშირია მეორადი სესხების ფორმები, რაც იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელია ტერმინი ისესხოს ფრანგულიდან ინგლისურმა ენამ, შემდეგ კი ეს სიტყვა, სახეცვლილი ფორმით ისევ ფრანგულში დაბრუნდეს. ამ მხრივ, საინტერესოა ტერმინი file, რომელიც ფრანგულიდანაა წარმოქმნილი. ოდესლაც, ეს ტერმინი მეტალის ან ხის შრომის იარაღს აღნიშნავდა, რომლის დანიშნულება მასალის თანაბარი ნაწილების ჩამოჭრა იყო. მოგვიანებით აღნიშნავდა შესაბამისი მექანიზმის კბილანას. სწორედ, ამ სახით ფრანგული ტერმინი file, XVI საუკუნის ინგლისურ ენაში ჩნდება. ეს ტერმინი ინფორმატიკაში 1954 წელს, უკვე გადატანითი მნიშვნელობით გახვდება: ზემოხსენებული მაგალითები ბევრი ტერმინის შექმნის ხელოვნურ ბუნებაზე და ადამიანთა მიზანმიმართული ზეგავლენით ტერმინოლოგიური სისტემის ფორმირებაზე მიუთითებს.

ადსანიშნავია, რომ ფრანგულ ენაში მოხ-

და ზოგიერთი ნასესხობის კარგად ინტეგრირება. მაგალითად: Internet (1973) ჰიბრიდული წარმონაქმნია. Inter «entre, parmi» – შეაში, შორის, ლათინური წინდებულია, რომელიც ინგლისური წარმოშობის network «réseau» – ქსელი, შემოკლებულ net სიტყვას ემატება. სიტყვა ინტერნეტი ფრანგულში გავრცელდა 1995 წელს. სულ მაღლე ფრანგულში გავრცელდა სიტყვა internaute, რომელიც ინტერნეტის მომხმარებელს აღნიშნავს. კლემენტი – naute ბერძნული სიტყვიდანაა nautê «navigateur» – ნავიგატორი, რომელიც თავს იჩენს ათეულობით შედგენილ სიტყვაში, რომელთაგან ყველაზე ძველია aéronaute და ნიშნავს აერონავტს. ეს ტერმინი 1794 წელს გამოიყენეს ძმები მონგოლფიერების მიმართ. ყველაზე ახალი წარმონაქმნია entreprenaute (1999), სინთეზური სიტყვაა და ნაწარმოებია entrepren(eur) და (inter)naute-ის დახმარებით და აღნიშნავს „საწარმოს ინტერნეტში შემნახს“.

ინგლისური ტერმინი e-mail, ანგლიციზმია, რომლის გაფრანგულება განხილვას მოითხოვს. ინგლისური სიტყვა mail ნასესხებია ძველი ფრანგულიდან malesacoche, malle – ჩანთა, ჩემოდანი, მომდინარეობს ფრანგისულიდან malha. ინგლისურში სიტყვა mail – courrier 1654 წლიდან გვხდება, e-mail – კი 1982 წლიდან. საუბარია შემოკლებაზე ელეცტრონიცმაილ ელექტრონული მეილი, ანუ წერილი. გამონათქვამი ფრანგულში როგორც ანგლიციზმი 1994 წელს ჩნდება. მისგან ნაწარმოები კალკია courrier électronique. მისი შეკუმშვით მივიღეთ courriel, რომელიც თავიდან ჯერ კანადასა და ბელგიაში გამოიყენებოდა. წერისას რეკომენდაციას უწევენ გამოთქმას une adresse électronique. თუკი დღეს უპირატესობა ენიჭება სიტყვას mél-ს, ეს იმიტომ, რომ აღბათ ის უდერადობით ინგლისურ ორიგინალს ჰგავს, რამაც საშუალება მოგვცა ფრანგული ინტერპრეტაცია გაგვეკეთებინა.

სესხების ერთ – ერთი ხერხია კალკირება ანუ ლექსიკური ერთეულების ფორმირე-

ბა უცხოური ენის შესაბამისი სიტყვების ნიმუშის მიხედვით, მათი ზუსტი თარგმნით ან სიტყვათა ცალკეული მნიშვნელობების სესხებით. ლექსიკური კალკები უცხოური სიტყვის შესაბამის ენაზე სიტყვასიტყვით თარგმნის შედეგად იქმნება, იქნება ეს თავსართი, ფუძე, თუ ბოლოსართი, ამ სიტყვის ფორმირების და მნიშვნელობის ზუსტი გამეორებით. ანსხვავებენ კალკირების ორ ტიპს: მორფემულს და ლექსიკურს. მაგალითად, კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში მორფემული კალკირების ფორმები მრავლადაა წარმოდგენილი: ინგლისურ ენაში magnetic bubble, ფრანგულ ენაში bulle magnétique, ინგლისურში scrambling, ფრანგულში brouillage, ინგლისურში mirror disks, ფრანგულში disques miroirs და სხვა. ლექსიკური ანუ სემანტიკური კალკირების დროს, ენაში არსებული ძირითადი სიტყვები ახალ მნიშვნელობას მეორე ენის ზეგავლენით იღებენ. მაგალითად: ფრანგულ ენაში, ინგლისური ენის გავლენით სიტყვამ mémoire (ინგლ. memory) – მნიშვნელობა გაიფართოვა და დანადგარის მნიშვნელობა შეიძინა, რომელიც საშუალებას გვაძლევს კომპიუტერში შევინახოთ და ვიპოვოთ; criture (ინგლ. writing) – კომპიუტერის მეხსიერებაში ინფორმაციის ჩაწერას ნიშნავს.

ცალკე აღნიშვნის დირსია ფრაზეოლოგიური კალკები. ასეთი ტიპის კალკები მრავლადაა კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში. მაგალითად: le bras d' accès (ingl. access arm), chargement – lancement (ingl. load and go), pipeline (ინგლ. pipe – line) და სხვა. ინგლისური ენიდან კალკირებულია ის სიტყვები, რომელებთანაც ყოველდღიურ საქმიანობაში გვაქვს შეხება: mouse – souris, printer – imprimante, key board – clavier, server – serveur, router – routeur, to merge – merger, spyware – logiciel espion და სხვა. კალკირება კომპიტერული ტერმინოლოგიური სისტემის შევსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხერხს წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ლინგვისტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას აბრევიატურას ანიჭებენ. ყველა აბრევიატურას ენაში ერთგვარი „პროტოპიპი“ გააჩნია, როგორიც ერთგული, რომელიც შეკვეცას ექვემდებარება. გერმანელი მეცნიერი ფლაიშერი „არარედუცირებული ერთეულის სეგმენტირებას“ „ეპრდნობა, გამოყოფს ერთსეგმენტიან და მრავალსეგმენტიან შეკვეცილ სიტყვებს. ერთსეგმენტიანი შეკვეცილი სიტყვები ერთი გადაბმული ან ორი რთული სეგმენტის არარედუცირებული ერთეულისაგან შედგება. ეს სეგმენტი შეიძლება თავში ან ბოლოში იყოს განთავსებული. „მრავლსეგმენტიანი შეკვეცილი სიტყვები“ ანუ უბრალოდ აბრევიატურები, იმის მიხედვით იქმნება, თუ რისგან შედგება ისინი, ერთი ელემენტისგან თუ რამდენიმე სეგმენტისაგან. მიღებულია მათი დაყოფა საწყისს შეკვეცილ ფორმებად ანუ „საწყისი ასოებით“ წარმოდგენილ აბრევიატურებად. არსებობს ასევე „რთული შეკვეცილი სიტყვები“. ასეთი დაყოფა საკმაოდ უნივერსალურია და ყველას მიერაა მოწონებული [სტეპანოვა, ფლაიშერი. 1984:134]. პირველ ჯგუფს აბრევიატურები ეწოდება, ხოლო მეორეს – მარცვლოვანი სიტყვები. მაგალითად: un CD – un cédez, თუმცა სიტყვათწარმოების ამ ხერხმა კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში ფართო გავრცელება ვერ ჰქონდა.

სიტყვათა შეკვეცის არანაკლებ მნიშვნელოვანი ტიპია აკრონიმები. მათი რიცხვი უამრავია ინფორმატიკის ტერმინოლოგიურ სფეროში. უნდა აღინიშნოს, რომ თავად აკრონიმი პირველად ამჟრიკულ სამეცნიერო – ტექნიკურ ლიტერატურაში XX საუკუნის 40 – იან წლებში გაჩნდა, „შეკვეცის“ მნიშვნელობით, რომელიც ჩვეულებრივ სიტყვას ჰგავდა. კომპიუტერული ტერმინოლოგიის სისტემაში აკრონიმებს მნიშვნელოვანი აღილი უჭირავს. შემოკლებების დიდი უმეტესობა სხვადასხვა ორგანიზაციების, სისტემების და პროგრამირების ენის დასახ-

ელებას აღნიშნავს. ასე მაგალითად: ROM – Read Only Memory, Algol – ALGOrithmic Language, APL – A Programming Language, RAM – Random Access Memory, AE – Analyste d'exploitation, და ა.შ. სია საკმაოდ გრძელია. ზოგიერთი აკრონიმი ჟღერადობით საკუთარ სახელს ჰგავს, მაგალითად: Diane – ინგლისური აკრონიმია – Direct Information Access Network in Europe – ევროპის on – lain საინფორმაციო სისტემა, რომლითაც შეიძლება ეკონომიკურ, სოციალურ, სამეცნიერო და ტექნიკურ საკითხებზე არსებული ბაზის წვდომა; Marion – ფრანგული აკრონიმია – Méthode d'Analyse des Risques Informatiques et Optimisation par Niveau – საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოების ანალიზის მეთოდი და ა.შ.

ფრანგულ ენაში კომპიუტერული ტერმინლოგიური სისტემების მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ ინგლისურიდან ნასესხებ შემოკლებათა დიდი რაოდენობა, უცვლელი ფორმითაა შესული ენაში. ცნობილია, რომ საფრანგეთში დიდი სამუშაო ტარდება ნასესხები ტერმინლოგიის ფრანგულ ენასთან ადაპტაციის თვალსაზრისით, თუმცა ამის განხორციელება სხვა სფეროებთან შედარებით, ინფორმატიკის სფეროში ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს.

ბევრი ლინგვისტი ამ მოვლენას იმით ხსნის, რომ ფრანგულ ენაზე თარგმნილი ინგლისური შესიტყვება ძალიან გრძელია და მისი შემოკლება არ იქნება ისეთივე ლაკონური, როგორც ეს ინგლისურ ენაშია. თუ შევადარებო ინგლისურ შესიტყვებებს და მათ აბრევიატურებს ფრანგულ ენაში, აშკარაა, რომ უფრო მოსახერხებელია ინგლისური შემოკლების შეტანა ტერმინოლოგიურ სისტემაში. მაგალითად: BBS (sigle de l'angl. Bulletin Board System) – service destiné à mettre en relation des utilisateurs d'Internet pour partager des données; BIOS (sigle de l'angl. Basic Input/Out – put System) – ensemble d'instructions

de bas niveau fournissant, dans un PC, une interface entre le système d'exploitation et le matériel.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისური აბრევიატურების ფრანგულ ენაში შეყვანის ტერმინია ტერმინია მაშინაც რჩება, როდესაც ფრანგული აბრევიატურის შექმნას არანაირი სირთულე არ ახლავს. მაგალითად: NDRO (sigle de l'angl. Non Destructive Read Only) – lecture non destructive d'une mémoire; PROM (sigle de l'angl. Programmable Read Only Memory) – mémoire morte programmable; CD – I (sigle de l'angl. Compact Disc – Interactive) – disque compact interactif; CIM (sigle de l'angl. Computer Integrated Manufacturing) – production manufacturière intégrée par ordinateur და სხვა. შესაძლებელი გახდა არც თუ ისე დიდი რაოდენობა ფრანგული აბრევიატურების გამოვლენა, რომლებიც ფრანგული სიტყვაწყობითაა ნაწარმოები. მაგალითად: CAO – Conception Assistée par Ordinateur; CFAO – Conception et Fabrication Assistées par Ordinateur; EAO – Enseignement Assisted par Ordinateur; GDT – Gestion des Données Techniques ; GED – Gestion Électronique de Documents და სხვა.

ამრიგად, აბრევიატურები, ძირითადად, ნასესხებია ინგლისური ენიდან; რაც კომპიუტერული ტერმინოლოგიური სისტემების შევსების უმდიდრესს წარმოს წარმოადგენს.

როგორც სხვადასხვა ტერმინოლოგიური სისტემის კვლევამ გვიჩვენა, მათი შევსება მოცემული ენისათვის დამახასიათებელი დერივაციული საშუალებების მეშვეობით, ტერმინოლოგიური შემოქმედების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. ხელოვნური სახელდების დროსაც ყველაზე გავრცელებული ხერხია პროდუქტიული სუფიქსების, პრეფიქსების, სიტყვაწყობის გამოყენება. ფრანგულ ენაში ფართოდ გამოიყენება თავად დურივაციული რესურსები. ვგაკი აღნიშნავს, რომ ფრანგული ენა დიდ მრავალფეროვნებას და მოქნილობას ავლენს სიტყვათწარმოებით საშუალებების თვალსაზრისით სამეცნიერო-ტექნიკურ ტერმინოლოგიაში.

ის მიუთითებს მთელი რიგი სუფიქსების, პრეფიქსების და სიტყვათწყობის პროდუქტიულობაზე, რომლებიც აქტუალური ხდება ენის განვითარების ყოველ ცალკეულ ეტაპზე [გაკი. 1977: 48]. მაგალითად, სუფიქსი – tique ფართოდ გამოიყენება ინფორმატიკის სფეროში ტერმინების წარმოსაქმნელად. ის აღნიშნავს საქმიანობის წესს ან საქმიანობის საშუალებას, მისი მეშვეობით შეიქმნა ხელოვგიზმების დიდი რაოდენობა. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ სუფიქსი – tique ფართოდ გამოიყენება სპეციალისტების მიერ ტერმინების ხელოვნურად წარმოქმნის მიზნით. მაგალითად: cybernétique – კიბერნეტიკა, მეცნიერება, რომელიც კონტროლის და მართვის მექანიზმებს უსასრულო სისტემებში შეისწავლის; domotique – ხელოვგიზმი, რომელიც საცხოვრებელი სახლების ინფორმაციული ტექნოლოგიებით აღჭურვას აღნიშნავს და სხვა. პროცესების აღსანიშნავად, ხშირად გამოიყენება სუფიქსი – age: couplage – დაწყვილება; compage – კომპარესია; encodage – კოდირება; chaînage – ინფორმაციის გაერთიანება ავტომატურ თანმიმდევრობაში; précablage – კაბელების წინასწარი გაყვანა და სხვა. არანაკლებ პროდუქტიულია ასევე სხვა სუფიქსები: – thèque: bandothèque – ჩანაწერების კრებული. programmathèque – სპეციალისტის განკარგულებაში არსებული პროგრამების ერთობლიობა; სუფიქსი – erie: messagerie – ინფორმაციის გაცვლის სისტემა; imagerie – კომპიუტერზე გამოსახულებით მუშაობის ხერხების ერთობლიობა; საკმაოდ პროდუქტიულია სუფიქსი – eur: ordinateur, numeriseur, encodeur და სხვა. პროდუქტიულია ასევე სიტყვათწყობა. მაგალითად: mécatronique (მეცნიერო-ელექტრონული) – ავტომატიზირებული მექანიკა; cyberespace – კიბერნეტიკული სივრცე; audiovideotex – აუდიოვიდეო ტექნიკა; progiciel (პროდუქტიული) – დაკომპლექტიული პროგრამული პროდუქტი და ა. შ. ამრიგად კომპიუტერულ ტერმინოლოგიურ

სისტემებში ნეოლიგიზმების წარმოქმნა საკმაოდ ეფექტურად ხორციელება ენის შიდა, ტრადიციული რესურსების მეშვეობით.

## დასკვნა

ჩვენ განვიხილეთ კომპიუტერული ტერმინლოგიური სისტემების შევსების ძირითადი წყაროები და ის ურთიერთქმედება, რაც არსებობს ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნის ხელოვნური და ბუნებრივი პროცესების თვალსაზრისით. საკვლევი მასალის ანალიზმა ცხადჰყო, რომ ახალი ტერმინების წარმოქნის ყველა ხერხი მეტად პროდუქტიულია კომპიუტერულ სფეროში და ამგვარად, განსახილველი ტერმინოლოგიური სისტემების ყველა ეს ხერხი მეტად მრავალფეროვანია. სესხება წარმოადგენს თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სფეროში ტერმინების წარმოქმნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს, რომელიც ინფორმატიკის სფეროში ძირითადად ინგლისურიდან ხდება. მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ განსაკუთრებულ როლს კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში აბრევიატურები ასრულებს. დიდი რაოდენობით გვხვდება შემოკლებები, რომლებიც ინგლისური ენიდანაა ნასესხები. ინგლისური აბრევიატურის გამოყენების ტენდენცია ფრანგულ ენაში მისი ადაპტაციის გარეშე მაშინაც კი არის შენარჩუნებული, როდესაც შესაბამისი ფრანგული აბრევიატურის შექმნა არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ასევე დერივაციული საშუალებების გამოყენება კომპიუტერული ტერმინოლოგიის შესავსებად, რაც ფრანგულ ენაში საკმაოდ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ტერმინოლოგიური შემოქმედების თვალსაზრისით. ინგლისური ენიდან ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებს უფრო წარმატებული გამოყენება აქვთ, ვიდრე იმ ტერმინებს, რომლებმაც ადაპტირება ფრან-

გულ ენაში განიცადეს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ტერმინი, მეტაფორის საფუძველზე, უპირატესობით სარგებლობს თავის სინონიმთან შედარებით, რომელიც სხვა ხერხითაა ნაწარმოები, შეიმჩნევა მოკლე ტერმინების გამოყენების მკვეთრი ტენდენცია. მასალის ანალიზმა გამოავლინა, რომ განსაკუთრებულ როლს ტერმინოლოგიური სისტემების ფორმირებაში თამაშობს ანალოგია, როგორც აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი ხერხი, არსებითი კომპონენტია ნებისმიერი თეორიული საქმიანობისათვის და მეტაფორა, როგორც ანალოგიის სახესხაობა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამეცნიერო ცოდნის განვითარების თვალსაზრისით. მეცნიერებაში, მეტაფორა მჭიდროდ არის დაკავშირებული მსოფლიოს შესახებ არსებულ სამეცნიერო სურათის ცნებასთან, რაც აისხება ადამიანის აზროვნების მოთხოვნილებით, რომელიც ოპერირებს აბსტრაქციითა და სახეებით და ებმარება მას აზროვნების სამეცნიერო პარადიგმის შექმნაში.

## ლიტერატურა

1. Виноградов В. В. (1982): Очерки по истории русского литературного языка XVII – XIX веков. М.: Высшая школа
2. Гак В. Г. (1998): Языковые преобразования. М.: Шк. «Язык русской культуры»
3. Даниленко В. П. (1977): Лексика языка науки. Терминология. Автореф. дис. ... док. филол. наук. М.
4. Суперанская А. В., Подольская Н. В., Васильева Н. В. (1989): Общая терминология: Вопросы теории. М.: Наука
5. Степанова М.Д., Фляйшер В. (1984): Теоретические основы словообразования в немецком языке, М.: Высшая школа, 1984.

6. Örsi T. Les structures étymologiques du vocabulaire de l'informatique, <http://cief.elte.hu/sites/default/files/orsi-1.pdf>

7. Dictionnaire de l'Informatique. Paris : Larousse, 1996.

8. Trésor de la Langue Française informatisé (TLFi), Paris, CRNS Éditions, 2004.

## The Main Methods of Forming the Computer Terminology

Tamar Garibashvili

Tbilisi State University

Humanitarian science faculty

36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia

Tel.: 577 406 773

E-mail: tamar.garibashvili@auf.org

### Основные способы формирования компьютерной терминологии

Гарибашвили Тамар Эдуардовна

Тбилисский государственный университет

Факультет гуманитарных наук

Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия

Тел.: 577 406 773

E-mail: tamar.garibashvili@auf.org

#### Резюме

Новые технологии играют важную роль в жизни и деятельности человека. Новые технологии укоренились в повседневной жизни. Редкость, встретить человека, не имеющего домашний компьютер, мобильный телефон, планшет и т.д. Данная статья посвящена анализу и исследованию методов формирования компьютерной терминологии. Так как с компьютерной терминологией мы сталкиваемся в компьютерном дискурсе, трудно понять компьютерный дискурс без предварительного знания формирования компьютерной терминологии.

#### Ключевые слова:

компьютерная терминология, кальк, аббревиатура, заимствование слов, деривация.

#### Abstract

New technologies play an important role in human life and activity. New technologies are rooted in everyday life. It is rare to meet a man who does not have a computer at home, mobile phone, or tablet, and so on. This article is devoted to the analysis and research of methods of formation of computer terminology. It is difficult to understand computer discourse without prior knowledge of the formation of computer terminology.

#### Keywords:

computer terminology, calque, abbreviation, borrowing, derivation.

ՅՐՈՒՅՆ

Prose

ПРОЗА

# ნაზო თხეილავა

## ლავრენტი

მოთხოვთ

(ვუძღვნი რ. ფ. -ს)

ჩასაბერი, კლავიშიანი, ხემიანი ინსტრუმენტების პანგებიდან დისონანსად ჩამესმოდა კონტრალტოს გამა-ვარჯიში რე-მინორში. მუსიკის პედაგოგმა ნოტები გადმომცა: პროკოფიევის მეორე სონატისა, -ოპერის 14 და ღრმა თვალები შემომანათა. დავპირდი, დღესვე დავაპრუნებ-მეთქი დედანს. მისამართიან ფურცელს დავხედე და ადრესატის სახელი მეუცნაურა. კიდევ მეცნობოდა სახელის ტონი და ვერც ვიხსენებდი, -ლავ-რენ-ტი!?

სმენადობაში მოდულაცია აღმიძრა სახელმა და რე-მინორიდან უმალ ფა-მაჟორში გადამისროლა. ხან მოწყენილად ვღილინებდი სენებულ სახელს და ხანაც მხიარულად: ლავ-რენ-ტი ... ლავ-რენ-ტი ... ორთავ ხასიათი: მინორიცა და მაჟორიც ჩემში უცხო განცდას აღმრავდა. ასე გაგრძელდა, ვიდრე თავდალმართზე ვეშვებოდი – ათარბეგოვიდან და ჩანთას მსუბუქად მივიქნევდი.

რუსთაველზე, ლადიძის წყლებთან, ერთხანს ჭადრების ხევანში ვიბორიალე. ერთ გამვლელს ფურცელი გავუწოდე, ქსეროკოპისტის მისამართით.

—ლავ-რენტს? — უუცნაურა.

—ლავ-რენტს! უუპასუხე. არადა, ნოტების ქსეროასლი ჩემთვის სწორედ მას, ლავ-რენ-ტს უნდა გადაედო.

და ... როგორც იქნა მიგადექი ქლეშა ქვით ნაგებ იმელ-ის შენობას: ავტორიტარულობას და ბიუროკრატულობას გამოსცემდა. ასეთი ფუნქციური შენობებისათვის, არც მათზე მიმზრალი ემბლემებისათვის უწინ არასოდეს მიმიქცევია ყურადღება.

ქუჩაში სადენებიდან მოწყვეტილი ტროლეიბუსი შევნიშნე. ხალხი ჩოჩქოლით გარს ეხვეოდა.

მძიმედ შეიღო ნაგებობის კარი. სპილოსტვლისფერ კიბეზე როგორც კი ფეხი შევდგი, დაცვის თანამშრომელი შემომეგბა. არაფერი უკითხავს. ზედაც არ შემიხედავს მისოთვის. ქლოშინით ავიარე კიბე და უდიმდამო დერეფანში თავი ამოვყავი. ფანჯრის რაფაზე შეუფერებლად შემოდებული კაქტუსი თვალში მომხვდა.

ხელმარჯვენა დია კარიდანვე დავხვი შეკითხვა: დავეძებ-მეთქი ქსეროკოპისტ ლავ-რენტს. მღელგარება მეტყობოდა და ეხამუშათ. ქალმა აუწია კედლის რადიოს. კაცმა გაკვირვებით გადახედა ქალს და ჩაის ხვრეპას თავი მიანება. ყლუპი ჩაიგუბა პირში. მერე გაწიწმატდა.

—ლავ-რენტს? —არაა ... შეცდომაში ხართ შესული! — უკმეხად მომიგო, — წარსულს ჩაბარდაო რახანია!

ვიცოდი, რომ არ ვტყუოდი და ამან გამამხნევა. კაცს, საკანცელარიო საქმეებით

გადაქანცულსა და ამითივე თითქოს შეზღუდულს, დაწვრილებით ავუხსენი, რომ მას ანუ ლავ-რენ-ტს ჩემთვის ნოტების ქსეროასლი უნდა გადაედო და რომ საშემოდგომო საკონკურსო მოსმენაზე პროკოფიევის რე-მინიორული სონატა უნდა დამეკრა და ამიტომაც, სასწრაფოდ მჭირდებოდა დედნის ქსეროასლი. მერე თმის გასწორება დავიწყე, მშვიდი იერსახე რომ მიმედო. კაცმა ხელი აიქნია ჭერისადმი და სახეში ჩამაკვირდა, გამომცდელად, –

–ჩემთან?! მაინცა და მაინც ჩემთან ... ვინ მოგაგზავნათ?! – აგენტად მოვეჩვენებოდი უსათუოდ, რადგან მიეთ-მოეთი დავიწყე, როდესაც მუსიკის პედაგოგის გვარ-სახელის დადგენა მოუნდა, ცდილობდა, სახეში მოენათებინა ჩემთვის მაგიდის ნათურა, შოკში რომ ჩავეგდე. საბედნიეროდ არ აინთო. კარგა ხნის წასული იყო შუქი. ნახევრად-ბნელში ვანახებდი ნოტებს და ვუხსნიდი, რომ ქსეროკოპისტის სახელი ლავ-რენ-ტი ჩემშიაც უცნაურ შეგრძებას ჰბადებდა. ჩანს, გაუმძაფრდა ჩემდამი ეჭვი, – „ინფორმატორი“ ვეგონებოდი, უსათუოდ.

– მუსიკასთან არაფერი ესაქმებოდაო! – თქვა დაფიქრებით და მერე, მიღულული თვალებით ჩემი საორჭოფო ვინაობის დადგენას შეუდგა. მაყრიდა და მაყრიდა დამაბნეველ შეკითხვებს. ვდუმდი და თან უტიფრად, საღეჭ რეზინას ვიღეჭებოდი. კაცს უფრო და უფრო ერეოდა ბრაზი, როგორც კი დროდადრო სახელი ლავ-რენ-ტი ყურში ჩაესმოდა. –რაიმე დააშავა?! – გამომცდელად დავსვი შეკითხვა.

– ხართ აზრზე ... ხართ ... ხართ?! ახლა უმოძრაობაა აქ ... ეგეთ თემებზე აქ არ ხუმრობენ – მომახალა.

ადრესატის ავან-ჩავანი პარმონიას მირდვევდა იმ წუთებიდან. მომეჩვენა, ტყუილ-მართალს ერთმანეთში ურევდა კაცი. შინ წასვლა მომინდა. ქალმა უფრო მეტად აუწია კედლის რადიოს ხმა: კაცობრიობის საზოგადოებრივი ინტერნაციონალიზაცია განამტკიცებს: სუვერენული ხალხების სოციალურ -პოლიტიკურსა და ეკონომიკურ პროგრესს! –დიქტორის კონტრალტომაც დამძაბა. – სწრაფად ... სწრაფად უნდა გადავიდო მეთქი ნოტების ქსეროასლი, -თავს შევუძახე.

–სად უნდა იყოს?! – მღელვარედ ვკითხე კაცს. მან კი ჯამბაზობა დაიწყო. რინბაზურად, ჯერ იატაკისკენ გაიშვირა საჩვენებელი თითო და მერე ზემოთაც აღმართა.

– ეძებეთ ქვემოთ ... ან ... ზემოთ! ეგებ მანდ სადმე კიდეც მიაგნოთ!

– იცნობთ ლავ-რენტს?! – ლავ-რენტ-თან შეხვედრის მომლოდინემ ვიკითხე.

– ვის ... პატარა აზეფს? ... მეორე ფუშეს? ... პენსენიან კაცს?! – ბანზე მიგდებდა სიტყვას. მის ტონს პირად შეურაცყოფად მივიღებდი. მივხვდი, რეალობას შევეჯახე და იმ განზომილებაში აღმოჩნდი, სადაც სრულიად უცხოდ ვიგრძენი თავი.

– ქსე-რო-კო-პისტს ... ქსე-რო-კო-პისტს ლავ-რენტს დავეძებ!!! – გულისხმა ლამის და ისტერიულად ამომსკდებოდა და კაცს შევებრალე, – სურდა მომხვეოდა, დასამშვიდებლად; მაგრამ, უეცრად თვალწინ დამიდგა მუსიკის პედაგოგის მედიდური სახე. მისმა ხმამ თვლის რიტმში დამაწყნარებლად იმოქმედა ჩემზე: ერთ-ორ-სამ ... ერთ-ორ-სამ ... კაცი მოვიშორე და იქაურობას ძლივს დავეხსენი.

დერეფანში სკამზე ჩამოვჭექი სულის მოსათქმელად, –ვინიავებდი ნოტებით და სულს ვიოხებდი. კონტრაპუნქტად შემოაწვებოდა აუხსნელ გარემოს სონატის ბემოლლ ჟღერადობა. სასოწარკვეთა და მარტოობა შევიგრძენი. დერეფნის ბოლოში, არც დაცვის ბიჭი და ფანჯრის რაფაზე, არც კაქტუსი შემინიშნავს.

მოვიდა შუქი. ქუჩაში ხალხის ჩოჩქოლი მიწყნარდა. ხელით გადავწერ–მეთქი ნოტებს, ახლა მაჟორში გადავედი. მაგრამ, შენობიდან გასვლა არ მომინდა, – დაცვის თანამშრომელი დერეფნის ბოლოდან მაკვირდებოდა, –ჩემზე ათიოდ წლით უფროსი, ასე – 24–25 წლისა იქნებოდა.

დავრწმუნდი, რომ ნეოსფერო მართლა არსებობს: ქალმა სამუშაო ოთახიდან თავი გამოყო. ხოლო კაცმა კი შემაჩერა ძირს დავარდნილი ფურცელი, ქსეროკოპისტის სახელით: ლავ–რენ–ტი.

– ვინ იყო ... ვინ იყო ... ვინაა?! – ისევ ნერვებმა ამიტანა.

– fascium ... fascium ... fascium ... – აფრუტუნდა კაცი და ცხვირწინ გამომიკეტა სამუშაო ოთახის კარი. კაცის ამ ქმედებამ ძალა შემმატა და გადავწყვიტე, ქსეროკოპისტ ლავ–რენ–ტის ძებნა განმეგრძო. შემდგომ ამისა: არც ის ქალი და აღარც ის კაცი თვალითაც ადარ მინახავს.

ერი იყო თუ ბერი, ქსეროკოპისტი თუ ვინმე სხვა, იმ წუთებში მხოლოდ ის ვიცოდი, რომ მე მისთვის ანუ ლავ–რენ–ტისთვის უნდა მიმეგნო, რათა სიმართლე დამედგინა.

–წონადობა აქვთ: ბგერებსაც და სახელებსაც! – უხილავ დიალოგში შემოვიდა ჩემთან მუსიკის პედაგოგი, – მთავარია სწორი სახელდება!

–მეტსახელები მეტსაც მეტყველებენ?! – მეცო – პიანიზე ვკითხე პედაგოგს და ჩემთვის იდუმალად გავიფიქრე, –

–წითელი ურდოს ბერქა–ყაენია, უსათუოდ ...

უამრავ სხვა ფათერაკს ვაწყდებოდი ოთახებში: ირონიასა და გულგრილობას, ზიზღსა და აღფრთოვანებას: ადამიანებს სხვადასხვაობა ედებოდათ სახეზე, როგორც კი მისი სახელი: ლავ–რენ–ტი ყურში ჩაესმოდათ. – უსათუოდ სამსახურიდანაა გაძევებული! – ახსნას ვუძებნიდი სიტუაციას.

ბოლო კაბინეტში ისხდნენ – სამნი. ორს – ჭადრაკის თამაშში ქონდა თავი ჩარგული. ასეე ... შუა ხნისანი იქნებოდნენ.

–მე დამეძებთ?! – ერთმა, შედარებით ახალგაზრდამ, შამპანურით შეავსო კათხა და თვალის ჟუჟუნით გამომიწოდა. ბედმა გამიღიმა–მეთქი, ვიფიქრე და სახე–ში სულგრძელობით ჩაგაკვირდი. – ესაა მეთქი ქსეროკოპისტი ლავ–რენ–ტი, თავს ვირწმუნებდი, –პენსნესაც ატარებდა. საგულდაგულოდ, როცა ხელახლა დავაკვირდი, მოსაზრება განმიმტკიცდა და გავახმოვანე. ხოლო კაცს ნირი წაუხდა. –არა ... არაო, – იქნევდა ხელებს. ერიდება–მეთქი, ვიფიქრე. მერე ადგა და ჩემდამი გამოწვდილი კათხა ერთბაშად გამოსცალა. სევდით ამევსო გული, მხრებს რომ იჩეჩავდა ზარხოშმორეული, მობოდიშების ნიშნად: ხელფასი ავიღეთო. ხოლო სმა როცა განაგრძო, გულში ეჭვმა გამკრა : შეცდომაში ვარ–მეთქი შესული. მაინც არ ვიტეხდი იხტიბარს: ვუამბობდი და ვუამბობდი განმაცვიფრებელ ამბებს: მუსიკის პედაგოგზე,

პროკოფიევზე, ინსტრუმენტული მუსიკისა და ვოკალის შესახებაც. გულგრილობას ვატყობდი. – იდუმალი კაცია—მეთქი, ვფიქრობდი და ამიტომაც ითრევს—მეთქი ფეხს, —თავს ვიმხნევებდი და ბოლოს მომინდა, ბოროტება ამომექითხა მისი სახიდან: მამლობისმოყვარეა და სახელბოროტიც! – ჩემთვის დავასკვენი.

ვგრძნობდი, კაცს ემოციებს უმძაფრებდა ჩემთან სიტყვიერი კონტაქტი და როცა ზარხოში გვარიანად მოერია, გულისნადები გამანდო, –

—ის სხვა ... მე სულ სხვა ... მას დამსმენები უყვარდა და არა მაბეზდარებიო, —ვერაფერს მივხვდი.

— განა ქსეროკოპისტი ლავ-რენ-ტი თქვენ არ ბრძანდებით ?! – ცნობისმოყვრული ეგო გავიაქტიურე.

უმაღ გამოფხიზლება დაეწყო. სევდა გაეფანტა და გადაეზარდა, ჩემთვის სრულიად უცხო — ლავ-რენ-ტი—სადმი ლანძღვა—გინებაში: ვიგინდარა იყო და სისხლისმსელიო ... მხოლოდ ერთი უბრალო და უწმაწური ლექსის გამო გამისაღაო ბაბუა 37-ში!!! – გაიძახოდა და ბარბაცებდა და როცა დარწმუნდა, რომ მე ქსეროკოპისტი ლავ-რენ-ტი თვითონ იგი მეგონა, რატომდაც დაცხრა.

— იცით, ვინ იყო ბაბუაჩემი ... ნუთუ არაფერი გსმენიათ ე—მი—გრან—ტზე?! – ამოიოხერა ერთიც ხმადაბლა და — ნონკონფორმისტი და ნათელმხილველი იყო ჩემი ბაბუა, – ალალბედად მოროშა. მერე მიესვენა სავარძელში და მითვლიმა. მანამდე კი ... მო — ჭადრაკეებმა გაგვაშველეს. სწორედ მათ გამომაცილეს სამუშაო ოთახიდან, —შთამაგონებდნენ: არავისთვის მეამბნა იმ ინცინდენტზე.

თავს დუნედ ვგრძნობდი დერეფანში. ძახილი —ლაუჟუ ... ტონალობათა მიღმიერად ჩამესმოდა. ატონალური ჰანგი თან ერთვოდა შეუცნობელს და დამოკიდებულს შემთხვევაზე მხდიდა. ძიების უშედეგობა მასუსტებდა და თვალთ დამიბნელდა. გრუხუნი მომესმოდა შორეთიდან. ვიშორებდი და ვერც მომეშორებინა: ტყვიის ზუზუნისა და აფეთქებების ხმები. ლაუჟ ... თითქოსდა აწმყოს ავ ძახილად ასკდებოდა წარსულიდან. უძრაობის ეპოქისთვის უცხო უნდა ყოფილიყო ასეთი ხმები და ბოლოს ... მიწყდა ხმაური და შოორს ... შოორს ... ცისარტყელა დავლანდე: ბურანშიაც ფაქტად აღვიქვამდი მაუწყებელ შვიდფერა თაღს. ნელ—ნელა გონს მოვდიოდი. დაცვის ბიჭს გამოვყავდი შენობიდან. მისი ხელკავიდან თავს დავიხსნიდი.

— ქსეროკოპისტს ვეძებდი ... ლავ-რენტს! – თანამშრომელთან თავი ვიმართლე. არაფერი უთქვამს. სარდაფამდე უხმოდ ჩამიძღვა. იქ თეთრად შედებილ კარის ფირნიშზე ეწერა: ქსეროკოპისტი ლავ-რენ-ტი! იქვე, კართან, როტვაილერი იწვა. – არაფერი ხდებაო შემთხვევით, —პედაგოგმა მიკარნახა. – მეორდება წარსული?! – როგორ?! – უხმოდ ვიკითხე.

ავხედე ჭადრებს. ფოთლებს გამჭვირვალეს ხდიდა მზე. მერქნები თეთრად შეედებათ. ხალხი ნელ—ნელა ეხსნებოდა ტროლეიბუსს. იქნებოდა ასევ ... ხუთი საათი.

— ლავრენტი ?! – თითქმის ფორტეზე ვიკითხე, როგორც კი თვალი შევავლე ქსეროკოპისტს. ხოლო მან კი, ლავ-რენტ-მა ხელი გამომიწოდა და სახეზე თანაგრძნობა როცა დაეწერა, თავი დახარა, –

— ფათერაკში გაებმებოდით, – პენსნე მოიძრო და გამიღიმა.

აბსურდიდან დავაღწიე-მეთქი თავი, სული ამიმდერდა და ლაუჟს ... სახელდახელოდ გაგუწოდე ნოტები.

იგი ჯერ მხრებში ჩაიმალა, მერე კი წინდაზნექილმა ამომხედა და ორაზროვნად ჩაედიმა, –

–იცით ... მე ვინა ვარ?! –წაიჩურჩულა.

–ვიინ?! –შევეჭვდი და ფოსოებში ღრმად ჩამჯდარ თვალებში ჩავაშტერდი. სახე ამარიდა და ასლის გადაღება მეორე დღისთვის გადადო.

გარეთ გამოსულს გამიმძაფრდა ლაუზსადმი ინტერესი. მზე ჭადრის ფოთლებს გამჭვირვალეს ხდიდა. დაცვის ბიჭს გამოვეთხოვა.

ლავრენტი კონფორმისტი იყო თუ ნონკომფორმისტი, ბოლშევიკი თუ მენშევიკი, ტროცკისტი თუ ბუხარინელი, კომუნისტი თუ კაპიტალისტი, ის იყო ... და მავანთათვის საინტერესო იქნებოდა გრიფით საიდუმლო ახსნოდა მის საქმეს ... მის დასანახად სხვა უკეთესი რა იქნებოდა?!

ვეებერთელა ავტომობილი ტბიდან ასიოდე მეტრის ქვემოთ დამუხრუჭდა. ხმაურმა გაჰკვეთა –ტყიდან: ხავსიდან, ყვავილიდან, ბალახიდან გამოუნილი ჰანგი. გამონაბოლქვი ჰაერმა დანოქა.

ელეგანტური, ხმელი, მშვენიერი ქალბატონი გადმობრძანდა ავტომობილიდან – ნინო! – მწვანეთვალება, – მაღალჩინოსანთა მეუღლებში იმთავითვე დახვეწილი მანერებით გამორჩეული. შეათვალიერა შემოგარენი. მის თვალებზე დამატკბობლად ზემოქმედებდა ლანდშაფტის ფერწერული მშვენიერება, – განცდებისადმი კონტრასტს უმძაფრებდა. წამიერად დაფიქრდა ... თვალწინ წარმოუდგა მეუღლის ორნილბიანი სახე. ლაუზ ... ლაუზ ... სუსტ ექოდ შემოესმა კბოდებიდან.

ყრუ გუგუნი მიწყნარდა ბუჩქებში. –რა იყო?!

ნინომ ამოიღო და უმალევე ჩანთაში ჩააბრუნა მისთვის მნიშვნელოვანი ნივთი, მდელვარებას რომ აღუძრავდა. მძღოლს უესტიკულაციით ანიშნა – დალოდებოდა. მერე კი მიზანმიმართულად აუყვა ტბის ბილიკს.

ადიოდა და ვერ აცალკევებდა აბურდულ ფიქრებს. –შავი ერთმნიშვნელოვნად შავია! ხოლო თეთრი კი თეთრი! –ასწავლა დედამ.

ახლა, ხანდაზმული შავ – თეთრ ტონებში ხედავდა განვლილს: გასაგებსა და გაუგებარს, მწარესა და მაინც ტკბილს.

ლავ-რენ-ტი! – ნაციზმს ებრძოდა და იყო გერმანიის გაერთიანების მეოცნებე!

რეპრესიებს გაატარებდა და იყო ინიციატორი ვეებერთელა ამნისტიისა, ბელადის სიკვდილის შემდეგ!

თვალისდაუხამხამებლად ანადგურებდა მოწინააღმდეგეს და ოცნებობდა:

უტოპიური ქალაქი აეშენებინა, სადაც კეთილდღეობა და სოციალური თანაბრობა იქნებოდა ადამიანის ბედნიერების თავწყარო. სახელმწიფოებრივი მმართველობა იქ თვითმართვას ასწავლიდა ადამიანს.

– ვერ უგებდნენ! –ტბასთან განმარტოებულს გაუმძაფრდა შავ-თეთრი წარმოდგენა.

– სამშობლოს უნდა შესწირვოდა!!!! სამშობლოს!!! – საქართველოსთვის სიკეთე უნდა გაედო მსხვერპლად!!! – უკვე გამქრალი პათოსით აკვირდებოდა ხელისგულზე

სპილენძის ბორჯდალს.

– არ დაუფასდა! – ტკივილს იწვევდა მასში იდეის ეს მატყუარა წახნაგი.

ტბასთან მიახლოვებული ჯირკზე ჩამოჯდა. სპილენძის რელიკვიის მოშორების ჟინტა უფრო მძაფრად აიტანა.

– შენ მას ბორჯდალით იცნობ! შორიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოესმოდა ძველი მეგობრის – ქეთოს წინასწარმეტყველური შეგონება.

მარადიულობის ამსახველ სპილენძს ისევ ხელისგულზე დააკვირდა, – შორეული და ახლო წარსულის ხატ-სურათები წამოეშალნენ.

– ამაოდ დაშვრა?! საჭირო იყო დუმილი?! – მიეძალა თეთრ-შავი ფიქრი.

ლავ-რენ-ტი! – ბელადზე თავდასხმის ორგანიზება ნუთუ დააბრალეს?! – ეჭვი გაუჩნდა. თანახმა იყო, ცხრა მთას იქეთ გაჟყოლოდა მეუღლეს. მისი „უდანაშაულობა“ ტვირთად ეზიდა.

დივერსანტობა დააბრალეს ნინოს, მეუღლის სიკვდილის შემდეგ. ციხეში მხოლოდ იმის გამო ჩასვეს, რომ „ტიმირიაზევის აკადემიაში“ მომუშავეს სინჯის აღება დასჭირდა და ერთი პუნქტიდან მეორეში სახელმწიფო თვითმფრინავით გადაზიდა ერთი კასრი წითელი მიწა.

„ბუტირკაში“–ც თან პქონდა მეუღლის ამულეტი: საკნის სინესტეში აცქერდებოდა და აცქერდებოდა. შავ-თეთრი ფიქრები შუბლზე ასკდებოდა.

შვილისადმი – სერგოსადმი მიმართავდა თეთრ განცდებს. – რაა მერე?! – რაა?

– მა დალ მიზანს ემსახურებოდა! – ასე ეგონა უწინ. – ახლა?!

ტბას გახედა. სპილენძის ფერი ედო მას იმ მომენტში, – უცხო ძალით მიუხმობდა, შეუცნობელი წარსულის დასაძირად.

ლავრენტი ... ლაუზუ ... ახლა ის სასამართლო პროცესზე წარმოიდგინა: შეწყნარების მომლოდინე და თავჩაკიდებული, განწირული და განრისხებულიც, – ბადრაგს რომ მივარდა და შარვალზელილები ააწყვიტა! საშინელება იყო, საშინელება! – უმაღურობა?!

ტბას მიუახლოვდა. შეჩერდა. ტბასთან შეხებას თითქოს კრძალავდა ტყის მეფე, – ცისფერკულულება და ეთეროვანი.

ქეთო ავრცელებდა ტყაშ-მაფას ბუნების კანონმდებლობას:

– ყველა ისჯება, ვინც უშნოდ გაკარებას შეპბედავს ტბას.

ტყის სულები კი ლადობდნენ: აცეკვებულები ელოლიავებოდნენ შერეული ტყეებს, წინ ეღობებოდნენ ყოველნაირ დისპარმონიას, რაც ჩაკვლას უქადდა ბუნებას. – ადამიანს?!

მიუახლოვდა ტბას. მოკუმული ხელი აღმართა და ისევ ყოფმანი მიეძალა ... – რისთვის ... რისთვის ... მოეშორებინა ბორჯდალი?! – ო რ ჭ თ ფ თ ბ ი ს რეფლექსია ტვინს უბურდავდა, – გაორებულობა განვლილი გზისა: შენება – ნგრევა, სილამაზე – სიმახინჯე! ამშენებლური ტალანტი აქვს მხოლოდ სიმართლეს! – მეხსიერებიდან ისევ ბუნდოვნად ამოუტივტივდა თეთრი სიგნალები.

ლავრენტი ... ლაუზ ... მისი მაცდური დიმილი ახლაც იზიდავდა და ახლა ელაქუცებოდა – ტბის სარკიდან.

სახლიდან წასულს თვეობით ეფოდა, – მსხვერპლს ითხოვდნენ მისი სადაზვერვო

სახელმწიფო საქმეები! – ჯეროდა ნინოს! – ახლა? უბრალო ინფორმატორები იყვნენ მისი მანდილოსნები! – ჯეროდა ნინოს!?

წარსულს უცოცხლებდა ხელთუქმნელი ტბა – ვერცხლისა, – სარკეში ახედებდა ...

– შენ მას სპილენძის ბორჯდალით იცნობ! – ქეთომ სწორედ იქ ... ტბა–ვერცხლზე აუწყა მომავალი, როცა მზის მოვარდისფრო ლიცლიცში მისი ხელისგულის მთვარის ბორცვაკს დახედა.

– წინასწარჭვრების უნარი?! – ჯადოქარი ვარო, – იცინოდა–ქეთი ... ქეთუნა ... ქეთა, – სისხლიან გზას ადგასო! – აუწყა ნინოს, – სიყვარულიაო მთავარი! – დასძინა.

მაშინ, სიყმაწვილეში, გოგონები უფროსებისაგან მალულად იყვნენ ასულები ტყაშ–მაფას ტობა–ვარჩხლზე.

ჭოტის კივილი შემოესმათ დამით ტყიდან. ტბის შემოგარენში თავს უსაფრთხოდ გრძნობდნენ.

სასტიკად დაისაჯნენ, ეროვნულ ანტისახლემწიფოებრივ აქციაში მონაწილეობის მიღებისათვის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას რომ მოეწყო.

დემონსტრაციიდან დაამასხსოვრდა ნინოს ქეთოს სასოწარკვეთილი და მაინც მხნების გამომხატველი ანთებული სახე, მუგუზალივით მისი თვალები, მხრებზე დაფენილი ტალღოვანი ომა ... ლავ–რენ–ტი!

შედგა სიები. ლაუჟ ... მაშინ რომელიდაც სადაზვერვო ორგანიზაციაში უბრალო მოადგილე იყო.

– საქართველოს გადაგხნავ და წესრიგს დაგამყარებ! – ბელადს განუცხადა. დააწინაურეს.

დემონსტრაციიდანვე დაადგა ნინოს თვალი. – ქეთოს?!

ასე იყო თუ ისე, სიიდან ორთავენი ამოიღეს. ამისათვის იზრუნა სერგომაც – ნინოს ბიძამ. იგი მაშინ პარტიულ პროპაგანდაში იყო ჩართული და ლავრენტიან ამხანაგობდა.

სიებს ათვალიერებდა კაბინეტი. სიაში თვალი მოკრა ნინოს სახელს და წითლად შემოხაზა, ვნებით. აუწყა სერგოს და შუაღამეზე შეადგინეს ახალი სია.

ბიძამ დედაქალაქიდან ნათესავებთან გახიზნა ნინო, სოფელ მუხურში. თვითონ კი – სერ–გო დედაქალაქს დაუბრუნდა, რათა უფრო აქტიურად ჩართულიყო პარტიულ პროპაგანდაში, კარგა ხანს ადარც გაჰკარებია ამხანაგ პენსიერის კაცს.

გოგონებს სოფლის რეალობა უფრო მოსწონდათ, ვიდრე ქალაქისა: დამდამობით საათობით მასლაათობდნენ აივანზე. სარკით, მთვარის ასაკს ადგენდნენ.

ერთ დამეს ტბაზე ასვლა გადაწყვიტეს, როცა შარიშური შემოესმათ ბუჩქებიდან.

სამეზობლოში მთვარეული სახლობდა. ახალმთვარობისას, მონუსხული მიეხებულდა ტბის ბილიკზე, მეზობლების გადმოცემით, ხოლო იქმდან კი შინ ფხიზელი ბრუნდებოდა.

გოგონები დაადგნენ მთვარეულის კვალს და მას ჩამორჩნენ. ინტუიტურად მივიდნენ: ხავსმოდებული კბოდეებით შემოსაზღვრულ ვერცხლის ტბასთან.

— ნეტავ თევზი თუ ბინადრობს ამ ტბაში?! — იკითხა ნინომ და ქეთოს ხელისგული უჩვენა.

ზღვა დრო ჰქონდათ გოგონებს, დემონსტრაციიდან მიყენებული ჭრილობები რომ მოეშუშებინათ, შემოგარენის იდუმალება ლალად რომ შეესრულათ, ტყაშ-მაფასათვის ყური რომ მიეგდოთ.

განბრძნობილი ტყის მეფე უხვად აფრქვევდა გამაფრთხილებელ სიგნალებსაც:

— დაისჯება ის, ვინც ადამიანში ადამიანს ჩაკლავს ...

— ერთხელაც დაისჯება ის, ვინც ძალაუფლების უნის გაავრცელებს ბუნებაზე ...

— უსათუოდ დაისჯება ის, ვინც ... — რაა მერე?! — საზოგადოებაც ხომ ბუნებაა?! — ფიქრობდა ქეთო.

ბუნებაში სუფევს: შერჩევა—გამრავლებისა და სიცოცხლის ინსტინქტებიო! — ქეთოს ეს „ჯადო—სიტყვები“ თვითგადარჩენის ინსტინქტებსაც უდივებდა ნინოს.

— დედა მენშევიკია, მამა ბოლშევიკი ... არავისთან წამოგცდეს! — ტბიდან წამოსვლისას დამოძღვრა ქეთათომ ...

დილის რიურაჟი ელამუნებოდა შერეული ტყის ბინადრებს და ბალახსაც და კლდესაც და მიწას.

— დედას დახვრეტენ ... ვგრძნობ! — აღმოხდა ქეთოს და აქვითინდა. სწორედ იმ დროს, ფეხაკრეფით ჩაიარა მთვარეულმა. ტბასთან შეჩერდა. შინ წასავლელად მოემზადა.

— მთავარი სიყვარულია, მაგრამ ახლა ... სიკვდილი მძლავრობს! — ბუტბუტებიდა ქეთა ... მთვარეულს კი შეფხიზლება დაეწყო. თავდალმართს ჩაუყვა, ბარბაციო.

საშინელიდროიდგა: შეთქმულებებისადა კონტრრევოლუციების, გადატრიალებებისა და რეპრესიების! ხრწოლავდა და სისხლს ანთხევდა: წითელი დრაკონი. — ლავ-რენტი!

მიღმიერ: ვარსკვლავეთისა, მთვარისა და მზისა, — დაცხრირულთა ცხედრებიდან ატაცებული სულები გმინავდნენ ზეგარდმო: ასფალტზე შემხმარი სისხლისა და სექს-კრემატორიუმებისა: გატაცებულ ქალთა გმინვა — კივილისა, მოსკოვთან მიმდებარე აგარაკებიდან რომ მოისმოდა, შუაღამის შემდეგ. — ადამიანი?! — ყველაფერი სტატისტიკაზე უნდა აგებულიყო! ლაუზუ ... მექანიკურობაზე აგებული ჰორიზონტალურ — ვერტიკალური ეგრეგორი! — ლაუზუ ... გადარჩენის ინსტინქტები?!

ზემდგომთა და ქვემდგომთა ბრძანებებით: იჭერდნენ და ეშელონებით მოუსავლეთში ერეკებოდნენ: ქალებსა და ბავშვებს, ახალგაზრდებსა და მოხუცებულებს და ყველას საერთო წნევში აქცევდნენ, როგორც: კონტრრევოლუციონერებსა და ტროცკისტებს, შეთქმულების მომწყობებსა და ბუხარინელებს, სამშობლოს მტრებს, ეკვილიბრისტებს, მონარქისტებს, მენშევიკებს ... ხვრეტდნენ, მხოლოდ იმის გამო ...

ახალ—ახალ ნაყოფს გამოიდებდა და ჯირჯვდებოდა წითელი დრაკონის შავი თესლი და იმპორტირდებოდა განურჩევლად: რასისა, სქესისა და გარემოსი:

შშიერთა რიცხვად! შიმშლობით განზრახ მოკვდინებულთა სტატისტიკად! უპურნებელნობის გამო დასწებოვნებულებლად! — ლავ-რენტი?

ბოროტულ თეატრში ჩართული მმართველი ძალები მიმდინარე პროცესებს აკონტროლებდნენ. — როგორ?! დამსმენები სხვა დამსმენებს დაასმენდნენ და ისჯებოდნენ, — ვის მიერ?! სახელმწიფოს მართულთა განსაზღვრული რაოდენობა:

კულტურისათვის, თეატრისათვის, მხატვრობისათვის, ლიტერატურისათვის, მუსიკისათვის ჭირდებოდა, – რატომ?!

გარკვეული სტატისტიკა: მარჯვნიდან მარცხნივ და პირუკუ გადაადგილებულთა! ხოლო ცოცხლად–მორჩილი სახეები! პარტიულ – ზეპარტიული ზომბები! – თვითკრიტიკა?! – კრიტიკა?! – პროგრესული ცვლილებები?! – მასებში შფოთი?!

ახორხლილი – ჩარეცხილი ცხედრების ქიმერა! – ლაგ–რენ–ტი?!

– დასაშვებია უპარტიობა?! – ერთხელ სუფრასთან გულუბრყვილოდ იკითხა ნინომ.

– დასაშვებია!!! – უპასუხა სადამოს ჩაიზე მიწვეულმა სტუმარმა. უპარტიოებს კი ... აღგილებზევე გაუსამართლებლად ხვრეტდნენ!!!

– ინტელიგენცია?! – უმადური, ურჯუკი, უძღები, უმართავი მასა! აღვირასსნილ მორტიდოს ოინაბაზობა: სიყვარულ–სიკვდილით! ხოლო მომავალი თვალსა და ხელს შეა უჩინარდებოდა.

და მართლაც, ნინომ ბიძასთან – სერგოსთან სადამოს ჩაიზე მიპატიუებული სტუმარი ბორჯლალით იცნო, როგორც კი მას კარიდანვე შეხედა და შეცბა. უცნაურმა, თითქოსდა – ბედისადმი მორჩილების განცდამ დარია ხელი.

იქვე, შესასვლელ კართან ელაგა ნინოს მიერ შავი საცხით გალაპლაპებული ჩექმები.

სტუმარმა ფეტრის კაკაოსფერი ცილინდრი სერგოს მუნდირს ზედ მიაკიდა. მწვანე კოვერკოტში პოულობდა ნინო უცნაურ ნივთებსა და ჩანაწერებს: გაფერთხავდე, ჯაგრისითა და ნამიანი ჩვრით სამოსელის გაწმენდამდე.

სტუმარს მისაღებ ოთახში რაფაზე უადგილოდ ჩამოდებული კაქტუსი თვალში გაეჩეირა ... და მერეც, ორაზროვად გახედავდა ხოლმე ბუსუსოვან მცენარეს, ნინოს მალული ზვერით დაქანცული. წიკწიკებდა კედლის საათი. ეზოში სავსე მთვარეს უყეფდა ძაღლი.

თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს და ნინო სამზარეულოში გასხლტა.

– ეს ის არის ... იის ... – კარნახობდა შინაგანი ხმა. – შენ მას სპილენძის ბორჯლალით ... ბორჯლალით იცნობ! – ექოსავით მოესმოდა საძინებლიდან. – ქეთო?!

იქ იმ ოთახში, დედის ნაჩუქარ თოჯინას მალავდა ბალიშის ქვეშ. ახალმთვარობისას, როცა მთვარის ვერცხლი იწყებდა კედლებზე ლიცლიცს, ფრთხილად იღებდა სათამაშოს და გამოენიამდე უკითხავდა დედის წერილებს.

ზოგჯერ მანუგეშებლადაც კი ჩაესმოდა ტბა – ვერცხლის მიდამოებიდან ამომსკდარი ჯადო – სიტყვები: – შენ მას ... შენ მას ... და როცა სხვენიდან სინდიოფალას ფხაკუნი მოესმოდა დამდამობით, ძილი უფრთხებოდა. 37–ში დაუხვრიტეს დედა. დედა ქეთოსაც დაუხვრიტეს. ამის მერე ერთმანეთი აღარც უნახავთ.

სერგომ ფრთხილად გაადო კარი, დისტულს გამოხედვით შეუბლვირა. ბანგი შიშნეულად შეაზავა ჩაის ფინჯანში და სამზარეულო დატოვა.

სასიყვარულო ჯადო – შარბათიანი ჩაი მლიქვნებლური ღიმილით მიართვა სტუმარს და პარტიული ლიქვნა განაგრძო, – სტულდა შეზღუდვები, სიმართლეებს თან რომ ახლავან.

უკვე მესამე ფინჯანს ცლიდა სტუმარი. ბანგი მოერია. ბანგი—ბანგია და ...  
ნინოზე დაქორწინდა, მალევე.

ლაუჟ ... ასეთ ვნებას უწინ არასოდეს აუტანია: კიდეც იზიდავდა ნინოს უსაზღვრო  
ხიბლი და რაღაც უცნაურ, ცივ ქენჯნასაც აღუძრავდა.

გაურბოდა და უბრუნდებოდა ისევ ნინოს და ერთხელაც ... მეუდლის ფოტოთი  
გამოცხადდა ნათელმხილველთან. — ის ვინ იყო?! — არც ბუხარინელი, არც ტროცკისტი  
და არც მენშევიკი ყოფილა, — ე—მი—გრან—ტად იყო წოდებული.

ლაუჟუ ... ნინოსადმი უცნაური სნეულებისგან ვერ განკურნა. ჰოდა, ამიტომაც  
გადაასახლა. მას იქაც „ემიგრანტი“ ერქვა.

ემიგრანტმა მოახერხა გაქცევა და ჩაიცხრილა ... გაუსამართლებლად ... ადგილზე—  
ვე ... ხოლო მანამდე ...

ლაუჟ ... იწვა ნათელმხილველის სამედიცინო სავარძელში, მეუდლისადმი სიყვარულ  
— სიძულვილისაგან განსაკურნავად, — კონცენტრაციას კედელზე მიკიდებულ ნინოს  
ფოტოზე ახდენდა ... პროკოფოვის რე—სონატა ჰიპნოზში ვერ აგდებდა.

ლაუჟ ... შურდულივით წამოხტა სავარძლიდან: მივარდა, კედლიდან მოგლიჯა,  
ნაფლეთებად აქცია ნინოს ფოტო და მერე ფეხებითაც დატკეპნა. უფრო მეტადაც  
გაცხარდა, — სასიკვდილოდ გაიმეტა ქ—მიგ—რან—ტი.

ხოლო მანამდე: ვიდრე სერგოს სახლს დატოვებდა, სტუმრად მისულმა, მოიხსნა  
სპილენძის ბორჯლალი მაისურიდან და ნინოს მიაჩეხა. ბედისადმი მორჩილების  
ინსტინქტმა იმძლავრა ყმაწვილ—ქალში.

— ის ისაა ... იის ... ლაუჟ ... — ბაგა—ბუგი გაპქონდა გულს.

ტბიდან უცხო ძალამ გადმოტყორცნა ხანდაზმული. ბალახებში მიესვენა. ეთეროვანი  
ცისფერკულულება ბუჩქებიდან გაუჩინარდა, — ტყაშ—მაფა?! — მას მარადიული დრო  
გააჩნდა.

დააცქერდა ცარიელ ხელისგულს. გრგვინვა—ქუხილი შემოესმა შორეთიდან, —  
ექოდ ვრცელდებოდა: კბოდეებზე და ტბის ფსკერის ფერად— ფერად კენჭებზედაც.

წამოდგა. თავდაღმართს დაადგა სვენებ—სვენებით. ცხელი წვიმა მხრებს უსველებდა.  
ასიოდე მეტრის ქვემოთ ... ვეებერთელა ვერცხლისფერ ავტომობილში უცდიდა შვილი  
სერ—გო. თეთრი იმპულსებით დედას იზიდავდა.

P. S. — კოდა:

აუჟ ... გამოფხიზლება დამეწყო ... გამოვრთე მაღვიძარა და ვიდრე სიზმარ  
— ჩვენებას ჩავიწერდი, კიდეც გათენდა. ნერვებს მიშლიდა ბერქა—ყაენი წითელი  
ურდოსი ... და ... ეგეთი აბდა—უბდა ტიპები და გარემოება.

## ლავრენტი

ავდექი. სასწრაფოდ გავეშურე, —დავგის თანამშრომელს უნდა შევხვედროდი  
იმელის შენობასთან, ცხრაზე. უმოძრაოდ იდგა. მიცდიდა. მზის სხივები დასთამაშებდა  
სახეზე. მომეგება და ჩავედით. თეთრად შედებილი კარი მხრით შეაღო.

ქსეროკოპისტი ზურგშექცევით იდგა დანადგართან. ქაღალდების კორიანტელს აყენებდა. მესამე თვალით თუ მიხვდა, რომ მივედით. შემობრუნდა. დანადგარიდან ჩამოხტა კატა: არაჩვეულებრივი სილამაზისა: ვერცხლისფერი, მწვანეთვალება. იქვე, ბორიალი დაიწყო.

— მზად არის! — გამომიწოდა: დედანიცა და ქსეროასლიც. გამოვართვი. ხურდა ფული ვერ შევბედე. შევყოვნდი და უკან დავიხიე, დისტანციიდან უკეთ რომ აღმექვა მისი სახება. მისი ვინაობის დადგენის დაუოკებელმა და უცხო სურვილმა შემაჩერა. ერთხანს ვიდექი და მერე ... ჩანთაში დავიწყე ძებნა. ქსეროკოპისტმა სჯა-მასლაათი გააბა ყმაწვილთან, უხერხულობის გასაფანტად.

როგორც იქნა, ჩანთიდან ამოვიდე ჩანაწერი ლავ-რენტი. მაგიდაზე ცხვირწინ დავუდე ქსეროკოპისტს. თავფურცელს: ლავ-რენ-ტი ინტერესით დახედა. ორაზროვნად ჩაედიმა. მერე ნაწერში ფურცელი დაიწყო.

— ლავ ... რენ ... ტი?! — რატომ?! — შიშნეულად იკითხა.

— მეშინია ... არ განმეორდეს ... — შევეპასუხე.

— რაა?! — ჩაფიქრდა.

ლავ-რენ-ტმა მაგიდიდან უკითხავად აიღო ჩემი სიზმარ-ნაწერი. ხელისცახცახით საწიგნეში მოათავსა. მარმარილოს პრესპაპიე ზედ დაადო, — თანაც ბუტბუტებდა: რატომდაც დღემდე ვაგროვებო ბაბუაჩემზე მასალებს. fascium ... fascium ... — გულში გავყვიროდი.

— ინებებით ... ჩაის ... თუ ყავას?! — თავაზით იკითხა. დამხმარე გოგონას მოუხმო. ხელებ შეა: ერთი მცირე და ორიც მოზრდილი დისტანციით ყავა-ჩაიზე მიანიშნა. ყმაწვილ-ქალი პატარა სენაკში შებრუნდა. სამზადისს შეუდგა.

ვუსხედით მაგიდას: სამნი. დაცვის ბიჭის მუხლებზე კრუტუნებდა კატა. — ასეთი ჯიშები ფირმა „ეტუალში“ თუ გამოყავთ-მეთქი, — გავიფიქრე. კატას ჯულიეტა შევარქვი საჩემოდ. — რატომ ჯულიეტა?! — იქნებ ხვადია?! — შევეწინააღმდეგე საკუთარ არსებას, — თეთრი ... შავი, ... თეთრი ... შავი. გავხედე მაგიდაზე დაყრდნობილ, ბეჭებში წახრილ ლავ-რენ-ტს. ჩემდა გასაოცრად, მომინდა მისთვის წამეკითხა ჩემი სიზმარ-ნაწერი.

— არაა ... სხვა დროს ... სხვა დროს ... — თავს ოდნავ შესამჩნევად იქნევდა იქეთ, ნიშნად: უარისა და რიდისა. ოდნავ გავბრაზდი.

გოგომ გაიტანა ცარიელი ჭიქები. სენაკში შეუდგა რეცხვას. ბიჭმა მონუსხულივით გააყოლა თვალი.

— როგორ, სერგო იყო მამათქვენი?! . სახელი — ლაუჟ ... მამამისის უკვდავსაყოფად თქვენ დაგარქვათ?! — გაკვირვება ვერ დავმალე, “შვილიშვილმა” როცა გულისნადები გამანდო.

— დიახ, — ცივად მომიჭრა და თითქმის დაირცხვინა: მეხამუშებაო ჩემი სახელ-გვარი. დავიბენი. გულში ვეკითხებოდი მუსიკის პედაგოგს: მართალია-მეთქი?! — ხოლო იგი კი არაფერს მპასუხებდა.

— ეჰ, ლავ ... რენ ... ტი ... , — ქსეროკოპისტმა ჭერთან მიმდებარე სარკმლიდან შორეთს გახედა. გულდრძოდ ამოღერდა, —საშიშია არ განმეორდეს ...

— ვინ ირჩევს სახელს?! —ვანუგეშე, —რაა მერე?!

— და თანაც ... გვარი?! — თითქოსდა მობოლიშება დამიწყო. მერე გაბარბაცდა. ჩვენგან ზურგშექცევით დადგა — საწიგნესთან. მისი წინაპრის —ლავ-რენ-ტის საქმეების თვითნებურ გადმოლაგებას ხელი მიჰყო: საიდუმლო ოპერაცია: ცა და „ედელვაისი“ —???? მოურიდებლად დამილაგა მაგიდაზე. უხერხული სიტუაცია შეიქნა. მინდოდა წაგვეკითხა ჩემი ხელნაწერი. იგი კი სხვადასხვა რეგისტრში აბრუნებდა ლაუსთან დაკავშირებულ პირადსა თუ ისტორიულ ხვედრს. თანაც, პაპკებს ხსნიდა. მიხსნიდა, რომ — პენსნეიანმა კაცმა ანუ ვითომდა მისმა ბაბუამ — ლავ-რენტ-მა ატომ-ბირთვული ლგაწლი: ბარონ ფონ არდენესი, გუსტავ პერცისა, ნიკოლაუს რილისა, მაქს ფოლმერისა, მაქს შტაინბეკისა აფხაზეთ —საქართველოს უსაფრთხოებას მოახმარა —აგუძერაში აგებული ზესაიდუმლო —ობიექტით.

— ბაბუათქვენი საქართველოსთვის ზრუნავდა?! —არ მჯეროდა და გაკვირვებულმა ვიკითხე.

— საქართველო იხსნა აფხაზეთის წაგლეჯისაგან!!! —ადგაცება ვერ დამალა.

— რა შუაშია საქართველო?! —დავიბენი და უცებ შიშმა ამიტანა, როცა ომებისა და რევოლუციების, კოტრრევოლუციების, ბუხარინელთა და ტროცკისტების სისხლიანი ამბები ხატ-სურათებად თვალწინ გამიცოცხლდა.

— მაინც ვინ იყო ბაბუათქვენი?! —აშკარა ბრაზით ვიკითხე.

— იგი ... იგი ... —ლიქვნა დაიწყო. ხეირიანი სხვა ვერაფერი რომ მოიგონა, ადგოკატივით განაცხადა, —ატომური ბომბის მოპოვებისათვის ლენინის ორდენითა და პოლიტბიუროს საპატიო სიგელით დააჯილდოვესო. თანაც, სახეზე მალული სიამაყე აუკიაფდა.

— რაა მერე?! — ურწმუნოდ გავხედე.

გოგო და ბიჭი აინუნშიაც არ აგდებდნენ ჩვენს ლაპარაკს. ბიჭი აკვირდებოდა გოგონას შროშანივით თეთრ თითებს, ფრთხილად რომ კრეფდნენ იატაკიდან — ჯულეტას მიერ ჩამოყრილ ფურცლებს. ბიჭს ქვემოდან აჟყურებდა გოგო.

— ვეერმახტის ოპერაცია „ედელვაისი“ ხომ მან ... მან ჩაშალა ... არც ორდენი გახსენებიათ სასამართლო პროცესზე ... და არც „ედელვაისი“ ... რომ არა იგი ... ნაცისტები გროზნოსა და აზარბაიჯანს აიღებდნენ ... და მთელს მსოფლიოში ... — დუდუნებდა ასე —საჩემოდ და სათავისოდაც.

— ედ-ელ-ვა-ის-ი?! — ხომ მთაში ნაზარდი ყვავილია?! —გულში ვდიღინებდი.

— ელ-ბრუ-სი?! — უწინ ხომ ი-ალ-ბუზ-ი ერქვა?! —ხმამაღლა წამომცდა. ხოლო ქსეროკოპისტ ლავ-რენტს შფოთი დაეწყო. ლიბიდოში ჩაწიხლული გარემოს მიუღებლობა!შიში და შიშისაგან მომდინარე შეუსაბამო ქმედებანი! — დასაზუსტებელ წარმოდგენებს მაწვდიდა — ...

— ხედავთ ... დამდასავით დამედება ჩემი სახელ-გვარი, — ცდილობდა ჩემთან უთანხმოება აეხსნა.

— ნუთუ ასე გაგრძელდება?! — ნუთუ არ გადაილახება წარსული?! — ვეკითხებოდი შინაგან ხმას.

ხოლო ლაუზ კი ახლა იდაყვებით დაეყრდნო მაგიდას. მოინდომა, დაცვის ბიჭისთვის შეეფარებინა თავი.

— ყველას თვალში ვეჩხირებოდი ჩემი სახელ—გვარით. ეს პროფესია და ეს ადგილიც ალბათ ... ამიტომაც მერგო, — წაილუდლუდა და ბეჭებში ჩაიმალა.

ჯულიეტა შეხტა მაგიდაზე, დაიძაგრა და ზამბარასავით დაჭიმა სხეული. წასვლის ღროა-მეთქი, ვიფიქრე . ავხედე საათს. სრულდებოდა — თორმეტი.

— ადვოკატად ვერ დავუდგები! — გაისმა ლავ-რენ-ტის გლისანდოსავით ხმა. მაშინვე — „ედელვაის“ — პაპკების საწიგნეში შელაგებას შეუდგა, ფრთხილად. ისევ უაზროდ კუნტრუშობდა გოგო. დაცვის თანამშრომელმა ხელკავი მე გამომდო. გამოვედით. ამოგვევა. თვალცრემლიანმა შემოგვცინა და დავშორდით.

—ადამიანი თავთან კონფლიქტში მოდის მაშინ, თუკი იგი შინაგანად არისტოკრატია!

— შინაგანმა ხმამ შემახსენა.

— ნუთუ ეპოქის ორგანული ნაწილები არიან ადამიანები? — მათი საქმეები?! — ორგუნებოვნად ვეკითხებოდი ტყაშ-მაფას, გარეთ ... ვიდრე ... და მივხვდი, რომ უძრაობის დრო იდგა ... ვიდრე ... ეჟ ... რას არ მოიგონებს ადამიანი ... ერთი სიტყვის უწმაწურ მნიშვნელობას ვიხსენებდი, რასაც ბრაზმორეული ჩემი ბაბუა ხშირად წამოისროდა ხოლმე პენსიურიანი კაცის მისამართით — fascium ... სირცხვილმა ამიტანა.

ცხელი წვიმა ასველებდა ასფალტს. ჭადრის ხეივანს თავჩალუნული მივუყვებოდი. ვივიწყებდი და ვერც დამევიწყებინა: პროკოფიევის: Piano Sonata –2, in Re-Minor.

წვიმამ გადაიღო. შვიდფერა თაღს ავხედე. უმალ აზრმა გამიელვა: უცნაურია-მეთქი ცხოვრება.

\* \* \*

### **აგტორები**

**ცისანა ანთაძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

**ციური ახვლედიანი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი

**ქეთეგან გაბუნია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

**თამარ გაგოშიძე** – გრიგოლ რობაძიძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის დოქტორი

**მირანდა გობიანი** – აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის დოქტორი, გერმანული ფილოლოგიის ასისტენტ-პროფესორი

**რუსული გოცირიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო საზოგადოების ასოცირებული წევრი

**ნანა გუნცაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის მიმართულება, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**მარინა ზორანიანი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ლიბერალურ-მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**ნინო ჭრიკიშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის დოქტორი, რომანული ფილოლოგიის ასისტენტ-პროფესორი

**ნანა ჩხეიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

**მაია ჩხეიძე** – საქართველოს უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**რუსული ქუთათელაძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტი, სოციალურ-მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში, პროფესორი

**ნინო რევაზიშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის დოქტორანტი

**თამარ დარიბაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის დოქტორანტი

**ნატო თხილავა** – ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, გერმანისტი, მწერალი

## შურნალის რედაქტორებია

**მაია ჩხეიძე** – საქართველოს უნივერსიტეტი, ენების დეპარტამენტის ხელმძღვანელი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**რუსული თაბუკაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის  
ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

**ვიოლა ფურცელაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ია ჩიქვინძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი,  
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**ჰანს რუდიგერ ფლუკი** – ბოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

**კულპაშ ბეიბიტოვა** – ევრაზიის გუმილიოვის სახ. ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (ქ. ასტანა)

**ტანია გრისამერი** – ფილოლოგიის მაგისტრი (DAAD)

**ქეთეგან გაბუნია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი

**მარია მიხაილოვა** – მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსი

**სილვია ბორეგა** – სოფიის წმინდა კლემენტ თბილელის სახელობის უნივერსიტეტი, რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ტატიანა მეგრელიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ალბა გრაციანო** – იტალიის ქ. ტუსკიას უნივერსიტეტი, ენების ცენტრის დირექტორი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

**ალესანდრა სპადაფორდა** – იტალიის ქ. ტუსკიას უნივერსიტეტი, ენების ცენტრი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**გიორგი ყუფარაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**რუსული გოცირიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო საზოგადოების ასოცირებული წევრი

**Редколлегия журнала**

**Майя Чхеидзе** – Грузинский университет, руководитель департамента языков, доктор филологических наук, профессор

**Русудан Табукашвили** – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, академический доктор филологии, профессор

**Виола Пурцеладзе** – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, доктор филологических наук, профессор

**Ия Чиквинидзе** – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, академический доктор филологии, ассоциированный профессор

**Ганс Руддигер Флук** – Профессор Бохумского университета, доктор филологических наук, профессор

**Кульпаш Бейбитова** – Профессор национального университета Евразии им. Гумилева (г. Астана), доктор филологических наук

**Тания Грисхаммер** – Магистр филологии (DAAD)

**Кетеван Габуния** – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, факультет гуманитарных наук, академический доктор филологии, руководитель направления романской филологии, профессор

**Мария Михайлова** – Московский государственный университет им. М. Ломоносова, доктор филологических наук, профессор, академик Российской Академии Естественных Наук (РАЕН)

**Сильвия Ботева** – Софийский университет им. Святого Клемента Охридского, руководитель департамента романской филологии, профессор

**Татьяна Мегрелишвили** – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, доктор филологических наук, профессор

**Альба Грациано** – Университет г. Тусция (Италия), директор центра языков, профессор

**Алессандра Спадафора** – Университет г. Тусция (Италия), доктор филологии, ассоциированный профессор центра языков

**Георгий Купарадзе** – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, факультет гуманитарных наук, академический доктор филологии, ассоциированный профессор

**Русудан Гоциридзе** – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, академический доктор филологии, профессор, ассоциированный член Оксфордского Университетского Общества

*Scripta manent*

**Editorial board**

**Maia Chkheidze** – Head of the Languages Department of Georgian University, Doctor of Philological Science, Professor

**Rusudan Tabukashvili** – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Academic Doctor of Philology, Professor

**Viola Purzeladze** – Tbilisi's State University, Doctor of Philological Science, Professor

**Ia Chikvinidze** – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Academic Doctor of Philology, Assosiated Professor

**Hans Rudiger Fluck** – Professor of the Bokhums' University, Doctor of Philological Science

**Kulpash Beibitova** – Gumilev's National Eurasian University (Astana), Doctor of Philological Science, Professor

**Tanya Griskhamer** – Master of Philology (DAAD)

**Ketevan Gabunia** – Tbilisi's State University, Faculty of Humanitarian Sciences, Head of the Direction in Romanian Philology, Academic Doctor of Philology, Professor

**Maria Mikhailova** – Moscow's State University, doctor of Philological Science, the academician of Russian Academy on the Nature Study (RANS)

**Sylvia Boteva** – Sofia's University of Holy Klement Okhridsky, the leader of the romanian philology department, professor

**Tatiana Megrelishvili** – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Doctor of Philological Science, Professor

**Alba Graziano** – University of Tuscia, Italy, Language Center Director, Professor

**Alessandra Spadafora** – University of Tuscia, Italy, Language Center, Doctor of Philology, Assosiated Professor

**Georgi Kuparadze** – Tbilisi's State University, Faculty of Humanitarian Sciences, Academic Doctor of Philology, Associated Professor

**Rusudan Gotsiridze** – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Academic Doctor of Philology, Full professor, the associate member of Oxford's University Society